

1239  
2012



# საქართველოს იკლიოთეკა

ISSN 1512-0880  
№4 (49)-2012

# საქართველოს



# ბიბლიოთეკა



რედაქციის მისამართი:

თბილისი ვუკედიძის ქ.

№18, ბ. 16

ტელ 223-02-98

297-16-83

ქურნალის რედაქცია:

ადექსანდრე ღორია

- მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი

- მთავარი რედაქტორის

მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

გუდუნარა სჭურუა

- სამეცნიერო-მეთოდური და

კორექტორ-კორინაჟორის

რედაქტორ-კორინაჟორი



ინფორმაციის „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს

პარლამენტის იდია ქაჭავაძის

სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკა; საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაცია.



ქურნალი გამომცემის წელიწადში ოთხჯერ

## საქართველოს ბიბლიოთეკა № 4 (49) – 2012

## შინაარსი

სიახლის მოლოდინით ..... 5

## ბამოკვლევები და დაკვირვებანი

გურამ თაყნიაშვილი – საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის განვითარება ..... 6

გულნარა სტურუა – რაც სულს ასაზრდოვებს ..... 10

ლალი კახიძე – თანამდეროვე ინფორმაციული ცენტრები ..... 12

## ღვაწლმოსილნი

შოთა მალაზონია – დედა ენის სწავლების დიდი მოამაგე ..... 14

## კითხვის კულტურა

ალექსანდრე ლორია – წერილი 3 წაკითხულის ფიქსირება ..... 17

ალექსანდრე ლორია – წერილი 4 კითხვის ორგანიზაცია ..... 21

სანდრო ასათიანი – წერილი 5 ელექტრონული წიგნები ..... 24

## ლიტერატურული ძიებანი

რუსუდან ნაქაძე – მზიური პაოლო ..... 25

## ღირსშესანიშნავი თარიღები

დავით კოტორაშვილი – ნიკოლოზ ბარათაშვილი 195 ..... 28

დავით კოტორაშვილი – თუ ტატნობს ტატომ გადაუარა (ლექსი) ..... 32

თინათინ იოსავა – შიო არაგვისპირელი 145 ..... 32

იური სიხარულიძე – წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი ..... 35

ლია გიგაური – მწერალი, შემოქმედი, რედაქტორი ..... 37

## ღირსეული თანამოქალაქენი

ირინა გოგლიძე – ყოველთვის კეთილად მოსაგონარი ..... 40

## კორესპონდენციები

ინგა კაშია – აქცია საბავშვო ბიბლიოთეკაში ..... 42

მარინა შაუთიძე – კვირეული მომავლის იმედით ..... 43

სიდონია გონჯილაშვილი – თიანეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ..... 44

(გიორგი მაისურაძე „წიგნი“, ლექსი) ..... 45

მარინა სამადაშვილი – ბიბლიოთეკა ხელოვნების სამსახურში ..... 45

კონფერენცია საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების საკითხებზე ..... 46

## მეთოდური სამსახური

მარინა საგანელიძე – აქტუალური და სასარგებლო კონსულტაციები ..... 48

## ინტერვიუ

თამარ შოშიაშვილი – საინტერესო შეხვედრები ..... 48

**იხმორმაცია**

საყოველდროო წიგნი .....	51
სიყვარულის მომღერალი .....	52
სულში ჩაკირული ენა მშვენიერი .....	53
საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტებისათვის .....	54
გულის გამამხნევებელი ლეგენდა .....	55
მოთხრობების პატარა კრებული .....	55

**ჩვენი კალენდარი**

საიუბილეო და ღირსშესანიშნავი მოვლენები .....	56
--	----

**ქრონიკა**

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა .....	60
--	----

**БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 4 (49) – 2012****СОДЕРЖАНИЕ**

В ожидании новшества .....	5
----------------------------	---

**Исследования и наблюдения**

Гурам Такниашвили – Развитие систематизации библиотечных документов .....	6
Гульнара Стурა – Что ободряет душу .....	10
Лали Кахидзе – Современные информационные центры .....	12

**Заслуженные**

Шота Малазონია – Труженик в обучении родного языка .....	14
--	----

**Культура чтения**

Александр Лорია – Письмо 3 - Фиксирование чтения .....	17
Александр Лорია – Письмо 4 - Организация чтения .....	21
Сандро Асатиანი – Письмо 5 - Электронные книги .....	24

**Литературные изыскания**

Русудан Цакадзе – Солнечный Паоло .....	25
---	----

**Замечательные даты**

Давид Которашვილი – Николоз Бараташვილი -195 .....	28
Давид Которашვილი – Если Тато перешел за горизонт (стихотворение) .....	32
Тინათინ იოსავა – შიო არაგვისპირელი 145 .....	32
Юрий Сихарулидзе – Святой Еквтиме божий человек .....	35
Лия Гигаური – Писатель, творец, редактор .....	37

**Достойные сограждане**

Ирина Гоглидзе – Всегда благая память .....	40
---	----

### Корреспонденция

Инга Кашиа – Акция в детской библиотеке .....	42
Марина Шаутидзе – Неделя библиотеки - с надеждой на будущее .....	43
Сидониа Гонджилашвили – В центральной библиотеке Тианети .....	44
(გიორგი მაისურაძე «Книга» - стихотворение) .....	45
Марина Самадашвили– Библиотека на службе у искусства .....	45
Конференция по вопросам библиотечной технологии .....	46

### Методическая служба

Марина Саганелидзе – Актуальные и полезные консультации .....	48
---	----

### Интервью

Тамар Шошиашвили – Интересные встречи .....	48
---	----

### Информация

Повседневная книга .....	51
Певец любви .....	52
Язык прекрасный .....	53
Для специалистов библиотечного дела .....	54
Легенда, ободряющая сердце .....	55
Маленький сборник рассказов .....	55

### Наш календарь

Юбилейные и замечательные события .....	56
---	----

### Хроника

Хроника библиотечной жизни Грузии.....	60
--	----

## THE GEORGIAN LIBRARY N4 (49)-2012

### Contents

Waiting the news .....	5
------------------------	---

### Researches and Observations

Guram Taqniashvili – Library documents' systematization .....	6
Gulnara Sturua – What provides the soul .....	10
Lali Kakhidze – Modern information centres .....	12

### Worthy people

Shota Malazonia – Who takes care for „Deda Ena's“ teaching .....	14
--	----

### Reading Culture

Aleksandre Loria – Letter 3 Reading fix .....	17
---	----

Aleqsandre Loria – Letter 4 Reading organization .....	21
Sandro Asatiani – Letter 5 Electrical books .....	24
<b>Literature Seekings</b>	
Rusudan Tsakadze – Sunny Paolo 25 .....	
<b>Remarkable Dates</b>	
David Kotorashvili – Nikoloz Baratashvili 195 .....	28
David Kotorashvili – „Tu tatnobs Tatom gadauara“ {poem} .....	32
Tinatin Yosava Shio – Aragvispireli-145 .....	32
Iuri Sixarulidze – Saint Eqytime the godman .....	35
Lia Gigauri Writer, creator, editor .....	37
<b>Worthy Citizens</b>	
Irina Goglidze – Always well memorable .....	40
<b>Correspondences</b>	
Inga Kashia – Arrangement at the kindergarten .....	42
Marina shubitidze – Weekly- In the hope of future .....	43
Sidonia Gondgilashvili – Tianeti central library .....	44
{G.maisuradze „book“-poem} .....	45
Marina Samadashvili – Library for art service .....	45
Conference about the issues of library documents .....	46
<b>Methodical Service</b>	
Marina Saganelidze – Actual and useful consultations .....	48
<b>Interview</b>	
Tamar Shoshiashvili – Interesting meetings .....	48
<b>Information</b>	
Everday book .....	51
Love singer .....	52
Nice language bricked up in the soul .....	53
For library specialists .....	54
Heart encouraging legend .....	55
A little collection of stories .....	55
<b>Our Calendar</b>	
Anniversary and remarkable events .....	56
<b>Chronicle</b>	
The chronicle of Georgian Library life.....	60

## სიახლის მოლოდინით

ყოველი სიახლე არ ნიშნავს გაუმჯობესებას, მაგრამ ის სიახლე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ახალი ხელისუფლების არჩევას მოჰყვება, ნამდვილად დიდი სიკეთეა. სიკეთეა თუნდაც იმით, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ფარდა აეხადა მრავალ დამნაშავებლურ ფაქტს და შეწყდა ხელისუფლების განუკითხავი პარპაში, ბოლო მოეღო სამოქალაქო შიშსა და ძალადობას. ყოველივე ამან იმედი ჩაგვისახა, რომ მდგომარეობა ყველა მიმართულებით გაუმჯობესდება, რაც, ცხადია, ჩვენს დარგსაც შეეხება.

საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები – პრაქტიკოსი მუშაკები, მეთოდისტები, მეცნიერები, პედაგოგები გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – განიცდიან თავიანთი შრომითი საქმიანობის დამცირებასა და უგულებელყოფას. ყოფილმა ხელისუფლებამ, ნაცვლად ჩვენი ბიბლიოთეკების გათანამედროვება – მოდერნიზაციისა, მთლიანად მოსპო სისტემა. იმის მაგიერ, რომ მომხდარიყო წიგნის კოლორაცია კომპიუტერთან მივიღეთ წიგნის არსის სრული დევალვაცია. ამან გამოიწვია ბიბლიოთეკებში თავმოყრილი წიგნების უდიდესი მასივების განადგურება, აღვირახსნილი ხელყოფა. აღარ არსებობს რაიმე ორგანო – პასუხისმგებელი საბიბლიოთეკო საქმის მართვაზე, რომელიც ქვეყნად გაატარებდა სახელმწიფო პოლიტიკას ამ მიმართულებით, არ ხდება დარგის სპეციალისტთა მომზადება-გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება, ცენტრალიზებული მეთოდიკური მუშაობა, გაუქმდა საკოორდინაციო (დირექტორთა) საბჭო; ერთადერთი პროფესიული ჟურნალი – „საქართველოს ბიბლიოთეკა“, ათი წელია უკიდურესადაა შევიწროვებული და მხოლოდ კერძო ინიციატივაზეა დამოკიდებული. აქამდე ვერ განისაზღვრა სახელმწიფოებრივად ბიბლიოთეკის თანამედროვე სტატუსი.

ყოველივე ეს გამოიწვია ძველი ხელისუფლების მიერ კანონების სრულმა იგნორირებამ, რის ნათელი მაგალითია „საქართველოს კანონი საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“. ამ კანონის თითქმის ყველა ძირითადი დებულება დარღვეულია და არ სრულდება. ეს შეეხება დაფინანსების, ფონდების დაცვის, საბიბლიოთეკო ქსელის განვითარების, სპეციალობისათვის კადრების მომზადების, სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობის, სავალდებულო ცვლილები-სა და სხვა საკითხებს. ბიბლიოთეკების მიმართ ხელისუფლების ამგვარმა დამოკიდებულებამ

გამოიწვია საბიბლიოთეკო ასოციაციის დაკნინება და მისი როლის სრული უარყოფა.

არავითარი ყურადღება და ხელშეწყობა სახელმწიფოსაგან საბიბლიოთეკო საქმეს არ ჰქონია. აბსოლუტურად არავითარი ანალიზი არ უტარდება სტატისტიკას, მთლიანად მოშლილია სააღრიცხვო სისტემა, არ წარმოებს ანგარიშები, რაც ადასტურებს იმას, რომ საბიბლიოთეკო საქმე სახელმწიფოსათვის სულაც არ წარმოადგენს ყურადსაღებ საგანს.

არავისთვის არ არის სადავო, რომ ბევრი რამ ადრე მიღებული და გავრცელებული შეიძლება დღეს უკვე მოძველებული გახდეს, ანაქრონიზმად იქცეს, ბევრი რამ უნდა გადაკეთდეს, ბევრზე ვთქვათ უარი, საჭიროდ იქნეს მიჩნეული გარდაქმნა – რეფორმაცია, მაგრამ ყოველივე ეს მოითხოვს ანალიზს, სპეციალურ კვლევა-ძიებას, პროფესიული მოსაზრებების შემუშავებასა და ამის საფუძველზე საკანონმდებლო ნორმატივების დადგენას. სწორედ ამიტომაც შეაქვთ დრო და დრო კანონებში შესწორებები თუ ჩამატებანი, მაგრამ მსგავსი რამ საქართველოში საბიბლიოთეკო დარგში არ მომხდარა. ცვლილებები ისე ხდებოდა, როგორადაც ამას მთავრობის შესაბამისი ორგანოები მიიჩნევდნენ საჭიროდ; ყველა სოფლის გამგებელს შეეძლო იმგვარად მოქცეულიყო, როგორადაც ის ამას საჭიროდ ჩათვლიდა ისე, რომ არავითარი ყურადღება კანონისათვის არ მიექცია.

კანონიდან სრული გადახვევის ნიმუშს წარმოადგენს, მაგალითად, სასოფლო ბიბლიოთეკების გაუქმება და მათი ფუნქციების დაკისრება სასკოლო ბიბლიოთეკებზე. აქამდე გაურკვეველია, რომელი ორგანოს მიერ იქნა ეს გადაწყვეტილება მიღებული, რომელი ბრძანებით, ვისი ნებართვით. სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ ხსენებულ კანონში წერია, რომ „მათი საქმიანობა წარმოადგენს სასწავლო-აღმზრდებლობითი პროცესის შემადგენელ ნაწილს“, მაგრამ დღემდე (40-წლიანი ბრძოლის მიუხედავად) არ მოხერხდა სკოლების ბიბლიოთეკარების ტექნიკური მუშაკის სტატუსისგან გამოყოფა და პედაგოგიური საქმიანობის სტატუსის მინიჭება, თუნდაც ფორმალურად მაინც – სამტატო რეესტრში. ახლა უფრო მეტი მოტივაცია არსებობს ამისათვის, როცა ასე გაუფართოვეს სკოლის ბიბლიოთეკას ფუნქციები.

არ იქნება სწორი ვიფიქროთ, რომ ჩვენ მხოლოდ ახლა ამოვიღეთ ხმა. ყოველივე ამაზე სხვადასხვა დროს ჩვენს ჟურნალში იწერებო-

და სხვადასხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით, მაგრამ, ცხადია, მათ არავინ არ მიაქცევდა ყურადღებას ხელმძღვანელი ორგანოებიდან, სადაც, საერთოდ, არ არსებობდა გაცხადებული კრიტიკული მოსაზრებების შეკრება, აღნუსხვა და რეაგირება.

გასაკეთებელი ბევრია. არის ზოგი რამ, რაც ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ ბევრი რამ ასოციაციამ უნდა მოაგვაროს, ბევრიც დამოკიდებულია ადგილობრივ საზოგადოებაზე, ბიბლიოთეკარებზე, ბიბლიოთეკების თანამდომებზე, პარლამენტის ეროვნულ

ბიბლიოთეკასა და იმ უწყებებზე, რომლებსაც ბიბლიოთეკები გააჩნიათ, განსაკუთრებით განათლების სისტემის დანესებულებებზე.

ყველა ბიბლიოთეკარმა, იმათ ხელმძღვანელებმა, მკითხველმა საზოგადოებამ, ყველამ, ვისთვისაც ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განვითარების საშუალებას, ხმა უნდა აიმაღლოს და იბრძოდეს იმისათვის, რომ ბიბლიოთეკებმა მიიღონ თანამედროვე სტატუსის შესაბამისი სახე და მოემსახურონ მომხმარებელს ნოვაციური მეთოდოლოგიით.


## გამოკვლევები და დკვირვებანი

### გურამ თაყნიაშვილი

# საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის განვითარება

ბიბლიოთეკებში ხელნაწერი და ბეჭდური გამოცემების მომრავლებამ იმთავითვე დღის წესრიგში დააყენა მათი გარკვეული წესით ორგანიზება; მათი განლაგება და შინაარსის გახსნა ადვილად ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო მკითხველისათვის. ბიბლიოთეკებში თავმოყრილი გამოცემები ისეთი პრინციპით უნდა დამუშავებულიყო, რომ დაეკმაყოფილებინა მკითხველთა თემატური, საგნობრივი და დარგობრივი მოთხოვნები. ამ მიზანს ემსახურებოდა ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში შედგენილი სისტემატური კატალოგები. სისტემატურ კატალოგში წიგნთა აღწერილობების განლაგებას საფუძვლად უდევს გარკვეული სისტემა ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სახით. თავის მხრივ სისტემატური კატალოგის სტრუქტურა, ანუ ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემა, ეფუძნება მეცნიერებათა კლასიფიკაციას. ამ საკითხებზე მუშაობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ დროში. პლატონმა, არისტოტელემ, ხოლო მოგვიანებით ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ ფ. ბეკონი, დ. დიდრო, დალამბერი, ო.


კონტი, სპენსერი, ჩ. კეტარი და სხვებმა მეცნიერულად დაამუშავეს ცოდნის სისტემატიზაციის პრობლემები, შექმნეს რა მეცნიერებათა კლასიფიკაციის მწყობრი სისტემები. აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის მეცნიერულ დონეზე დამუშავება. ისინი წარმატებით გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყნების ბიბლიოთეკებში სისტემატური კატალოგების შედგენისა და თაროებზე წიგნების განლაგებებისათვის. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შემუშავებული ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები საფუძვლად დაედო საუნივერსიტეტო და აკადემიური ბიბლიოთეკების სისტემატურ კატალოგებსა და დარგობრივ ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს. რუსეთში მე-18 საუკუნის მეორე ნახევარისა და მე-



მელვილ დუი

19 საუკუნეში ბიბლიოგრაფიულ კლასიფიკაციის პრობლემებზე მუშაობდნენ პ. დემიდოვი (1738–1821), ა. ნ. ოლენინი (1763–1843), ფ. რეისი (1778–1852), კ. ბერი (1792–1876), ნ. ა. რუბაკინი (1862–1946). მათ მიერ შემუშავებული ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები






საფუძვლად დაედო სამეცნიერო და უნივერსალურ ბიბლიოთეკებში სისტემატური კატალოგების აგებასა და ნიგნთა აღწერილობების თანმიმდევრობას უნივერსალური შინაარსის ბიბლიოგრაფიულ საძიებლებს.

საქართველოში მეცნიერული ცოდნის სისტემატიზაციის საკითხები მოცემულია ი. პეტრიწის ფილოსოფიურ ნაშრომებში. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის გარკვეული სქემები უდევს საფუძვლად თეიმურაზ ბატონიშვილის ნიგნსაცავის კატალოგს, რომელიც ცალკე ნიგნად გამოიცა 1948 წელს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ასევე ცალკე ნიგნად გამოიცა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგი, რომლის შემდგენელი იყო: გ. ტოკარევი; კატალოგის პირველი ნაკვეთი გამოქვეყნდა 1861 წელს ა. ბერუეს წინასიტყვაობით. სულ დაიბეჭდა 4 ნაკვეთი, 1861-1895 წლებში გამოქვეყნებული აღნიშნული კატალოგები სათანადოდ შესწავლილია ქართული სპეციალურ ლიტერატურაში. მომდევნო პერიოდის ნაბეჭდი კატალოგებიდან აღსანიშნავია ქ. შ. ნ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ნიგნსაცავის კატალოგები. მათი შემდგენლები იყვნენ ნ. მთვარელაშვილი და დ. კარიჭაშვილი, კატალოგები გამოიცა 1887, 1905 და 1911 წლებში. ცხადია, კატალოგების შემდგენელები იცნობდნენ რუსეთში შემუშავებულ ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემებს.

თანამედროვე მსოფლიოს ყველა ტიპის ბიბლიოთეკაში უფრო მეტად გავრცელებულია ორი საკლასიფიკაციო სისტემა – ათწილადი კლასიფიკაცია და უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია. ათწილადი კლასიფიკაციის ავტორად ითვლება ამერიკელი ბიბლიოთეკათმცოდნე მელვილ დუი (1851-1931). იგი იყო აშშ-ს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და პირველი საბიბლიოთეკო სკოლის დამაარსებელი. მ. დუის საგნების სისტემატიზაციის ნიჭი ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოაჩინდა. მან დედამისი გააკვირვა საოჯახო საგნებისა და ნივთების სისტემატური დალაგებით. ათწილადი

კლასიფიკაციის სისტემაზე მ. დუიმ მუშაობა დაიწყო სტუდენტობის დროს. 1872 წელს მან მარტივი სახით ჩამოაყალიბა ათწილადი კლასიფიკაციის ძირითადი დანაყოფები, რომელიც საფუძვლად დაედო კოლეჯის საბიბლიოთეკო ფონდების ორგანიზებას. 1876 წელს ცალკე ნიგნად გამოსცა ათწილადი კლასიფიკაციის სისტემა, ცხრილები ძირითადად განკუთვნილი იყო თაროზე ნიგნების სისტემატიზაციისათვის. ათწილადი კლასიფიკაციის გამოცემა განხორციელდა 1895 წელს. ამ გამოცემამ ავტორს დიდი სახელი გაუთქვა. ცალკეულ მეცნიერებათა დაყოფისათვის მ. დუიმ შემოიღო სამნიშნა



პოლ ოტლე

ინდექსები, რომლებიც აღნიშნა არაბული ციფრებით. ძირითადი ნიშნდობლივი მახასიათებელი მ. დუის სისტემისა იყო სხვადასხვა განყოფილებებში ერთნაირი დანაყოფების გამოყენება ფორმალური და გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. მ. დუის კლასიფიკაციაში თანმიმდევრობით დაცულია ფორმალური დანაყოფების გამოყენება ერთნაირი მნიშვნელობით სხვადასხვა განყოფილებებში. მაგალითად: 01 – თეორია, 02 – სახელმძღვანელოები, 03 – ლექსიკონები და ა. შ. ამგვარად, დუის სისტემაში

ერთნაირად გამოიყენება ლინგვისტური, ეთნიკური და გეოგრაფიული დანაყოფები. ეხება რა ათწილადი კლასიფიკაცია ისტორიულ ფესვებს, ავტორი აღნიშნავს, რომ მან სხვადასხვა დარგის ფილოსოფოსებთან და პრაქტიკოს ბიბლიოთეკარებთან ერთად შეიმუშავა ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის 10 კლასი, მათი 100 განყოფილება და 1000 ქვეგანყოფილება. ამგვარად, წარმოდგენილ იქნა მეცნიერებათა დაყოფა ათ მთავარ განყოფილებად და შემდეგ მარჯვნივ ინდექსების მიწერით მიიღო ამა თუ იმ დარგის დეტალიზაცია, რითაც ავტორმა ხელი შეუწყო საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსის გახსნას სისტემატური კატალოგის საშუალებით. ათწილადი უნოდა იმიტომ, რომ კაცობრიობის მთელი ცოდნა დაყო ათ ნაწილად, ხოლო თითოეული დარგი კიდევ დაყო ათ ნაწილად და ასე მიიღო ცალკეულ მეცნიერება-

თა დაყოფა მასში შემავალ მეცნიერული დისციპლინების თანმიმდევრულად წარმოდგენით.

მ. დუის ათწილადი კლასიფიკაციის ძირითადი დანაყოფები ერთნიშნა ინდექსებით:

- 0 – ზოგადი განყოფილება;
- 1 – ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეთიკა;
- 2 – რელიგია – თეოლოგია;
- 3 – საზოგადოებრივი მეცნიერებანი;
- 4 – ენათმეცნიერება;
- 5 – ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერება;

6 – ტექნიკა, გამოყენებითი მეცნიერებანი;

7 – ხელოვნება, სპორტი;

9 – მხატვრული ლიტერატურა;

9 – ისტორია, გეოგრაფია, ბიოგრაფიები.


თავიდანვე მ. დუის სისტემის ნაკლად მიიჩნევენ. ფილოლოგიური განყოფილების ორად დაყოფასა და დაცალკეებას ცალკე განყოფილებებში.

ხოლო ენათმეცნიერება მე-4 განყოფილებებში აღმოჩნდა ლიტერატურათმცოდნეობა და მხატვრული ლიტერატურა – მერვეში, ასევე იწუნებდნენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მოწყვეტას ისტორიისაგან (მე-3 და მე-9 განყოფილებები); მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, მ. დუის სისტემას ისეთი დადებითი თვისება ჰქონდა, რამაც განაპირობა მისი გამოყენება აშშ-ს საჯარო ბიბლიოთეკაში და სასწავლო დაწესებულებებში. დადებითი თვისებად ამ სისტემისა მიჩნეულია მისი უნივერსალური ხასიათი, მნემონიკურობა (ადვილად დასამახსოვრებელია) და დარგების დაყოფა შეუზღუდავად პრინციპით – ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. აღნიშნულმა დადებითმა თვისებებმა განაპირობა მისი გამოცემა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში.

მ. დუისა და მომდევნო პერიოდში ჩ. კატერის ცხრილებს აკლდათ ფორმალური ნიშნებით დაყოფის საშუალებები, რომლებიც ერთნაირი ნიშნებით დააჯგუფებდა წიგნებს თაროებზე და მათ აღწერილობებს სისტემატურ კატალოგში. მე-19 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში დაინ-

ყო სისტემატური მუშაობა საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემის შემუშავების მიზნით. ასეთ სისტემას უნდა შეეფასო მ. დუის სისტემის ნაკლოვანი მხარეები და საფუძვლად დასდებოდა საერთაშორისო ბიბლიოგრაფიულ რეპერტუარებს. 1890 წელს ბელგიელმა იურსტმა ანრი ლაფონტენმა (1854–1943) ჩამოაყალიბა სოციალურ და პოლიტიკურ გამოკვლევათა საზოგადოება, სადაც გახსნა ბიბლიოგრაფიული განყოფილება. 1892 წელს ბრიუსელში

ადვოკატმა პოლ ოტლემ (1868–1944) წამოაყენა წინადადება, შეექმნათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბიბლიოგრაფია. ა. ლაფონტენისა და პ. ოტლეს ინიციატივით 1895 წელს ბრიუსელში მოწვეულ იქნა პირველი საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კონფერენცია, რომელმაც მიიღო რეზოლუცია, შეემუშავებინათ „საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული რეპერტუარი“. მასში უნდა აღწერილიყო ყველა დროის წიგნი მსოფლიოს ხალხთა ენებზე. ამ მიზნით ბრიუსელშივე დაფუძნდა საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი. მის ერთ-ერთ ამოცანად დასახეს საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული კლასი-



ანრი ლაფონტენი

ფიკაციის სისტემის შემუშავება მ. დუის სისტემაზე დაყრდნობით. ასეთი სისტემა შემუშავებულ იქნა ინსტიტუტის მიერ სახელწოდებით „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია“. გადამუშავებული და შესწორებული სისტემის ერთ-ერთმა ავტორმა ანრი ლაფონტენმა 1913 წელს მიიღო ნობელის პრემია. 1895 წელს დუის ათწილადი კლასიფიკაციის სისტემაში ჩაამატეს ფორმალური დაყოფის ნიშნები, ე. წ. მსაზღვრელები. სულ ჩამატებულ იქნა 9 მსაზღვრელი (დეტერმინატი) ანუ დამხმარე ინდექსები, ესენია: ადგილის (გეოგრაფიული) მსაზღვრელი – ნიშანი ფორმით (0..), დროის „ „, ენის „=“, ეთნიკური („=“), მიმართების: მიმატების (პლუსის) „+“, თვალსაზრისის – 00, ანბანური – ა-ჰ. აღნიშნული მსაზღვრელები ერთნაირი მნიშვნელობით გამოიყენება კლასიფიკაციის

თითოეულ დანაყოფში. მაგალითად: 53(02) – სახელმძღვანელო ფიზიკაში, 34(02) სახელმძღვანელოები იურიდიულ მეცნიერებაში და ა. შ. გარდა ასეთი ფორმალური დანაყოფებისა, ამავე ინსტიტუტის მიერ შემუშავებული იქნა ე. წ. სპეციალური მსაზღვრელები. ისინი გარკვეული მნიშვნელობით გამოიყენება მხოლოდ ერთ განყოფილებაში. სპეციალური განსაზღვრელების ნიშანია ტირე და არაბული ციფრი. მაგალითად, თუ გვინდა მხატვრულ ლიტერატურაში ცალკე გამოვყოთ ნაწარმოები მათი ჟანრების მიხედვით, მაშინ სპეციალური მსაზღვრელი ძირითად ინდექსს მიენერება მარჯვნივ შესატყვისი განმსაზღვრელი – მაგალითად, 821.353.1–1 ქართული პოეზია, –3–ის მიწერილ ქართული პროზა და ა. შ. მ. დუის სისტემამ ასეთი დამატებების შემდეგ უფრო მეტად შეეძინა პრაქტიკული ხასიათი. უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია ამჟამად წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ტიპის ბიბლიოთეკებში, მათ შორის საქართველოშიც. 1920–იან წლებამდე საქართველოში არ იცნობდნენ ათწილადი კლასიფიკაციის სისტემას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს სისტემა საქართველოში შემოვიდა ჯარის ნაწილებთან არსებული ბიბლიოთეკების მეშვეობით. ამის შემდეგ ქართველმა სპეციალისტებმა დაიწყეს ამ ცხრილების გადმოქართულება ქართული სინამდვილისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, მომზადდა რამდენიმე გამოცემა. პირველი სქელტანიანი სქემა საკლასიფიკაციო სისტემისა გამოქვეყნდა 1933 წელს. (ვლ. ჯოჯუა, შ. დოლაქიძე და სხვები). ამის შემდეგ შ. დოლაქიძის ავტორობით დაიბეჭდა ორი გამოცემა, 1940 და 1950 წლებში მასობრივი ბიბლიოთეკებისათვის რუსული ენიდან ითარგმნა და დაიბეჭდა 1960 წელს, ცალკე გამოიცა კლასიფიკაციის ცხრილები სასოკლო ბიბლიოთეკებისთვის (გრ. ჩხაიძე, ფ. ყურაშვილი, ო.

ოსაძე). ათწილადი კლასიფიკაციის ცხრილში საქართველოს ბიბლიოთეკებში გამოიყენებოდა 1970–იან წლებამდე. მას შემდეგ საქართველოს მასობრივ ბიბლიოთეკებში დაინერგა რუსული საკლასიფიკაციო სისტემა, ე. წ. ბ. ბ. კ. მისი მოქმედება შეჩერდა 1990–იანი წლებიდან. საქართველოს ბიბლიოთეკების კვლავ დაუბრუნდნენ ათწილადი კლასიფიკაციის სისტემას,



ლ. წ. ტროპოვსკი

უფრო სწორად „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის სქემას“ (უაკ). 1998 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა ე. წ. გადასაყვანი ცხრილები მასობრივი და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის. 2009 წელს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ გამოსცა „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია“, შემოკლებული ცხრილები; რომელიც ძირითადად გამოიყენება საჯარო და სასკოლო ბიბლიოთეკებში. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები იყენებენ უაკ–ის

ვარიანტს ელექტრონული ფორმით. ეს არის მე–5 რუსული გამოცემა.

საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაციის უნიფიკაცია სხვადასხვა დონეზე შესაძლებელია ელექტრონული კატალოგის მეშვეობით. ამ პროცესში მხედველობაშია მისაღები ბიბლიოთეკის პროფილი, ფონდების მოცულობა, ისეთი პრინციპი კლასიფიკაციისა, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომს გახდის ცალკეულ საბიბლიოთეკო დოკუმენტს.

ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე ნ. ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორია – თბ., 1962;
2. ლორთქიფანიძე ნ. ბიბლიოთეკის კატალოგების ორგანიზაცია – თბ., 1961;
3. Шамурин Е. Н. Очерки по истории библиотек – библиографической классификации: Т. 2. – М., 1959.

## გულნარა სტურუა

### რას სულ ასაზრდოებს

ხმარებისაგან მეტისმეტად გაცვეთილ ბროშურას მოვკარი თუ არა თვალი ბიბლიოთეკის თაროზე, ცნობისმოყვარეობამ სხვა საქმე მიმატოვებინა და ბროშურა ხელში ავიღე. 1948 წელს გამოცემული ბროშურა ნადეჟდა კრუპსკაიას ნაშრომი აღმოჩნდა: „რას წერდა და ლაპარაკობდა ლენინი ბიბლიოთეკების შესახებ“. ზოგადად ვიცოდი ლენინის დამოკიდებულება ბიბლიოთეკებისადმი. არამც თუ ზოგადად, ბევრ რამეს ვსწავლობდით კიდეც (აბა, ერთი არ გვესწავლა!), მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, იქ, იმ საკითხებსაც თუ წავაწყდებოდი, რაც დღესაც პრობლემატურია საქართველოში. 1933 წელს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა ვ. ი. ლენინის ადრინდელი წერილი, სადაც ავტორი გულისტკივილით ამცნობდა მკითხველს, თუ როგორ იკავებდნენ სხვადასხვა დანიშნულებისთვის ბიბლიოთეკის ბინას, „ბიბლიოთეკა კი გადააქვთ უფრო ვიწრო, ბნელ, ნესტიან, მკითხველებისათვის მოუხერხებელ ბინაში“... რატომ წუხდა დიდი იმპერიის ფუძემდებელი და მამამთავარი ისეთ სათუთ და ჰუმანურ დაწესებულებაზე, როგორიც ბიბლიოთეკაა? ეს კიდეც სულ სხვა თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ წუხდა, და ფაქტია ისიც, რომ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ. ასეთივე სამწუხარო მდგომარეობა გვაქვს ჩვენ, ჩვენს დემოკრატიის მშენებლობაგაჩაღებულ საქართველოში, ვინ მოთვლის, რამდენი ბიბლიოთეკა დაიხურა, რამდენი შევიწროვდა, მათ ადგილზე გაიხსნა სუპერმარკეტები თუ სხვადასხვა დანიშნულების ოფისები და ასე შემდეგ. ასე ხდება და აქ მთავარია ის, რომ ამაზე არავინ არ წუხს. ეს ყველაფერი ბადებს ეჭვს, იქნებ დღეს ამ ეპოქას, პოსტინდუსტრიულს, თუ რაღაც კიდეც „პოსტზე პოსტს“, არ ესაჭიროება ბიბლიოთეკა? არა, იმას ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ბიბლიოთეკების უგულვებელყოფა ხდება, მაგრამ მათი რაოდენობა საჭიროზე გაცილებით მეტად შემცირდა, დარჩენილი ბიბლიოთეკების შენობების გაუმჯობესება – გარემონტებაზეც იშვიათად თუ ვინმე ზრუნავს. ბიბლიოთეკების შემცირების ტენდენცია მეტისმეტად დიდია და სახიფათო...

რატომ არის სახიფათო, რა მოხდება, თუ ბიბლიოთეკები ქვეყანაში შემცირდება, ან სუ-

ლაც არ იქნება? რა დანიშნულება აქვს მას და, საერთოდ, რას ნიშნავს სიტყვა ბიბლიოთეკა? ამ უკანასკნელ კითხვაზე პასუხს ადვილად ვიპოვით ლექსიკონებში, ბიბლიოთეკათმცოდნე მეცნიერთა ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში. ლათინური სიტყვააო, გვეუბნებიან და წიგნების საცავს ნიშნავსო. მე კი ვიტყვი, რომ ბიბლიოთეკა ნამდვილად არ არის საცავი ან საწყობი და არც თაროებზე დალაგებული წიგნებია, მით უმეტეს დღეს, როდესაც წარმატებით არის ამუშავებული ონლაინ ხაზები, ცისფერი სამყარო თუ ელექტრონული ველები. ეს დღეს, მაგრამ, არც მაშინ, როდესაც საბიბლიოთეკო სამყარო ჯერაც არ იცნობდა ახალ ტექნოლოგიებს, ანუ არც 50 წლის წინ ყოფილა ბიბლიოთეკა წიგნების საცავი, თუმცა ამ ორ სიტყვასაც ხმარობდნენ ამ ახალ საუკუნემდე ბიბლიოთეკის გასააზრებლად, საცავი, როგორც დაკომპლექტების ან როგორც საბიბლიოთეკო წესით დამუშავების განყოფილება; და საერთოდ, როგორც ყველა სხვა განყოფილება, ბიბლიოთეკის ერთ-ერთ უჯრედს წარმოადგენს. ეს იმ შემთხვევაში, როდესაც საბიბლიოთეკო დოკუმენტების რაოდენობა დიდია და მას სამკითხველო დარბაზში ვერ გაშლი მომხმარებელთა თავისუფალი დაშვებისათვის. აი, ამ შემთხვევაში იქმნება საცავი, რომელსაც თავისი მომვლელ-გამგებელი უნდა ჰყავდეს. ესე იგი, ბიბლიოთეკა მხოლოდ საცავი როდია! ბიბლიოთეკა უფრო მრავლის მომცველი შინაარსის მქონე დაწესებულებაა. ცივილიზებული ადამიანისათვის აუცილებელი და მეტად საჭირო, ამდენად, უაღრესად პასუხსაგები და ფაქიზი სფერო.

ჩემს ერთ უფროს მეგობარს, მეცნიერსა და ძალიან კარგ ადამიანს, რომელმაც საბიბლიოთეკო დარგის ათვისება და ამ სფეროში მუშაობა მირჩია, გულწრფელად სჯეროდა (ლამის მეც დამარწუნა), რომ ბიბლიოთეკაში მომსახურე პერსონალს თავისთავზე მუშაობის მეტი შესაძლებლობა აქვს და იქ ყოფნის პროცესში უკეთ შეუძლია სხვა მეცნიერების დაუფლება მასალების ხელმისაწვდომობის გზით. ეს აზრი თითქოსდა არ არის ჭეშმარიტებას მოკლებული, თუმცა შემდეგში პრაქტიკამ სულ სხვა რამ მიჩვენა. ნებისმიერ თემაზე მასალების მოძიება არ წარმოადგენს ბიბლიოთეკარისთვის დიდ



სიძნელეს, მაგრამ ეს მასალები სახლში უნდა წაიღო და იქ დახარჯო დრო მათ გასაცნობად და ასათვისებლად, თორემ თუ ბიბლიოთეკარმა წიგნები და სხვა რამ საინფორმაციო წყაროები მოიმარაგა და შიგ თავი ჩარგო, მაშინ მთავარი – საბიბლიოთეკო საქმის მსახურება, უკან დაიხევს და იქაურობა უგერგილო დიასახლისის სამზარეულოს დაემსგავსება, სადაც შეუძლებელი ხდება სადილის მომზადებაც კი, სილამაზისა და ესთეტიურობის ხარისხზე რომ არაფერი ვთქვათ რა.

და მაინც, როგორც წარმოგვიდგენია, რა არის ბიბლიოთეკა? ბიბლიოთეკა არის გარემო, სადაც ნებისმიერ ადამიანს ინდივიდუალური ნიჭის, უნარისა და ხასიათის მიხედვით შეუძლია შეიქმნას საკუთარი თავისუფალი სამყარო, ჰპოვოს სულიერი ბედნიერება. ამ ლოკალურ თავისუფალ გარემოში (თუ შეიძლება ასე ითქვას) შეუძლია მას შეისწავლოს, გაეცნოს, იმოგზაუროს, იფრინოს, იღვანოს კიდეც და თავადაც გახდეს შემოქმედი. ახლა ვინ არის ბიბლიოთეკარი? ბიბლიოთეკარი არის ამ თავისუფალ სამყაროში შესვლისთვის მზადყოფი ადამიანის მსახური, ამ გარემოს მომწყობი, ადამიანის სულიერი საკვების კარგად წარმომჩენი, თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული, რათა უზრუნველყოს მომხმარებლის ნებისმიერი საინფორმაციო წყაროებით: წიგნებით, სხვადასხვა ექსპონატებით, ბეჭდური მასალებით, ელწიგნებით და ზოგადად ახალი ინფორმაციებით და ტექნოლოგიებით სწრაფი მომსახურება.

იმისათვის, რომ ეს ყველაფერი მკითხველ-მომხმარებლისთვის განხორციელდეს, თავად ბიბლიოთეკა უნდა იყოს კეთილმოწყობილი ეპოქის ადამიანის მოთხოვნათა შესაბამისად. როდესაც ბიბლიოთეკის კეთილმოწყობაზე ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს მხოლოდ სილამაზეს, სისუფთავეს... ბიბლიოთეკისათვის აუცილებელ არქიტექტურას არაფერს აქცევს ყურადღებას. ოღონდ რაღაც შენობა, ან სათავსო მოინახოს, ოღონდ წიგნების მოსათავსებელი რაღაც თაროები მოეწყოს და ეს ყველაფერი საკმარისია იმისათვის, რომ ბიბლიოთეკა გაიხსნას. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. უამრავი რამაა გასათვალისწინებელი: კონდენცია, შესაფერისი ჰავა, სათავსოს მოცულობა, წიგნების განლაგების ტექნიკური პირობები, ტექნიკური საშუალებები და სხვა.

მხოლოდ ამ ატრიბუტების გათვალისწინების შემდეგ შეიძლება გავმართოთ ჩვენ ცივილიზებული სამყაროსათვის შესაფერისი დაწესებულება და დავარქვათ მას ბიბლიოთეკა, მხოლოდ

იმ შემთხვევაში და მაშინ, როდესაც თაროებზე ორგანიზებულად, საბიბლიოთეკო მეცნიერების გათვალისწინებით გაიწყობა ლიტერატურა და ნებისმიერ საბიბლიოთეკო დოკუმენტს ექნება თავისი კუთვნილი ადგილი. თუ ეს ასე არ მოხდება, თუ არ არის საბიბლიოთეკო ფონდი ბიბლიოთეკურად ორგანიზებული და წესით და რიგით დაწყობილი, მაშინ ასეთ დაწესებულებას, რაც უნდა მდიდარი ლიტერატურა და საცნობო-საინფორმაციო წყაროები ჰქონდეს, ბიბლიოთეკას ვერ დავარქმევთ.

ბიბლიოთეკა რომ გავმართოთ და მომხმარებლისთვის მიმზიდველი და გამოსადეგი გავხადოთ, ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო და, უპირველეს ყოვლისა, როგორც ვთქვით, კარგი შენობა, ბინა, სათავსო. საოცარი და საკვირველი ის არის, რომ ამ მხრივ, ამ ბოლო ერთი საუკუნის მანძილზე, ჩვენში, თითქმის არაფერი შეცვლილა ბიბლიოთეკების სასარგებლოდ. ზოგადად ვამბობ და მასობრივი (იგივე საჯარო) ბიბლიოთეკები მაქვს მხედველობაში, თორემ სათავო ბიბლიოთეკის რამდენიმე კარგი შენობა ჩენცა გვაქვს საქართველოში, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ არც ერთი მათგანი თანამედროვე არ არის და არც საბიბლიოთეკო არქიტექტურით არის აშენებული.

არ შემიძლია ჩემს თხრობაში არ მოვიხსენიო ცნობილი იტალიელი მწერლის უმბერტო ეკოს წიგნი „ვარდის სახელი“, მთელი ეს დიდტანიანი რომანი მეთოთხმეტე საუკუნის ბიბლიოთეკის საიდუმლო ცხოვრებაზეა აგებული. ამ რომანში ბევრმა რამემ მიიპყრო ჩემი ყურადღება, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მკითხველში მთავარი მოქმედი პირის – ადსოს (უნდა ვიგულისხმოთ თავად ავტორი!) დამოკიდებულება და განწყობილება იმ დარბაზისადმი, სადაც მკითხველი წიგნთან სამუშაოდ ჯდება და იწყებს აზროვნებას: „ფანჯრების სიმრავლის გამო დიდ დარბაზში მუდმივად იღვრებოდა დღის შუქი და სკრიპტორიუმი ზამთარშიც სალამომდე იყო განათებული... დარბაზში სუფთა სინათლე შემოდოდა და უზადოდ ემსახურებოდა წერისა და კითხვის დიად საქმეს. ბევრ სკრიპტორიუმში ვყოფილვარ, მაგრამ არსად მინახავს ასე გაბრწყინებული ფიზიკური სინათლის ნიაღვარში თავად ის სულიერი სანყისი – CLARITAS (ნათება). რაც სინათლეშია განხორციელებული, წყარო ცოდნისა და ყოველგვარი სილამაზისა, განუყოფელი ნაწილი იმ დარბაზში შექმნილი საოცარი წონასწორობისა, რამეთუ სამი რამ ბადებს სილამაზეს: უპირველესად სისავსე, ანუ სრულქმნილება და ამადაც მიიჩნევა უსახურად ყოველივე დაუსრულებე-

ლი. შემდეგ – პროპორცია, ანუ ჰარმონია და ბოლოს შუქი, ანუ ნათელი. განა ლამაზი არაა ყოველივე ნათელი ფერისა? ვინაიდან სილამაზეს სიმშვიდის შეგრძნება მოაქვს. მშვიდობა, სიკეთე და მშვენიერება კი სულს ასაზრდოებს, საოცარი უდარტვინელობა დამეუფლა და წარმოვიდგინე, რა სასიამოვნო უნდა ყოფილიყო აქ მუშაობა“. დარწმუნებული ვარ, ვისაც ბიბლიოთეკა უყვარს და ესმის მისი დანიშნულება, ამ სიტყვებს გულგრილად ვერ წაიკითხავს. მეც დავიმახსოვრე იგი და მკითხველის საამოდ აქ მოვიტანე. სისავსე, სრულქმნილება და შუქი... ბიბლიოთეკა ადამიანის სულის წვრთნის ყველაზე ღირებული სამყაროა სხვა კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ცენტრებს შორის. და, ამდენად, მეტად ფაქიზი, ყურადსაღები და საინტერესო, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში არ რეალიზდება.

საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმატებას წინ უნდა უსწრებდეს ამ დარგის საფუძვლიანად შესწავლა. რის შესაძლებლობა დაინტერესებულ ახალგაზრდებს გასულ წლებში ნამდვილად ჰქონდათ... თუმცა, ამ დარგისადმი განსაკუთრებული ლტოლვა არც იმ დროს იგ-

რძნობოდა, როცა დარგს შესანიშნავი ჰედაგოგები უძღვებოდნენ და თავს დასტრიალებდნენ. ამის მიზეზი კი ბიბლიოთეკარის გონებრივად და ფიზიკურად საკმაოდ დატვირთული შრომის უხეირო უკუგებაში უნდა ვეძებოთ, უდავოდ, თავად ჰედაგოგთა კადრის გალარობაც (რაც ბოლო დროს ნამდვილად შეიმჩნეოდა!). ბიბლიოთეკარის შრომის ანაზღაურება დღემდე სავალალო მდგომარეობაშია, თუ არ ჩავთვლით რეგიონებში სოფლის მოსახლეობის სურვილის გაუთვალისწინებლად დახურული ბიბლიოთეკებისა და იქიდან გამოთავისუფლებული ბიბლიოთეკარების ხარჯზე რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარების, ასე თუ ისე, გაზრდილ ხელფასებს.

ძვირფასო მკითხველო, ეს წერილი ბიბლიოთეკის მნიშვნელობის ჩემულმა გაგებამ, მისდამი დიდმა პატივისცემამ და სიყვარულმა დამანერინა და არა მარტო ამან... ვიცი, რომ ბევრი თქვენთაგანიც ასე ფიქრობს, ასე უყვარს ბიბლიოთეკა და აფასებს მას. ჩემი თხრობით არც არავის არაფერს ვასწავლი, არც ჩემს პრაქტიკასა და გამოცდილებაზე ვსაუბრობ. სასაუბრო კი ნამდვილად ბევრი გვაქვს თითოეულ ჩვენგანს.

## ლალი კახიძე

ინფორმაციის მენეჯმენტის მაგისტრანტი

# თანამედროვე ინფორმაციული სანბრები

ადამიანები ხშირად ვერ ვგრძნობთ და ვერ ვაფასებთ, თუ რაოდენ მრავალფეროვან და მნიშვნელოვან ინფორმაციასთან გვინევს ყოველდღიურად შეხება. მათგან უამრავი ახალი, საჭირო და მნიშვნელოვანია, ბევრიც მხოლოდ „ჭუჭყი“ და უსარგებლო მონაცემია. მაგრამ სწორედ ის ფაქტია მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ მათი სწორად შეფასება და გამოყენება შეუძლებელია. ზოგიერთს ძალუძს მისი სრულად მართვა, ზოგს – მხოლოდ ნაწილის, ზოგი კი, საერთოდ, ვერ აგნებს გზას „ინფორმაციული ბურუსიდან“. ინფორმაცია ხომ ყველაზე დიდი რესურსია. როდესაც მასზე ვსაუბრობთ, დაგვებადება კითხვა, მაინც, რა არის ინფორმაცია? ის, ფაქტობრივად „ყველაფერია“, რაც ჩვენი გრძნობის ორგანოების მიერაა აღქმადი, ინფორმაციის მართვა კი არის მისი:

- იდენტიფიცირება,
- მოძიება,
- დამუშავება,

- ანალიზი,
- სისტემატიზაცია,
- შენახვა,
- გამოქვეყნება.

„ინფორმაციულ ოკეანეში“ საორიენტაციოდ სწორედ ის ტექნოლოგიები უნდა დავიხმაროთ, რომლებმაც XXI საუკუნე „ინფორმაციულ ერადა“ აქციეს და რომელთაც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებად მოიხსენიებენ. მათ განმარტავენ როგორც: „ტექნოლოგიები, რომლებიც ეყრდნობა ელექტრონიკის მიღწევებს და რომლებიც განეკუთვნება, უზრუნველყოფს და დაკავშირებულია ინფორმაციისა და ცოდნის გამოვლენასა, მოპოვება, შექმნა, ფორმირება, მოგროვება, შენახვა, ძიება, ნებისმიერი სახის დამუშავება, გადაცემა, გავრცელება და, საერთოდ, ნებისმიერი სახის მოქმედებასთან, ოპერაციასთან და პროცესთან ინფორმაციასა და ცოდნასთან მიმართებით. მათ შორის ანალიზთან, მოდელირება,

პროგნოზირება, მოძიება და გადაწყვეტილებების მიღებასთან...“1.

დღეისათვის, ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ცნებაში, ძირითადად, იგულისხმება კომპიუტერული ტექნოლოგიები, ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომელთაც მუშაობა უწევს ინფორმაციასთან. აღნიშნულმა ტექნოლოგიებმა თანდათანობით ცვლილებები განიცადეს და ახლა უკვე არა მხოლოდ ინფორმაციის დამუშავება, არამედ მისი მიღება და გადაცემაც ხდება. სწორედ ამის გამო მოხდა ის, რომ ხშირად ვიყენებთ ტერმინს „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, ან მის ინგლისურ ექვივალენტს –IT (Information Technology).

აღნიშნული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გარკვეულწილად განაპირობა ცხოვრების ტემპის ზრდაც. ხშირად გავგივინია და თავადაც გვითქვამს, „რა სწრაფად გადის დრო“, „თითქოს გუშინ იყო“... ესეც ყოველდღიური ცხოვრების დაჩქარებული ტემპის შედეგია. ინტერნეტთან ურთიერთობისას ხშირად დროის აღქმას ვკარგავთ... სწორედ ამიტომაც გამოიყენა მარშალ მაკლუენმა (Marshall McLuhan – კანადელი განმანათლებელი, მეცნიერი, ფილოსოფოსი, ლიტერატურული კრიტიკოსი, ინგლისური ლიტერატურის პროფესორი, კომუნიკაციის თეორეტიკოსი) ტერმინი „გლობალური სოფელი“, რომლითაც თანამედროვე მსოფლიოს ასახვა სურდა. ეს ტერმინი „ინტერნეტს“ მიემართება და მის შედეგებზე მეტყველებს.

კომპიუტერი და ყოველდღიურობა – ორი განუყოფელი ფენომენია. ზოგიერთი ჩვენგანი ისეა კომპიუტერზე დამოკიდებული, რომ მის გარეშე წუთსაც ვეღარ ძლებს. მაგრამ აქვე შეგვიძლია ასეთი კითხვა დავსვათ: „რა როლს თამაშობს კომპიუტერი ჩვენს განვითარებაში?“ ვცდილობთ კი, რომ ის მაქსიმალურად ჩავრთოთ ჩვენს განვითარებასა და საქმიანობაში? არსებობენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ დროის გასაყვანად იყენებენ მას და, შესაბამისდა, მათთვის მხოლოდ გართობასთან ასოცირდება. დამერწმუნებით, ამ ფაქტს განვითარებასთან ცოტა რამ თუ აქვს საერთო. მაგრამ ამავდროულად არსებობენ ადამიანები, რომლებიც მუდმივი თვითგანვითარებისკენ იღვნიან და სწორედაც ამ მიზნით იყენებენ კომპიუტერსაც და ინტერნეტსაც.

იმისათვის, რომ ახალგაზრდებს განუვითარდეს ტექნოლოგიური უნარები, ახლობლად ჩათვალონ ინტერნეტ-სივრცე, შეძლონ ინფორმაციის მართვა და, რაც მთავარია, გამოიყენონ

ის თავიანთ საქმიანობაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობს, ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს და სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის კურსებს ბაკალავრიატის მთელი პირველი წლის განმავლობაში.

პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზისო კურსს“, ხოლო მეორე სემესტრში – „ინფორმაციულ ნიგნიერებას“. ორივე კურსი ორიენტირებულია სტუდენტების საჭიროებებზე და ეფუძნება „სწავლა-კეთებით“ მიდგომებს. კვირაში ორსაათიანი თეორიული და პრაქტიკული სამუშაოები კომპიუტერულ ლაბორატორიებში ტარდება. პირველი სემესტრის განმავლობაში სტუდენტები ეუფლებიან საბაზისო კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს. კურსის მიზანია, რომ სტუდენტებმა დამოუკიდებლად შეძლონ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გამოქვეყნება. მეორე სემესტრში კი დამოუკიდებელი სამუშაო ითვალისწინებს ლაბორატორიული მუშაობისა და შესაბამისი გადიდების მეშვეობით მიღებული კომპეტენციების გამოყენებით, კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. კურსი შედგება თეორიული და პრაქტიკული სამუშაოებისაგან. სტუდენტები მათთვის საინტერესო პრობლემის გარშემო ავითარებენ კვლევით (ინფორმაციის იდენტიფიცირება, მოძიება, სისტემატიზაცია, ანალიზი, გამოქვეყნება) ვებ-პროექტს. აქ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევით კომპონენტს და სტუდენტები ეუფლებიან კვლევით უნარებს. კურსის თემატიკა და მათი თანმიმდევრობა შეესაბამება კვლევის განვითარების ფაზებს. კურსის ბოლოს სტუდენტები ახდენენ საკუთარ ვებ-პროექტის პრეზენტაციას.

გარდა ზემოთ ნახსენები კურსებისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში თითქმის სულ ახალი შექმნილია სამაგისტრო პროგრამა „ინფორმაციის მენეჯმენტი“, რომელმაც 2011 წლის მარტში მიიღო პირველი სტუდენტები. პროგრამის მიზანია, მოამზადოს ინფორმაციის სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ რელევანტური ცოდნა და დარგობრივი კომპეტენციები საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მომსახურების სფეროში მაღალ და საშუალო ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამუშაოდ. ინფორმაციის მენეჯერი არის სტრატეგიული მენეჯერი, რომელიც მართავს ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციისა და გავრცელების პროცესებს. მას შეუძლია დასაქმდეს ყველგან,

სადაც ინფორმაცია გამოიყენება. მაგ.: სამთავრობო, არასამთავრობო, კომერციულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო დანესებულებებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში და ა. შ. პროგრამას პარტნიორობას უწევს არა მარტო საქართველოს წამყვანი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურული, საჯარო, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, მუზეუმები და ბიბლიოთეკები, არამედ დიდი ბრიტანეთის, იტალიის და ესპანეთის უნივერსიტეტები.

მთავარია იყოს სურვილი და ინფორმაციულ ერაში ყველას შეუძლია თანამედროვე გამო-

ვებებს ინფორმაციულად მომზადებული შეხედეს.

1. საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო პროგრამა. (დოკუმენტი მოამზადა და გამოსცა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტმა UNDP/GEO/00031399 – „საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამის შემუშავება“ [კ. დემეტრაშვილი და სხვა] 17 – თბ., 2004.

## ღვაწლმოსილნი

### შოთა გალაზონია

პედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი

## დედაენის სწავლების დიდი მოახაზი

პროფესორ ვალერიან რამიშვილს (1907–1989) ფართო ერუდიცია, მკვლევარის უტყუარი ალლო, მაღალი პასუხისმგებლობა და იშვიათი შრომისმოყვარეობა გამოარჩევდა, რასაც თვალნათლივ ადასტურებს მისი მდიდარი მემკვიდრეობა, რომლის ძირითად ნაწილს დაწყებითი კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოები, მასწავლებელთათვის განკუთვნილი მეთოდური შრომები და იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ღრმაშინაარსიანი გამოკვლევები შეადგენს.

დაწყებით სკოლას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. აქ შექმნილი ცოდნა თავისთავადაც ღირებულია და, მეორეს მხრივ, აუცილებელ საფუძველს ქმნის გრამატიკის სისტემატური კურსის ღრმად ათვისებისთვის მომდევნო კლასებში.


გრამატიკა კარგი მასწავლებლის ხელში მოსაწყენი საგანი როდია. მისი ცოდნა კი სრულიად აუცილებელია როგორც ლიტერატურის (მეცნიერულის, მხატვრულის, ჟურნალისტურის) მაღალი კულტურისათვის, ისე დედაენის თავისთავადი, სწორი განვითარებისათვის. ვალერიან რამიშვილის სახელმძღვანელოები და მეთოდური ნაწერები ზედგამოჭრილია საამისოდ, მასწავლებელს ეძლევა ნათლად არგუმენტირებული რჩევა-დარიგებები, რომლებიც სახალისოს, საინტერესოს ხდის ბავშვებისთვის საგულდაგულოდ შერჩეულ მხატვრულ, შემეცნებით, განმავითარებელ, სააღმზრდელო მასალას.

ვალერიან თომას ძე რამიშვილი ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდ ვანში დაიბადა. მიიღო საფუძვლიანი პედაგოგიური განათლება, რაც საკუთრივ პედაგოგიკურ და მეთოდოლოგიურ ცოდნასთან ერთად, ამ მეცნიერებათა საბაზისო დარგების – ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სათანადოდ ფლობასაც გულისხმობს. ეს ყველაფერი, შესამებული პედაგოგიური ურთიერთობის უნართან, განაპირობებდა იმას, რომ ბატონი ვალერიანი თავიდანვე იქცეოდა ყურადღებას, როგორც წარმატებული მასწავლებელი, შემდეგ კი – როგორც კარგი ორგანიზატორი – საშუალო სკოლის დირექტორის პოსტზე.

ბატონი ვალერიანი არ შემოფარგლულა პრაქტიკული საქმიანობით, მისი გამოცდილება თეორიულ განზოგადებას ელოდა, და ისიც, იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გადასული, ნაყოფიერად მუშაობს მშობლიური ენის უკეთ სწავლების პრობლემებზე. რა თქმა უნდა, უკვე არსებობდა წინამორბედთა დიდაქტიკური იდეები, არაერთ პედაგოგს შემოეთავაზებინა დედაენის სწავლების სრულყოფის გზები, რაც მთავარია, არსებობდა იაკობ გოგებაშვილის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა. მაგრამ ყოველივე ამას დასისტემება, დახვეწა, მთლიანობაში გააზრება სჭირდებოდა, რაც სწორედ ვალერიან რამიშვილმა შეასრულა – დაწყებითი სწავლების საფეხურისთვის.

საბოლოოდ ვალერიან რამიშვილი მკვიდრდება სულხან-საბა ორბელიანის სახელობის





სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში (1960), სადაც 29 წლის მანძილზე (სიცოცხლის ბოლომდე) უძღვება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდისათა კათედრას, რომელიც მისი ხელმძღვანელობით მძლავრ ფილოლოგიურ-მეთოდოლოგიურ კერად ჩამოყალიბდა. ამ კათედრაზე მოღვაწეობდნენ ფართოდ ცნობილი მეთოდისტები: გრიგოლ ბარამიძე, გრიგოლ გაბედავა, მიხეილ ჩინჩალაძე, ვლადიმერ მახარაძე, მარიამ თაბორიძე, ნათელა მაღლაკელიძე, მიხეილ რეხვიაშვილი, ლილი ნულაძე, ტიტე სულაბერიძე, ლამარა თავართქილაძე...

ბატონი ვალერიანი, ცხადია, პედაგოგიურ უნივერსიტეტში არა მარტო სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო მისი უშუალო კონტაქტი მომავალ პედაგოგებთან, რომლებსაც იგი თავისი პიროვნული თვისებებითაც – უმნიშვნელო ზნეობით, თავმდაბლობით, დახმარებისათვის მზადყოფნით – აყვარებდა პედაგოგის პროფესიას. მასში ორგანულად იყო შერწყმული მომთხოვნელობა და ლმობიერება, უბრალოება და პრინციპულობა, შეურიგებლობა მეთოდოლოგიური აზროვნებისადმი ზერელე, უპასუხისმგებლო მიდგომასთან, გოგებაშვილისეული პრინციპების უგულვებელყოფასთან.



დაუფინყარია მისი დამოკიდებულება სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობისადმი. იგი ყოველთვის შოულობდა დროს მათი ნაშრომების დანვრისათვის შესწავლისათვის, კომპეტენტური შეფასებისათვის, რაც ახალბედა ავტორების ზრდას ემსახურებოდა – მათი სამეცნიერო-კვლევითი პერსპექტივის აზრით.

ბატონ ვალერიანის ხელმძღვანელობით არაერთი ახალგაზრდა ეზიარა მეთოდის (სწავლების ტექნოლოგიების) სიღრმეებს და მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი (ტიტე სულაბერიძემ, კლარა კოკაშვილმა, ლამარა თავართქილაძემ, ნათელა ურუშაშვილმა...).

იგი ყოველთვის დროულად რეაგირებდა „რე-

ფორმებზე“, სკოლის წინაშე დასახულ ამოცანებზე და საზოგადოებას სთავაზობდა სათანადოდ დამუშავებულ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც უცვლელი იყო ერთი რამ – განუხრელი ერთგულება იაკობ გოგებაშვილის დიდაქტიკური პრინციპებისადმი, კლასიკური პედაგოგიის მონაპოვრებისადმი. კერძოდ, მას და მის მოწაფეებს (რომლებსაც იგი ზოგჯერ თანაავტორებად იწვევდა) არასოდეს დაურღ-

ვევიათ თანმიმდევრობის, ადვილიდან ძნელისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ სვლის მოთხოვნები, არ უარუყვიათ ტვალსაჩინოება, როგორც კონკრეტული აზროვნების საფუძველი და ერთბაშად არ შეუთავაზებიათ ბავშვებისათვის საკმაოდ რთული აბსტრაქციები, რაც ზედმეტად აძნელებს სწავლას და არსებითად იმის მიზეზია, რომ ჩვენს დროში მოსწავლეები ურეპეტიტოროდ ვეღარ სწავლობენ. ვ. რამიშვილი ზედმინეონით იცნობდა არა მარტო ზოგადად გაგებულ ასაკობრივ თავისებურებებს, არამედ უმცროსი ასაკის ფარგლებშიც თვალნათ-

ლივ განასხვავებდა და სახელმძღვანელოების თუ მეთოდოლოგიური რეკომენდაციების ჩამოყალიბებისას მაქსიმალურად ითვალისწინებდა ყოველი ცალკეული კლასის შესაძლებლობებს.

1960-იანი წლებიდან საბჭოთა პედაგოგიკაში ფართოდ ვრცელდება ე. წ. განმავითარებელი სწავლება. (პედაგოგიკაშიც იცის მოდები) განმავითარებელ სწავლებას, შესაბამისი მეთოდის მუშაობას მოითხოვდნენ არა მარტო მისი გამაფრთხილებელი ავტორები, არამედ ოფიციალურიც. ამ თეორიის მიხედვით, მთავარია არა პროგრამული მასალების დაუფლება, არამედ შემეცნებით ძალთა განვითარება. ამისთვის კი მიზანშეწონილიაო სწავლება სიძნელის მაღალ დონეზე, სწავლების ჩქარი ტემპი და თეორიული ცოდნის დომინირება (დანყებით კლასებშიც კი).

პროფ. რამიშვილი ცნობს სწავლების სამივე ფუნქციას: საგანმანათლებლოს, აღმზრდე-

ლობითა და განმავითარებელს, ოღონდ მათ (მაშინდელი ავტორებისაგან განსხვავებით) თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს და დაუშვებლად მიაჩნია რომელიმე მათგანის ჰიპერტროფია სხვა ფუნქციების საზარალოდ. მეცნიერის ეს პოზიცია ნათლად არის ასახული ნაშრომში: „განმავითარებელი სწავლების პრობლემატიკა დედაენაში“ (1982).

ძალზე მნიშვნელოვანია მისი ფუნდამენტური შრომა „ქართული ენის სწავლების მეთოდიკა“, რომელიც მრავალჯერ გამოიცა და უმნიშვნელოვანეს დასაყრდენს წარმოადგენს როგორც სტრუქტურულ კვალიფიციური მომზადების, ისე პედაგოგთა პროფესიონალიზმის გაღრმავებისათვის. წიგნში, პირველ რიგში, განხილულია გრამატიკის საგანი და მისი შესწავლის მნიშვნელობა (რაც დღეს კალმოსანთა საგრძნობ ნაწილს არ ესმის), ნაჩვენებია მისი სწავლების პრინციპები, მეთოდები და ხერხები; მართლწერის, პუნქტუაციის სწავლების, მეტყველების განვითარების, სტილზე მუშაობის საკითხები... ურიგო არ იქნებოდა, ამ (დანყებითი კლასების) დონეზე მაინც სცოდნოდათ სტილისტიკა (და სხვა საკითხები) ჩვენს ჟურნალისტებს (და არა მარტო მათ), რომლებიც ქალბატონებად იხსენიებენ უპოვარ, სამათხოვროდ გამოსულ, პატიმარ, მეძავ ქალებსაც კი... ასევე, შეიძლება გაიგონოთ (ნაიკითხოთ): „კარგად ვბრძანდები“, „მივირთვი“, სტილისტურად სწორია: „კარგად გახლავართ“, „გეახელით“.

ვ. რამიშვილი, ისევე როგორც დიდი იაკობი, მუდმივ ყურადღებას მოითხოვდა ბავშვთა ლექსიკის გამდიდრებისადმი, ბარბარისმების ნაცვლად სათანადო ქართული სიტყვების დამკვიდრებისადმი, საოცარია, რომ დღევანდელი ფილმები და პრესა თითქოს განზრახ ააქტიურებენ ჟარგონიზმებსაც და ვულგარიზმებსაც. ეს არც ხელოვნებაა და არც მშობლიური ენის პატივისცემა.

ვ. რამიშვილს არაერთი ნაშრომი აქვს მიძღვნილი იაკობ გოგებაშვილისადმი. სწორედ მან დააზუსტა კიევის აკადემიიდან ჯანმრთელობაშერყეული იაკობის წამოსვლის დეტალები: აკადემიის რექტორი კავკავის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობაზე იაკობს შუამდგომლობს ეგზარქოსთან, თუმცა ასეთი სამსახური აკადემიიდან მათავრებულს ერგებოდა... ვ. რამიშვილი დანამდვილებით ადასტურებს, რომ იაკობს არა მარტო სასულიერო სასწავლებელში, – სემინარიის ყველა კლასში

უმუშავია რიგი საგნების მასწავლებლად... დადასტურებულია, რომ ადმინისტრაციის უსამართლობით იმედგადანურულ იაკობს თვითმკვლელობა უცდია და, მტკვარში შესული, ნიკო ცხვედაძის ძმას გამოუყვანია. ნათელმოფენილია არაერთი სხვა საკითხი.

მეტად მნიშვნელოვანია ვ. რამიშვილის შრომა „ეროვნული საუნჯე“, რომელშიც ყოველმხრივ არის განხილული იაკობის „დედანი ქართული წერისა“, პირველ რიგში ავტორი ყურადღებას მიაქცევს მაღალ კალიგრაფიულ კულტურას ძველ საქართველოში, რის მეოხებითაც დღესაც თავისუფლად ვკითხულობთ საუკუნოვან ხელნაწერებს. იაკობი მიიჩნევდა, რომ საჭიროა გვექონდეს ქართული წერის ახალი დედანი, რომელსაც დაემყარებინან ახლანდელი და მომავალი თაობები და დამწერლობაც შეინარჩუნებს პირველქმნილ სილამაზე-სინატიფეს.

მე-19 საუკუნეში წერის არაერთი დედანი შეუქმნიათ, მაგრამ იაკობის ღრმად გააზრებულ, არგუმენტირებულ პოზიციას ყველა მათგანი დაურდილავს. მისი დედანი მაქსიმალურად ასახავს ქართული ასოების, ქართული წერის კულტურის თავისებურებებს, რასაც მისდამი პედაგოგთა უპირობო მხარდაჭერა განუპირობებია.

„დედაწი“ ჩახედვა არ აწყენდა ზოგიერთ მხატვარს, ვინც მეტი „მხატვრულობისთვის“ იმდენად აჩუქურთმებს ასოებს (უფრო – ყდაზე), რომ ყოველთვის ერთბაშად როდი ხვდები, რა წერია აქ. „დედნის“ ცოდნამ, მისდამი სავალდებულო პატივისცემამ უნდა გვაშოროს ამგვარი შემთხვევები.

სწორია ვ. რამიშვილი, როცა იაკობის ამ ნაშრომს „უკვდავ, ხელთუქმნელ ძეგლად“ იხსენიებს.

ვ. რამიშვილი იაკობის სახელმძღვანელოებთან („დედაწი“, „ბუნების კარი“, „რუსსკოე სლოვო“ და სხვ.) და დიდაქტიკურ-პუბლიცისტურ შრომებთან ერთად ჯეროვნად აფასებს მის ბრწყინვალე საბავშვო მოთხრობებსაც.

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ი. გოგებაშვილის სახელობის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ვალერიან რამიშვილი დღესაც ცოცხლობს მრავალრიცხოვან აღზრდილთა გულში, მისი ხსოვნა არის მონოდება სიკეთის ქმნისაკენ, დედაენაზე მუდმივი ზრუნვისაკენ.

## ალექსანდრე ლორია

## წერილი 3.

## წაკითხულის ფიქსირება

როდესაც წაკითხული მასალის ფიქსირებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში ვიღებთ იმ ამოცანებსა და მოტივს, რაც მიაჩნია მკითხველს შესასრულებლად კითხვასთან დაკავშირებით, და საკითხავი მასალის ტიპსა და ხასიათს, მის სირთულესა და მოცულობის. გარდა ამისა, გარკვეულ როლს თამაშობს თვით მკითხველის ფიზიკურ-ფსიქოლოგიური შესაძლებლობები, პიროვნული თავისებურებანი – ყურადღების კონცენტრაციის უნარი, მეხსიერების ხარისხი, განვითარების დონე, მოსმენისა და წერის კულტურა და ა. შ.

კითხვის მიზანი და მოტივი მრავალია: მასალის გაცნობა, ტექსტის დამუშავება, შესწავლა, დამახსოვრება, შემოწმება, დაზუსტება, გართობა, ესთეტიკური ტკბობა, დაუნჯება შემდგომი გამოყენებისათვის, გამეორება და ა. შ.

რა სერიოზულობითა და მონდომებითაც არ უნდა ვიკითხოთ, თუ არ ვახდენთ წაკითხულის ფიქსაციას, მისი პროდუქტულობა საკმაოდ დაბალი დონის იქნება. რაციონალურად კითხვის ერთ-ერთ მთავარ დებულებად ითვლება ფიქსირება. საზოგადოდ, გავრცელებულია გამოთქმა: წაკითხულის ფიქსირება მეორედ წაკითხვას ნიშნავს.

ცხადია, როცა ამ საკითხს ვეხებით, ძირითადად მხედველობაში გვაქვს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა, მისი გამოყენება სასწავლო-შემეცნებით და სამეცნიერო მიზნებით. წაკითხულის ფიქსირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლე და სტუდენტი-ახალგაზრდებისათვის, საკვალიფიკაციო პრომაზე მომუშავე პირებისათვის, პედაგოგებისა და ლექტორებისათვის, რომლებსაც ხშირად უწევთ მეორადი ნაშრომის შექმნა. ეს გულისხმობს პირველწყაროების გამოყენებით, ერთი ან მრავალი წყაროს ბაზაზე კომპილაციური თუ დამოუკიდებელი ტექსტის შედგენას. ლიტერატურისა თუ ელექტრორესურსების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია ამგვარ სამუშაოს შესრულება. ყოველგვარი დამოუკიდებელი რეფერატული თუ სამეცნი-

ერო ნაშრომის შექმნა მოითხოვს სხვადასხვა წყაროების დამუშავებას, რაგინდ ორიგინალურიც არ უნდა იყოს ის.

ფიქსირების წყაროები ორგვარად შეიძლება დავაჯგუფოთ: ა) მოსმენილის ფიქსირება; ბ) ნაწერი ტექსტის ფიქსირება (წიგნი თუ ელექტრონული საშუალებები). ასევე შეიძლება გამოვყოთ ერთმანეთისაგან წერილობითი და ელექტრონული სახის ფიქსირება, ამჟამად მკითხველთა გადამჭრელი უმრავლესობა ნაწერი (ნაბეჭდი) ტექსტით სარგებლობს. მაგრამ ორივე შემთხვევაში შესაძლებელია ფიქსირება მოხდეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ეს დამოკიდებულია მკითხველის ნება-სურვილსა და შესაძლებლობებზე.

მკითხველს რომ გაუადვილდეს წიგნის ფიქსირება, კარგია, თუკი ის იცნობს კითხვის კულტურისათვის ისეთ დამახასიათებელ ელემენტებს, როგორიცაა ტექსტის შინაგანი და გარეგანი აგებულება, განსაკუთრებით დამხმარე აპარატი – შინაარსი, ანოტაცია, სქოლიოები, შენიშვნები, კომენტარები და სხვა.

მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სახით ლეზლობს მკითხველი ინფორმაციას – მოსმენით თუ წერილობით. ინფორმაციას მოსმენით ლეზლობენ პირადი ურთიერთობით, კომუნიკაციური საშუალებით, ხმოვანი ჩანაწერებით (ფონოგრამით), ტელევიზიით, კომპიუტერით; წერილობითი მასალით ინფორმაციის მიღება უმეტესად ხდება ბეჭდური პროდუქციით და ხელნაწერით, აგრეთვე ელექტრონული საშუალებებითაც – ტელევიზიით, კომპიუტერით და სხვა. ორივე შემთხვევაში ფიქსირების დროს ბევრი რამ არის საერთო, მაგრამ არის სპეციფიკურიც, რაც უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე დამახასიათებელი თავისებურება, რაც უზრუნველყოფს ფიქსირების მეთოდურად სწორად, რაციონალურად, მაღალპროდუქტიულად, შედეგანად წარმოებას. მოსმენის დროს ფიქსირება შეიძლება მოხდეს მოსმენისვე მომენტში, მის პროცესში, მომენ-



ტალურად, ან მასალის მოსმენის ბოლოს, დამთავრების შემდეგ, და რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია, დავიწყების ფაქტორი ნაკლებად იმოქმედებს. შეიძლება აგრეთვე მოსმენილი მასალის ფიქსირება მოხდეს გახსენებით, საკმაოდ დროის გავლის შემდეგ, რაც ნაკლებსარგებლიანია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში იგი სავსებით ამართლებს მიზანს, როცა დანვრილებითი ფიქსირების საჭიროება არ არსებობს. ამ შემთხვევაში უმეტესად გამოარჩევენ ძირითად, უმთავრეს საკითხებს, რაც საკმარისია მკითხველის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

შედარებით იოლი და პროდუქტიულია წერილობითი მასალის ფიქსირება. ამ შემთხვევაში მკითხველს საშუალება ეძლევა უფრო ბეჯითად შეისწავლოს და დააკვირდეს ტექსტს, გაიმეოროს, მეტი დრო მოანდომოს, დააზუსტოს, შეაჯეროს სხვის შეხედულებებს, გაიზიაროს ოპონენტის მოსაზრებები და ა. შ.

ფიქსირება ხდება ეტაპობრივად, მრავალი სპეციფიკური შემთხვევის გათვალისწინებით. კერძოდ: მასალა უნდა აღვიქვათ დანაწევრებულად, იმ თანმიმდევრობით, რაც ტექსტშია მოცემული და ბოლოს უნდა მოხდეს მათი გამთლიანება; ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ჩანაწერიც ყოველი შემთხვევის დროს ასევე თანმიმდევრულად გაფორმდეს, თუმცა უმეტესად ეს ასეა რეკომენდებული. არის გამოწვევები, რაც გამოწვეულია ფიქსაციის მეთოდის შერჩევაზე, იმაზე, თუ რომელ ფორმას შეირჩევს მკითხველი.

სასურველია დანაწევრებული მასალის ყოველ შემადგენელ ნაწილს მიეცეს თავისი დასახელება (სათაური, რუბრიკა), ძირითადი შინაარსის გამომხატველი ფორმულა. ეს უნდა ხდებოდეს ლოგიკური თანმიმდევრობით, ერთიანი ლოგიკური არიალის ფარგლების მიხედვით. ფაქტობრივად, ერთი შინაარსობრივი მონაკვეთი უნდა გაფორმდეს ერთობლიობაში ერთი ქვესათაურის ქვეშ.

ფიქსირებული მასალა დასასრულს გადაიხედება, შესწორდება, დაიხვეწება, შეირჩევა რაც აუცილებლად დასატოვებელია და მოხდება მისი საბოლოო გაფორმება. გაფორმება კი დამოკიდებულია იმაზე, ფიქსირების რა სახეს ირჩევს მკითხველი, რა ჭირდება – გეგმა, გეგმა-კონსპექტი, კონსპექტი, ამონაწერები, თეზისები თუ სხვა.

ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსმენილი თუ წაკითხული მასალისადმი

სერიოზული დამოკიდებულება, ყურადღების კონცენტრაცია, სმენითი თუ მხედველობითი პროცესის გააქტიურება, გონებრივი შესაძლებლობების მობილიზირება.

ფიქსირების შედეგებს, მის წარმატებულობას, უზრუნველყოფს ის, თუ ტექნიკურად როგორ ხდება ეს. ფიქსირება მოითხოვს მოკლე, მაგრამ ტევად ჩანაწერებს; შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირობითი ნიშნები, აბრევიატურა, სიტყვათა შემოკლებები. არა აქვს მნიშვნელობა იმას, ხელით ვახდენთ ჩანაწერს თუ ელექტრონული საშუალებებით, თუმცა ამ უკანასკნელს თავისებური და მეტად მრავალფეროვანი შესაძლებლობები გააჩნია, რაც სასურველია, იცოდეს მკითხველმა და შეეძლოს მათი სრულყოფილი გამოყენება. ელემენტალურად შესრულებული ფიქსირებული მასალა გაცილებით უფრო იოლი მოსახმარია და საჭირო მონაკვეთების ძიებაც მოსახერხებელია.

მნიშვნელოვანია უკვე ფიქსირებული ტექსტის სწორად, მოხერხებულად გაფორმება. სასურველია, ტექსტი მოცემულ იქნეს კომპაქტურად, მით უმეტეს, თუ ეს ხელნაწერის სახით ხდება. რაც უფრო კომპაქტურადაა ტექსტი მოცემული, თვალის ერთი გადავლებისათვის იოლია და, ამდენად, დამახსოვრებისთვისაც ხელსაყრელია. ამავე დროს საჭიროა იმ კომპონენტების უეჭველად მითითება, რაც დამუშავებულ წყაროს თავის სახეს არ დაუკარგავს; მაგალითად, ავტორი, სათაური, ქვესათაური, რედაქტორი, გამომცემელი, გამოცემის ადგილი და წელი, გამოყენებული გვერდის მითითება და სხვა, რაც გულისხმობს, საერთოდ, მოპოვებულ მასალის ადრესირებას. ეს გამოყენებულ მასალაში ორიენტირების საშუალებას იძლევა.

თუკი მკითხველს სურს შემდგომისათვის გამოიყენოს ფიქსირებული მასალა, ის უნდა აღრიცხოს და დაიცვას. ამგვარი მასალა შეიძლება იყოს ერთჯერადი გამოყენებისათვის ან ხანგრძლივი პერიოდისათვის, როცა მკითხველს ფიქსირება ჭირდება რაიმე ტექსტის დამუშავება-დასწავლისათვის, დაზეპირების, გარკვევის, შედარების, დამონებისა თუ სხვა მსგავსი მიზნებისათვის, ცხადია, ამგვარი ჩანაწერების დაცვა-შენახვა, მაინცა და მაინც, არაა საჭირო, მაგრამ არის ისეთი მიზნები, როცა ვიცით, რომ ეს შეიძლება დაგვჭირდეს მოგვიანებითაც. სხვა დროსაც – გამოსვლისათვის, ლექციის, სემინარის, დისკუსიის, შეხსენებისა და სხვა მსგავსი შემთხვევებისათვის

– მაშინ მიზანშეწონილია ასეთი ჩანაწერების დაცვა. თუ ფიქსირება ხელნაწერი სახით ხდება, შეიძლება მათი თავმოყრა როგორც თემატურად, ისე გაერთიანებულად შეკინძული სახით, ან სპეციალურ კაბრაში. თუ მათი რაოდენობა ბევრია, სასურველია, გაკეთდეს კარტოთეკა ან ჩვეულებრივად აღირიცხოს. რაც შეეხება ელექტრონულ ჩანაწერებს, მათი დაცვა სათანადო წესით ხდება კომპიუტერის შესატყვისი პროგრამის შესაბამისად.

ფიქსირების რამდენიმე ფორმა არსებობს, რაც დამოკიდებულია, ერთი მხრივ, თვით მასალის ხასიათზე, მეორე მხრივ, საჭიროებაზე, რასაც მკითხველი განსაზღვრავს. არსებობს მარტივი და შედარებით უფრო რთული ფორმები. ერთ–ერთ უმარტივეს ფორმას წარმოადგენს ადგილების ხაზგასმა. წიგნი თუ საკუთარია და რაიმე რელიქვიურ ღირსებას არ შეიცავს, არ არის უნიკალური, იშვიათი გამოცემა, მაშინ დასაშვებია კითხვის დროს საყურადღებო, საგულისხმო, შესახსენებელი ადგილების ფანქრით გახაზვა, მნიშვნელოვანი მონაკვეთის მონიშვნა. სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასვენი ნიშნები – ტირე, ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი, აგრეთვე მათემატიკური გამოსახულებები – უდრის, პლიუსი, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე და სხვ. ხშირად იყენებენ ე.წ. „ფრთას“. ზოგი მკითხველი სხვადასხვა დანიშნულებისა და მნიშვნელობის გამოსახატავად ფერად ფანქრებსაც იყენებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმემ ყველაფერი ერთდროულად გამოიყენოს და არც ღირს ამის გაკეთება. ტყუილუბრალოდ არ უნდა ავაჭრელოთ წიგნი. როდესაც უხვად და ხშირად ვიყენებთ სიმბოლურ ნიშნებს და სხვადასხვა ფერის განახაზვებს, უეჭველად უნდა გვქონდეს ჩანიშვნის მთელი სისტემა და ვიცოდეთ, როდის მას და როგორ ვიყენებთ და მტკიცედ დავიცვათ შემუშავებული წესი, რომ არ მოხდეს გაუგებრობები.

საერთოდ, არაა საჭირო ყოველი წვრილმანის ხაზგასმა, რაც კარგად ვიცით, ადვილად დასამახსოვრებელია, ერთი მოსაზრებიდან გამომდინარეობს მეორე და ა. შ.

შედარებით უფრო რთულია, მაგრამ ნაყოფიერი და მაღალკულტურული, როცა გამოიყენებენ სანიშნ ფურცლებს, მათზე მოკლედ კეთდება მინიშნებები, თუ რატომ ჩავნიშნეთ ესა თუ ის გვერდი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ცხადია, ამგვარი რამ მოსახერხებელია, როდესაც ფიქსირება ხანგრძლივი დროისათვის არაა განკუთვნილი.

დაფიქსირების წყარო ფიქსირების უფრო რთულ ფორმას თუ მოითხოვს. შედარებით უფრო რთული ჩანაწერები გამოიყენება. ერთ–ერთ ასეთ ფორმას წარმოადგენს ამონაწერები. არსებობს სიტყვა–სიტყვითი ამონაწერები (ციტატობრივი), აგრეთვე – თავისუფალი, როდესაც წაკითხულის აზრს თავისი სიტყვებით ჩაიწერენ.

ამონაწერები შეიძლება ცალკე ფურცლებზე გაკეთდეს ან რვულში იქნეს შეტანილი.

ერთ–ერთი გავრცელებული ფორმაა წიგნის არშიებზე მინაწერები (მარგინალიები). ზოგი მკითხველი ამგვარად გამოხატავს თავის შეხედულებებს, მოსაზრებებს, აზრებს, რითაც გამოეპასუხება ხოლმე წაკითხული მასალის ამა თუ იმ მონაკვეთს. ცნობილია მრავალი განთქმული მოღვაწის მინაწერები, რომლებსაც ერთად ჰკრებენ და აქვეყნებენ კიდეც როგორც მათი შემოქმედების ნიმუშებს.

ფიქსირების გავრცელებული ფორმაა გეგმა და გეგმა–კონსპექტი. ისინი შეიძლება შედგეს როგორც კითხვის პროცესში, ისე მის შემდეგ. საერთოდ, რეკომენდებულია, გეგმა–კონსპექტი მეორედ წაკითხვის შემდეგ შედგეს.

ამგვარი ფორმის გამოყენება მოითხოვს კითხვის შედარებით მაღალ კულტურას, რაც, ცხადია, ერთბაშად არ იქმნება – თანდათანობით, ნაბიჯ–ნაბიჯ, თავის თავზე მუშაობის პროცესში. ამას განსაკუთრებით ახალბედა მკითხველებმა უნდა მიაქციონ ყურადღება.

გეგმა ტექსტის თანმიმდევრულად ინერება, იშლება შინაარსობრივ ნაწილებად და გამოყენების გაადვილებისათვის. ხდება მათი დანომვრა, ნომერაცია შეიძლება მარტივად – გამჭოლად ინარმოოს, ან მოხდეს მისი უფრო რთული დანაწევრება: ძირითადი საკითხი (რუბრიკა, სათაური) მოინიშნოს რომაული ციფრებით, დაქვემდებარული საკითხები – არაბულით, შეიძლება გამოვიყენოთ ქვედაყოფები: რიცხვები ფრჩხილებით, ანბანი, ტირეები.

რაც შეეხება გეგმა კონსპექტს, ის იმავე პრინციპით დგება, როგორც გეგმა, მაგრამ ის მარტო რუბრიკებისა და ნუმერაციების მონიშვნით კი არ კმაყოფილდება, არამედ მათ შორის მოკლე შინაარს იძლევა, რაც საბოლოოდ მთლიანი კონსპექტის სახეს იძენს. შეიძლება კონსპექტი რაიმე ნიშნებით დაყოფის გარე-

შეც შედგეს, რომელიც თანმიმდევრულად ასახავს დაფიქსირებისათვის განკუთვნილ მასალის შინაარსს. ამ შემთხვევაში გამოიყენება ციტატები, შენიშვნები, რემარკები.

კონსპექტი სხვადასხვა სახისაა: 1. გეგმიური – როცა აიგება მარტივი თუ რთული კონსტრუქციით; 2. ტექსური – როცა ტექსტი ინერება მიჯრით, ყოველგვარი ქვესათაურებისა და რუბრიკების გარეშე; 3. თავისუფალი – იგულისხმება სხვადასხვაგვარი წესის გამოყენება, იმგვარად აგება, როგორც ეს ეხერხება და აწყობს მკითხველს; 4. თემატური – ამ დროს ტექსტიდან ამოიკრებიება მასალა რომელიმე ერთი თემის მიხედვით.

არსებობს კონსპექტის ნაირსახეობები. ერთ-ერთს წარმოადგენს ე. წ. მიმოხილვითი კონსპექტი, რომელიც, ფაქტობრივად, რამდენიმე კონსპექტის შერწყმას წარმოადგენს, ასევე საინტერესო სახეობაა ქრონოლოგიური კონსპექტი, რომელიც მხოლოდ ქრონოლოგიურად განსაზღვრულ მასალას წარმოაჩენს. ამ სახის კონსპექტები წარმატებით გამოიყენება მასალის შესახსენებლად, თხრობის დროს მოვლენის განვითარების რიგის სწორად დასაჭერად.

კონსპექტი შეიძლება შედგეს კითხვა-პასუხის სახითაც. დაისმება კითხვები, რომლებიც განიხილება დასამუშავებელ ტექსტში და მოკლედ გაიცემა მათზე პასუხები.

კონსპექტები მეტად ხელსაყრელია, როცა საჭიროა მასალის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, დამუშავება, შესწავლა. ეს აადვილებს არა მარტო დამახსოვრებას, არამედ ხელსაყრელია ხელმეორედ გამოყენებისა და შეხსენებისათვის.

ერთ-ერთ რთულ ფორმას წარმოადგენს თეზისები. ის კეთდება იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა მასალის შეფასება, მასზე დამოკიდებულების გამოხატვა, საკუთარი აზრის შეჯერება ან დაპირისპირება ავტორთან, საპოლემიკო ნაშრომის დაწერა და ა. შ.

ფორმალურად ეს ფორმა ემსგავსება გავრცობილ გეგმა-კონსპექტს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ გეგმა-კონსპექტის შედგენა ხდება დასაფიქსირებელი ტექსტის თანმიმდევრობით. აქ ეს სავალდებულო არაა. ეს უკვე დამოკიდებულია მკითხველზე, თუ როგორ ააგებს მას, როგორი კონსტრუქცია აწყობს. თანაც თეზისი არ ერიდება შენიშვნებს, კრიტიკას, შეხედულების გამოხატვას, დამოუკიდებელი მოსაზრებების გამოთქმას, დასკ-

ვნების გამოტანას.

წაკითხულის ფიქსირების მიზნით მკითხველებს შეუძლიათ აწარმოონ ე. წ. თემატური ამონაწერები. ეს უმეტესად მაშინ, როცა მკითხველს სურს მოცემული მასალიდან გამოარჩიოს მისთვის საინტერესო თემაზე დამუშავებული საკითხები და სხვას არ დაუთმოს დიდი გულისყური. უმეტესად ეს კეთდება რომელიმე ერთ თემაზე მასალის თავმოყრის მიზნით.

ცნობილია, რომ მკითხველთა ერთი ნაწილი ამონერს ხოლმე მისთვის საინტერესო ადგილებს, ბრძნულ აზრებს, ლამაზ-ფიგურალურ, ფრთოსან გამოთქმებს, ხატოვან სიტყვებს, საინტერესო ამბებს, თარიღებს. ასეთივე ამონაწერები მკითხველს შეიძლება ჰქონდეს გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და ღირსშესანიშნავ მოვლენათა ქრონოლოგიისათვის. მას ერთგვარად ენციკლოპედიური ხასიათი აქვს. ამგვარად ფიქსირებული მასალა შეიძლება კარტოთეკის სახით იქნეს დაცული.

ზოგი გულმოდგინედ აწარმოებს მკითხველურ დღიურს, რომელშიც წერს მონაცემებს იმაზე, თუ რა წიგნი წაკითხა, როდის, იძლევა პატარა ანოტაციას წაკითხულ მასალაზე, ეს მას ეხმარება შეხსენებასა და მასალის ძიებაში.

ყველა ტექსტს ერთნაირი დამუშავება და ანალიზი არ ჭირდება. მაგალითად, ყურნალ-გაზეთის მასალის ფიქსაცია, ცხადია, გაცილებით მარტივია, ვიდრე წიგნისა. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ განსხვავებულ ფორმას წარმოადგენს ამონაჭრების კომპლექტი, ხშირად თემატურად თუ უნივერსალური ნიშნით საინტერესო საკითხების თავმოსაყრელად, მკითხველები აკეთებენ პერიოდული გამოცემების ამონაჭრებს, რომლებსაც მათთვის ხელსაყრელი ნიშნით გააწყობენ და იცავენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ იქნება გაფორმებული მასალის ფიქსირება. უპირველესი მოთხოვნაა, ჩანაწერი იყოს ადვილი გასაგები, მარტივი, კომპაქტური, საკითხები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოყოფილი, თვალის ადვილად და სწრაფად გადასავლები; უნდა ჰქონდეს რეზერვი ჩანაწერში ახალი მასალის ჩამატებისათვის.

ჩანაწერების ხარისხსა და მის ფორმაზე დიდადა დამოკიდებული მასალის სრულყოფილად ათვისება, შრომის გაადვილება, საჭირო ლიტერატურის მიგნება და გამოყენება.

## ალექსანდრი ლორია

### წერილი 4.

## კითხვის ორგანიზაცია

ნაკითხულის ფიქსირებას, ჩანაწერების სწორად, გამართულად, მაღალკვალიფიციურად წარმოებას დიდად შეუძლია განსაზღვროს კითხვის კულტურის დონე, მაგრამ ნაყოფიერად კითხვისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს თვით კითხვის ტექნიკურად სწორად წარმართვას, უნდა გვექონდეს ჩამოყალიბებული პრინციპები და მეთოდები, თუ როგორ ვიკითხოთ, როდის ვიკითხოთ, რამდენი დრო უნდა მოვანდომოთ კითხვას დღის განმავლობაში ან დროის სხვა მონაკვეთში – კვირაში, თვეში... რა გარემო პირობებში გვანაყოფობს კითხვა, რომ უფრო ნაყოფიერი იყოს. ერთი სიტყვით, უნდა გვექონდეს შემუშავებული კითხვის რეჟიმი და, შეძლებისდაგვარად ვიცავდეთ მას.

კითხვის რეჟიმის ორგანიზაციას, უპირველეს ყოვლისა, დროის ბიუჯეტი უნდა შეეფარდოს. მკითხველმა უნდა იცოდეს, კითხვისათვის რა დროს ფლობს, რა დროა მის განკარგულებაში. ეს დიდადაა დამოკიდებული მკითხველის საერთო საქმიანობისათვის საჭირო დროზე. მეორე მხრივ, ეს დამოკიდებულია თვით პიროვნებაზე – როგორი ინტენსივობით, რა ხანგრძლივობით შეუძლია მას შეუწყვეტლად იმუშაოს წიგნზე, აგრეთვე იმაზეც, თუ რა მოცულობისა და სირთულისაა წიგნი, მოცემული მასალა.

წიგნზე სერიოზული მუშაობა გონებრივი შრომა და დღის ადამიანს. ვინც არ არის დაუფლებული რაციონალურ კითხვის ჩვევებს, წიგნზე დიდხანს მუშაობა უჭირს. ეს უნდა გაითვალისწინოს ყოველმა მკითხველმა და ობიექტურად შეაფასოს თავისი შესაძლებლობები.

კითხვა რთული ფსიქოლოგიური პროცესია და მასზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას – როგორც დადებითს, ისე უარყოფითს. ანგარიშგასაწვეია როგორც შიგა, ისე გარე გამღიზიანებლები – დაღლილობა, ემოციები, საერთო განწყობილება და სხვ. როგორც წესი, საკითხავად დროის ბიუჯეტიდან ის მონაკვეთი უნდა გამოიყოს, როცა მკითხველი შედარებით თავისუფალია ძირითადი საქმიანობისაგან. შეიძლება კითხვა თავად იყოს ძირითადი საქმიანობა. ცხადია, მაშინ დროის ბიუჯეტი სხვაგვარად გადაიანგარიშდება.

კითხვა ყველაზე ნაყოფიერია მაშინ, როდესაც მას საღი, დაუღლე გონებით ახდენენ.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე წინასწარგანზრახულობას, კითხვისათვის სათანადო განწყობილების შექმნას. როცა ადამიანი წინასწარგანზრახვით კითხულობს, მისი ყურადღება შედარებით უფრო გამახვილებულია და, მაშასადამე, ნაკითხულის დამახსოვრება, გაგება, შეფასება და სხვ. გაცილებით უფრო ადვილად ხდება.

წიგნზე სერიოზულად მუშაობა გადაბმულად დაახლოებით 2–3 საათსაა შესაძლებელი. თუ მკითხველს ჭირდება, მეტი დრო გამოყოს ამ საქმიანობისათვის, რეკომენდებულია 10–15–წუთიანი შესვენება. სასურველია ამ დროს ჰაერზე გასეირნება, მსუბუქი ფიზიკური ვარჯიში, მუსიკის მოსმენა, სურათების დათვალიერება, საუბარი... არიან მკითხველები, რომლებიც დასვენების მიზნით, ერთი ხასიათის წიგნს მეორე ხასიათის წიგნით ცვლიან და ამგვარად, ორ–სამ წიგნს ერთდროულად ეცნობიან და შედარებით ნაკლებად იღლებიან, თუმცა ამგვარი მკითხველები იშვიათად გვხვდებიან. ეს დასაშვებია, მაგრამ არა სისტემატურად და ხანგრძლივად.

კითხვის პროცესზე განსაკუთრებით ზემოქმედებს გარემო პირობები, კერძოდ, ის ფიზიკური გარემო, რომელშიც წარმოებს კითხვა – რამდენად მონესრიგებულია ის, რამდენად შეესატყვისება მკითხველის მოთხოვნილებას, მის გემოვნებას, სასურველობას (სისუფთავე, სიკოხტავე, სუფთა ჰაერი, ზომიერი ტემპერატურა, შესატყვისი ავეჯი და მოწყობილობა და სხვ.). ფიზიკური გარემოს ორგანიზაცია იწვევს ფსიქოლოგიური გარემოს ორგანიზაციას, რასაც დიდი ზეგავლენა აქვს მუშაობის წარმადობის სრულყოფაზე, ინტენსიობაზე, ნაყოფიერებაზე, საერთო შედეგზე, შრომის პროცესის გახანგრძლივებაზე.

ფსიქოლოგიური ორგანიზაცია საშუალებას იძლევა ვმართოთ ჩვენი გუნება–განწყობილება, ემოციები, სურვილები, შთაგონება და ა. შ. მრავალ შემთხვევაში, მკითხველის სამუშაო არ იძლევა საშუალებას, მან მხოლოდ მაშინ იკითხოს, როდესაც ხელსაყრელი პირობები და შთაგონება შეექმნება. ამიტომაც საჭიროა სათანადო ნებისყოფა. ნებისყოფა ადამიანმა შეიძლება გამოიმუშაოს ხანგრძლივი დროის

განმავლობაში, თუკი იზრუნებს ამაზე. ნიგნზე მუშაობის პროცესში, როგორც წესი, წარმოიქმნება შესატყვისი შთაგონება. ამიტომაც არ უნდა ველოდეთ, როდის გვექნება გუნება-განწყობილება, რომ ვიკითხოთ. თუკი თავს ვაიძულვით ვიკითხოთ, შთაგონებაც გაჩნდება, ანუ წარმოიქმნება საჭირო იმპულსები, რომლებიც გამოიწვევენ განწყობილებას, რომელიც გაააქტიურებს კითხვის პროცესს.

ფსიქოლოგიური ორგანიზაციის თავისებურებების გარდა მნიშვნელობა აქვს მკითხველის ბიოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობას. ნაკლებად პროდუქტიული იქნება, თუკი მკითხველი ნიგნზე მუშაობას შეუდგება ფიზიკურად დაღლილი, არაფხიზელ მდგომარეობაში, ძილ-ნაკლული ან სულაც გამოუძინებელი, ტკივილით შეწუხებული.

კითხვის დროს დაცულ უნდა იქნეს სათანადო ჰიგიენური პირობები – ჰაერი, ტემპერატურა, განათება, და რაც მთავარია, წიგნიდან არ უნდა მივიღოთ ან არ გავცეთ ვირუსული დაავადება, ან რაიმე გადამდები ავადმყოფობა (სოკო, ობი, მტვერი). დაუშვებელია თითების დანერწყვა ფურცლების გადაშლის დროს. წიგნი, თუ ძველია ან დაავადებული, მისი წაკითხვის შემდეგ საჭიროა ხელის დაბანა. ასეთ წიგნებს, საერთოდ, ანიაგებენ, ზოგ შემთხვევაში წმენდენ ფორმალინის 2%-იან ხსნარში დასველებული მაგრად განურული ჩვრით. მოსარიდებელია ახალგამოცემული წიგნებიც, განსაკუთრებით მოზარდებისათვის, მით უმეტეს, თუ ისინი ალერგიული ფონის მატარებლები არიან. საღებავის სუნი და ქაღალდის მტვერი შეიძლება გახდეს დაავადების გადამტანი.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის, თუ კითხვის პროცესში რა მდგომარეობაშია მკითხველი ფიზიკურად – ზის, წევს, დგას. სერიოზული მუშაობის დროს, სასურველია, მკითხველს ჰქონდეს სწორი ფიზიკური პოზა (მაგიდასთან გამართული ჯდომა, ტექსტისაგან თვალის დაშორება 25–30 სმ-ით და სხვ.). ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს აუცილებელი იყო რეკომენდირებული მონაცემების უეჭველად დაცვა. თუკი მკითხველს ეს დისკომფორტს უქმნის, ცხადია, შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც ეს მას სურს. მკითხველმა უნდა „მოირგოს“ სიტუაცია ისე, როგორც ეს ეხერხება, მით უმეტეს, ცნობილია, რომ დრო და დრო სხეულის პოზის ცვლა იწვევს ორგანიზმის გააქტიურებას, გამოცოცხლებას, რაც ხელს უმართავს მკითხველს, გაიხანგრძლივოს წიგნზე მუშაობის პერიოდი.

საკმაოდ ბევრ მკითხველს მოწონს დანოლილ

მდგომარეობაში კითხვა. ზოგს ეს ესთეტიკურ სიამოვნებასაც კი ანიჭებს. ძნელი ხდება ამ ჩვეულების გადაჩვევა; ამიტომ უმჯობესია ასეთ შემთხვევაში მკითხველმა იკითხოს შედარებით იოლი, ადვილგასაგები ტექსტები. გასათვალისწინებელია ის, რომ ამგვარად კითხვა ნაკლებპროდუქტიულია და ხანგრძლივად წიგნების ასეთი გამოყენება ძლიერ მავნეა მხედველობისა და ნერვიული სისტემისათვის. განსაკუთრებით სახიფათოა ეს მოზარდებისათვის.

როგორც ცნობილია, კითხვა არა მარტო შრომითი მიზნებითა და მოტივებით ხდება, არამედ მკითხველებს უმეტეს შემთხვევაში სხვა მოთხოვნილებები ამომძრავებს, კერძოდ, ესთეტიკური ტკობა, გართობა, გახალისება და ა. შ. გამოუცდელი, ახალბედა მკითხველები, ბავშვები, ისინი, რომლებიც ცოტას (იშვიათად) კითხულობენ ან უჭირთ მასალის აღსაქმელად ყურადღების კონცენტრაცია, ხმამაღლა კითხვას ამჯობინებენ. ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ გვინდა შევნიშნოთ, რომ ხმამაღლა კითხვა, როცა ის ტექსტის დამუშავების განზრახვით არ ხდება (უცხო ენის სწავლება, ლექსის დაზეპირება, კითხვის ტექნიკის დახვეწა და ა. შ.), არ არის რეკომენდირებული. კითხვა შედარებით ნაყოფიერია, თუ მკითხველი თავისთვის – ჩუმად კითხულობს, შესაფერის პირობებსა და გარემოში.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორაა მკითხველი დაჩვეული კითხვას, ზოგი მათგანი ვერ მუშაობს ოდნავ ხმაურიან გარემოში, სხვასთან თანდასწრებით, გარე თუ შინაგანი გამღზიანებლების შემთხვევაში, ზოგისთვის კი ეს არავითარ როლს არ თამაშობს. ცხადია, მკითხველმა თავისი შესაფერისი პირობები უნდა შეიქმნას, თუკი ეს მასზეა დამოკიდებული.

მოსწავლე ახალგაზრდებში გავრცელებულია ე. წ. კოლექტიური მუშაობა წიგნით, როცა რამდენიმე კაცი ერთად ეცნობა მასალას. ეს არ არის გამოსარიცხავი ფორმა, მაგრამ დადასტურებულია, რომ ასეთი მუშაობა, შედარებით ინდივიდუალურ მუშაობასთან, საკმაოდ დაბალნარმადულია.

სასურველი წიგნის გამოვლენისა და შერჩევისას მკითხველმა უნდა იზრუნოს დამხმარე მასალაზეც. უმეტესად საჭირო ხდება შენიშვნების, ლექსიკონების, ენციკლოპედიების, განმარტებების გამოყენება. ზოგჯერ ასეთი მასალა თვით წიგნებშია მოქცეული საცნობო აპარატის სახით, თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს ამგვარი მასალის სხვაგან მოპოვება



– ბიბლიოთეკაში ან კერძო კოლექციებსა და საკუთარ ფონდში. კითხვის დროს, თუკი საჭირო გახდა ამგვარი მასალის გამოყენება, მას დაუყოვნებლივ, მაშინვე, გადაუდებლად, ოპერატიულად უნდა მივმართოთ, რომ უფრო შედეგიანი იყოს კითხვა. ამ შემთხვევაში საკითხის დაუყოვნებლად გარკვევა უზრუნველყოფს ტექსტის სრულყოფილად და საფუძვლიანად შესწავლას, აადვილებს აღქმასა და სიღრმისეულად ათვისებას, თანაც აზღვევს მკითხველს გულმავიწყობისაგან.

წიგნზე მუშაობის დროს მნიშვნელობა აქვს იმას, თუ გარეგნულად რა სახისაა წიგნი – ზომა, მოცულობა, სტრუქტურა, არქიტექტონიკა, გაფორმება, დამხმარე აპარატი და სხვ. მაგალითად, ისე, როგორც მოუხერხებელია ძალიან დიდი ზომის წიგნით მუშაობა, ასევე არახელსაყრელია ძალიან მცირე, მინიატურული წიგნის გამოყენება. ცხადია, თუ შერჩევის საშუალება არის, სამუშაოდ გამოყენებული უნდა იყოს ისეთი გამოცემა, რომელიც დაახლოებულია ოქროს შეფარდებასთან, ახლავს დამხმარე აპარატი, ისეთი მასალა, რომელიც დამატებით ავსებს ძირითად ტექსტს და ხელსაყრელია მკითხველისათვის, რაც საშუალებას აძლევს მას უფრო ღრმად ჩანვდეს შინაარსს და ა. შ.

ამგვარად, კითხვის ორგანიზაცია საკმაოდ ბევრი რამის გათვალისწინებას მოითხოვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, დოგმატურად მივუდგეთ მას, უნდა შეგვეძლოს დაკვირვებით შევაფასოთ რეკომენდაციები და იმით ვისარგებლოთ, რაც ჩვენთვის მოსახერხებელი და უმჯობესია, საერთოდ, ბევრი რამ დროთა განმავლობაში თავისთავად ყალიბდება, გამოუმუშავდება, შეირჩევა, შეფასდება; ზოგს ქვეცნობიერად შევითვისებთ – ზოგს შეგნებულად, წინასწარგანზრახულად. მთავარია ვეცადოთ, დაკვირვებით შევექმნათ ჩვენი კითხვის კულ-

ტურა, ავიმალლოთ მისი დონე, დავეუფლოთ კითხვის ხელოვნებას. არაერთ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს უთქვამს, რომ კითხვა ნამდვილი ხელოვნებაა, რაც დაოსტატებას მოითხოვს. გოეთე ამბობდა – მიუხედავად ჩემი ოთხმოცწლიანი გამოცდილებისა, არ შემოძლია ვთქვა, რომ უკვე საბოლოოდ დავეუფლე კითხვის ხელოვნებასო. ცხადია, დიდი მწერალი ისეთ კითხვას გულისხმობდა, რომელიც გონებრივი შრომის იდენტურია. ასეთი კითხვა მკითხველისაგან განსაკუთრებულ აქტივობასა და ორგანიზებულობას მოითხოვს.

მკითხველის კითხვის კულტურის დონეს ყველაზე მეტად ის განსაზღვრავს, თუ როგორ ახერხებს მკითხველი შეარჩიოს მისი მიზნების შესატყვისი ლიტერატურა როგორც შინაარსობრივად, ისე გარეგნული ნიშნის მიხედვით. ამიტომაც მკითხველმა კარგად უნდა იცოდეს აგრეთვე საძიებო საშუალებების გამოყენება. ამისათვის ის სპეციალურად უნდა ცდილობდეს, დაეუფლოს ძიების მეთოდებს, რაშიც ყველაზე მეტად ბიბლიოთეკამ შეიძლება გაუწიოს დახმარება. გარდა ამისა, მკითხველი უნდა ფლობდეს ძიების ისეთი მოქნილი საშუალების გამოყენების წესებს, როგორიც კომპიუტერია. მაღალკულტურული მკითხველისათვის უცხო არ უნდა იყოს საბიბლიოთეკო საქმიანობა, აქაური მომსახურების პროცესები და მუშაობის სპეციფიკა.

კითხვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების განვითარებისათვის; სწორედ ამან განაპირობა ის, რომ დღის წესრიგში დადგა, კითხვის პრობლემები სხვადასხვა მეცნიერებიდან გამოცალკევდეს და ერთ მეცნიერულ სისტემაში – ლექტოლოგიაში მოიყაროს თავი. ეს მომავლის საქმეა. ყველა პირობა არსებობს საიმისოდ, რომ კითხვა იქცეს მეცნიერული კვლევის საგნად.

## კითხვის კულტურა

*როგორც ცნობილია, მთელ მსოფლიოში და, ცხადია, საქართველოშიც თანდათან უფრო მეტად და მეტად ვრცელდება ელექტრონული წიგნები. მათი წარმოება, მოქმედების პრინციპები, ტექნიკა და მასთან დაკავშირებული სხვა პროცესები საკმაოდ ცნობილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული ელექტრონული წიგნების კითხვის ტრადიცია; რეკომენდაციები – როგორ ვიკითხოთ ამგვარი ლიტერატურა, გამოვლენა და შერჩევა, წაკითხვის ფიქსაცია, რა უნდა გავითვალისწინოთ კითხ-*

*ვის დროს და სხვა ამგვარი დეტალური მეოთხოლოგიურად დამუშავებული მასალა საკმაოდ მწირია. ამიტომაც ამგვარი წიგნების კითხვის კულტურაზე მსჯელობა ამ ეტაპზე გართულებულია; ეს უფრო მომავლის საქმეა. ჩენს მიერ აქ მოწოდებული სტატია მიზნად ისახავს, გადავდგათ პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით და ხელი შევუწყოთ მისი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას.*

რედაქცია

## სანდრო ასათიანი

წერილი 5.

## ელექტრონული წიგნები

(ტიქსტიდან ინტერაქციამდე)

წიგნის ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი, დავინახავთ, რომ წიგნმა ბევრჯერ სრულიად რადიკალურად შეიცვალა თავისი ფორმა. შუმერულ წიგნებს თიხის ფირფიტების სახე ქონდა, ეგვიპტურებს – გრაფნილის, შუა საუკუნეებში უზარმაზარი ხელნაწერი წიგნები იწერებოდა ეტრატსა და ქალაღზე. წიგნი კვლავაც იცვლის ფორმას, გაჩნდა ელექტრონული წიგნები. ელექტრონული წიგნი უბრალო ფაილია, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გარსი. ასეთი წიგნების წასაკითხად საჭიროა სპეციალური ელექტრონული წიგნების საკითხავი მოწყობილობა ან კომპიუტერი.

ელექტრონული წიგნების (კომპიუტერული ფაილის სახით) ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამსაღებელი მაღაზია „amazon. Com.“-ია. დღეს „ამაზონში“ წიგნების გარდა უამრავი სხვა ტიპის პროდუქცია იყიდება, მაგრამ თავიდან ეს ვებპორტალი მისი დამფუძნებელ ჯეფ ბეზოსის მიერ როგორც ნაბეჭდი წიგნების ინტერნეტმაღაზია მოიაზრებოდა. მოგვიანებით „ამაზონში“ ელექტრონული წიგნებიც გამოჩნდა. 2011 წლის დასაწყისში კი ჯეფ ბეზოსმა განაცხადა, რომ 2010 წლის ბოლო კვარტალში უფრო მეტი ელექტრონული წიგნი გაიყიდა, ვიდრე ნაბეჭდი.

ელექტრონული წიგნის ფორმატი ყველაზე მოხერხებულია ლექსიკონებისა და სასწავლო ლიტერატურისათვის, მაგრამ როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, დღეს –დღეობით ელექტრონული სახით ყველაზე ფართოდ მხატვრული ლიტერატურა არის წარმოდგენილი.

### მხატვრული ლიტერატურა ელექტრონული სახით

„ამაზონში“ ნაყიდი წიგნის წაკითხვა შესაძლებელია კომპიუტერით, მაგრამ ამის გარდა „ამაზონი“ წიგნის საკითხავ მოწყობილობასაც ყიდის. ამ მოწყობილობას ქინდლი (KINDLE) ჰქვია. „ამაზონის“ ელექტრონული წიგნების მაღაზიაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია საკუთარი ტექსტის დატვირთვა. წიგნის ფასს თავად მომხმარებელი ადგენს. „ამაზონი“ კი გაყიდული წიგნიდან გარკვეულ პროცენტს იტოვებს. „ამაზონში“ მხოლოდ რამდენიმე ენაზე დაწერილი წიგნის განთავსებაა შესაძლებელი. სამწხუაროდ, ამ ენებში ქართული არ შედის, თუმცა არსებობს მსგავსი ტიპის ქართული პლატფორ-

მებიც, რომლებიც გამომცემლობას ან ავტორს საკუთარი წიგნის განთავსებისა და ელექტრონული სახით გაყიდვის საშუალებას აძლევს. ასეთი ტიპის ერთ-ერთი ქართულენოვანი პლატფორმაა saba. com. ge.

ინტერნეტში შეგიძლიათ უფასო ელექტრონული წიგნებიც მოიძიოთ. მაგალითად, ერთ-ერთ მასშტაბური პროექტის ფარგლებში, რომელსაც „გუტენბერგი“ ჰქვია (<http://www.gutenberg.org/>), იმ წიგნების გადაციფრება და ინტერნეტში განთავსება ხდება, რომლებზეც მათი სიძველის გამო კომპირატის კანონი აღარ ვრცელდება.

წიგნებს „ამაზონის“ ფორმატში, ისევე როგორც „საბას“ ფორმატში, არ გააჩნია გვერდები, როგორც ეს ნაბეჭდი წიგნის შემთხვევაში არის. ასეთი წიგნები, ფაქტობრივად, ტექსტის ნაკადს წარმოადგენს, რომელშიც, რიგ შემთხვევაში, ინტეგრირებულია გამოსახულებებიც. ელექტრონულ წიგნებს ერთგვარი ვირტუალური გრაფილის სახე აქვს. ამგვარად, ასეთ წიგნებში გვერდების მიმანიშნებლის მაგივრად პროცენტული მაჩვენებელია მოცემული. ასეთ წიგნში მკითხველს შეუძლია ნახოს არა ის, თუ რომ ელ. გვერდზე იმყოფება, არამედ წიგნის რამდენი პროცენტი აქვს წაკითხული.

### ლიქსიკონები და ენციკლოპედიები

სავარაუდოდ, რალაც დროის შემდეგ ლექსიკონები და ენციკლოპედიები სრულად გადაინაცვლებს ელექტრონულ ფორმატში. მათი ასეთი ფორმით მოხმარება გაცილებით მოსახერხებელია. თუ ნაბეჭდი წიგნში საჭიროა უამრავი ფურცლის გადაშლა, სანამ სასურველ ინფორმაციას იპოვი, ელექტრონულ წიგნში საკმარისია საძიებო სიტყვის აკრეფა და ელექტრონული მოწყობილობა თავად გიპოვის რასაც ეძებ.

რამდენიმე თვის წინ, უძველესი ენციკლოპედიის Britannica-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ Britannica ბეჭდური სახით აღარ გამოიცემა, რომ ამიერიდან ამ ენციკლოპედიის მოხმარება მხოლოდ ელექტრონული სახით იქნება შესაძლებელი. საგულისხმოა, რომ Britannica-ს 244-წლიანი ისტორია აქვს და ამ ხნის განმალვობაში ამ ავტორიტეტული გამოცემის 7 მილიონზე მეტი კრებულია გავრცელებული.

## სომხური ნიგნები

ტექნოლოგიების განვითარებამ ახალი ტიპის ნიგნების – აუდიო ნიგნის შექმნა გახადა შესაძლებელი. ასეთი ნიგნის წაკითხვა რაიმე საქმის კეთების პარალელურად არის შესაძლებელი, უფრო ზუსტად, ეს წაკითხვა კი არა, მოსმენაა. აუდიო ნიგნი სასწავლო პროცესშიც საკმაოდ გამოსადეგია, როდესაც საქმე, მაგალითად, უცხო ენის შესწავლას ეხება.

თუკი აქამდე აუდიო ნიგნების დასამზადებლად ხმის ჩამწერი სტუდია იყო საჭირო, დღეს უკვე ზოგიერთ ელექტრონული ნიგნის წამკითხველ მოწყობილობას სპეციალური პროგრამები მოჰყვება, რომლებიც, სურვილის შესაბამისად, უკითხავენ მომხმარებლებს ტექსტს. იმის ნაცვლად, რომ მომხმარებელმა თავად იკითხოს, მას შეუძლია ეს საქმე სპეციალურ პროგრამას გადააბაროს. ელექტრონული ნიგნის წამკითხველი მოწყობილობა თავად წაკითხვას სასურველ ნიგნს. ასეთ პროგრამებს Text to Speech, ტექსტის საუბარში გადამყვან პროგრამებს უწოდებენ. მსგავსი ტექსტის წამკითხველი პროგრამები სხვადასხვა ენებისთვისაა შექმნილი, ინგლისურენოვანი ვერსიები საკმაოდ მიახლოებულია ადამიანის ხმასთან.

## სახელმძღვანელოები

ელექტრონული ნიგნის სასწავლო პროცესში გამოყენებას უამრავი უპირატესობა აქვს. მაგალითად, რომელიმე ბიოლოგიურ პროცესს სახელმძღვანელოში შეიძლება მრავალი გვერდი დაეთმოს და ის მაინც ძნელად აღსაქმელი დარჩეს მოსწავლისათვის, მაშინ, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით ერთი მარტივი ანიმაციისათვის თვალის გადავლება საკმარისი აღმოჩნდეს რთული ბიოლოგიური პროცესის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად.

რა თქმა უნდა, ელექტრონული ნიგნების დანერგვა არც ისე ადვილია, თანაც საკმაოდ

ძვირი, მაგალითად, ამერიკაში სახელმძღვანელოების ბაზარი 5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული და მას ბოლო დროის კრიზისმა ვერაფერი დააკლო. ამ ბაზრის დიდი ნაწილი კვლავ ქალაქებში დაბეჭდილი პროდუქცია შეადგენს.

## რა არის ინტერაქტიული საბავშვო ნიგნი

ინტერაქტიული საბავშვო ნიგნი რაღაც საშუალოა ნიგნსა და კომპიუტერულ თამაშს შორის. თუკი ნაბეჭდი საბავშვო ნიგნის შექმნას ავტორი, რედაქტორი, ილუსტრატორი და დიზაინერი ჭირდება, ინტერაქტიული ნიგნების შემთხვევაში პროექტში დამატებით რამდენიმე სპეციალისტის მონაწილეობა საჭირო. მაგალითად, პროგრამისტის, გამხმოვანებლის და ა. შ.

ინტერაქტიულ ნიგნებში მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო კომპონენტი. თუკი კომპიუტერულ თამაშებში საგანმანათლებლო კომპონენტი მცირეა, ინტერაქტიული საბავშვო ნიგნები ერთგვარი სახელმძღვანელოებია, რომელთა საშუალებით ბავშვები დამოუკიდებლად, უფროსების დახმარების გარეშე სწავლობენ.

ინტერაქტიული ნიგნის პროგრამული ნაწილის მომზადება ისეთივე ძალისხმევას მოითხოვს, როგორც, მაგალითად, Ipad-ის აპლიკაციის დამზადება. ამას გარდა, თუ ნაბეჭდი ნიგნის შემთხვევაში არსებობს ტრადიცია, შემუშავებულია ნიგნის შექმნის მეთოდები, არსებობს ლიტერატურა ნიგნის შექმნის შესახებ და სხვა, ინტერაქტიული ნიგნი სრულებით ახალი ტიპის პროდუქტია და, ამგვარად, ჯერ არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული ინტერაქტიული ნიგნების შექმნის მეთოდები, არ არსებობს ამის ტრადიცია. ასევე არ არსებობს მათი გამოყენებისა და ეფექტურად სარგებლობის, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და რაციონალურად კითხვის სრულყოფილად ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია.

## ლიტერატურული ძიებანი

### რუსუდან ნაქაძე

ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვანი  
სპეციალისტი

## ფიური პაოლო

პაოლო იაშვილის დაბადების თარიღსა და ადგილს მკვლევარები სხვადასხვაგვარად მიუთითებენ: ერთნი მიიჩნევენ, რომ იგი 1894 წელს დაბადებულა, მეორენი კი დაბადების თარი-

ღად 1895 წელს უთითებენ. აზრთა სხვადასხვაობაა დაბადების ადგილთან დაკავშირებით: „პაოლო იაშვილი დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში“ (ლ. ავალიანი), „პ. იაშვილი



დაიბადა 1894 წლის 29 ივნისს ზესტაფონის რაიონის სოფ. ზოვრეთში, ბავშვობა გაატარა მშობლების სოფელ არგვეთში“, – (ა. მირიანაშვილი – „პაოლო იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“); ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შემდეგი ჩანაწერია: „იაშვილი პაოლო ჯიბრაილის ძე – 29, VI 1894 სოფ. არგვეთი, საჩხერის რაიონი“.

პაოლოს დედა – თავადის ქალი, ბაბილინე მდივანი, უაღრესად განათლებული და სათნო ადამიანი ყოფილა, ღრმად მორწმუნე, სტუმართმოყვარე; მამა – ჯიბრაილ იაშვილი – შეძლებული აზნაური, კიევში განათლებამიღებული პროვიზორი, მთელ იმერეთში სახელგანთქმული ფარმაცევტი და საკუთარი აფთიაქის პატრონი.

პაოლოს გარდა, ჯიბო იაშვილს ოთხი ვაჟი და ერთი ქალი ჰყოლია.

1900 წელს მშობლებმა პაოლო ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელ ჯგუფში მიაბარეს. პაოლოსთან ერთად გიმნაზიაში იმხანად სწავლობდნენ მერმინდელი „ცისფერყანნელები“: ვალერიან გაფრინდაშვილი და ტიციან ტაბიძე.

1912 წლიდან პაოლო სწავლას აგრძელებს ანაპაში, ვოზნესენსკისა და შეპტოვის კერძო გიმნაზიაში, ხოლო 1913 წელს პოეტი პარიზს მიემგზავრება და ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში შედის, პარიზში გატარებულმა წლებმა სხვაგვარად გამოკვეთა პოეტის ლიტერატურული მისწრაფებანი. იგი განსაკუთრებით გაიტაცა სიმბოლისტ მწერალთა შემოქმედებამ. გ. ქიქოძე იგონებს: „პაოლოს უყვარდა, პოლ ვერლენის ძეგლთან ჯდომა ლუქსემბურგის ბაღში და შადრევნის აუზში მობანავე ბელურების ცქერა“. პარიზში პოეტი შეხვდა და დაუმეგობრდა კონსტანტინ ბალმონტს. ეს ურთიერთობა თითქმის ცხოვრების ბოლომდე გაგრძელდა. „ევროპის ქაოსს“ 1915 წელს პაოლო გამოექცა და ქუთაისში დამკვიდრდა.

ლიტერატურული საქმიანობის ხალისი და ნიჭი პაოლო იაშვილმა გიმნაზიაშივე გამოავლინა. 1911 წელს პირველი ლექსი – „ღმერთო,

ღმერთო...“ გამოაქვეყნა.

1913 წლის 19 მაისს გამოვიდა ჟურნალი „ოქროს ვერძი“; სულ ხუთი ნომერი გამოიცა.



„ოქროს ვერძის“ შესაფასებლად საკმარისია მისი ავტორების ჩამოთვლა: გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, სერგო კლდიაშვილი.

1915 წლის სექტემბერში სარბიელზე ელენე დარიანი გამოჩნდა და სათავე დაედო მისტიფიკაციას, რომელიც წლების განმავლობაში საგონებელში აგდებდა საზოგადოებას.

1915 წლის 20 სექტემბერს გალაკტიონის საღამოზე ქუთაისის თეატრში, პაოლომ პირველად წაიკითხა „საქართველოს

ყვავილები“, „სამშობლო“. მაშინ ეჭვიც კი არავის შეჰპარვია, რომ ელენე დარიანის სახელს პოეტი პაოლო იაშვილი ეფარებოდა.

დაიტანჯა მაჯა

მაჯა

მარჯნის

მძიმე ჯაჭვის ტარებით.

ბევრი ცრემლი დამეხარჯა

ერთი ღამის ნეტარებით.

...

მე ლოყაზე დამრჩა ფარჩა,

ცხელი პირის მიკარებით.

„ელენე დარიანის დღიურებს“ მკვლევარები პოეტის შემოქმედებითი პოტენციალის, ესთეტიკური მრწამსისა და მოდერნისტული ცნობიერების უზადოდ ფორმირების მწვერვალად მიიჩნევენ.

ისე მოვედი, რომ არავინ არ მომელოდა, მივეცი კოცნა მებაღეს და... გაილო კარი, მარტო ვიყავი!... ჩემს გარშემო ლურჯად

ბნელოდა,

მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა ტანზე

ქამარი!...

ჩემი წუხილი, სიხარულიც ტრფობის ბრალია, ჩემს სხეულს მეფობს ხან სინაზე,

ხან საოცრება,

დედოფლობს გული! ის ყოველთვის  
მომღერალია.

ან:

უკანასკნელი მოვიხსენი ტანსაფარავი,  
დადუმებულ მხრებს ელანდება შეხება ნელი.  
დარიანული ძახილი:

მარგალიტები მოვიხვიე ყელზე სამ წყება...

მარგალიტები, იაგუნდები...

არ შემიძლია შენი სახის გადავინწყება!

არ დაბრუნდები?

„ჩემო ძვირფასო კოლაუ! – სწერდა პოეტი უახლოეს მეგობარს კოლაუ ნადირაძეს, – გიგზავნი ერთ ლექსს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოულოდნელია, არ ვიცი, რამ მათქმევინა ეს ლექსი“:

უფალო, უსმინე შევარდენს,  
მის ხელით გიგზავნი ბარათს,  
მიშველე ღორებში ჩავარდნილს,  
ღორებში დარჩენილს მარად.

უფალო! მომეცი სამხარი  
ძალღვივით ამოსულს ცაზე

და შენი პერანგი ნახმარი  
ჩამაცვი ცოდვიან ტანზე.

მომეცი ბავშვებში ჩარევის

და მათთან თამაშის ნება,

უფალო! შენს გარდა არავის

არა აქვს ამისი უფლება.

პოეტისათვის ლექსი სიტყვასთან ბრძოლაში განცდილი ტანჯვაა: „არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი, როგორც პოეტის შთავონებით დასნეულება“, ყოველ ლექსს მოაქვს აღმაფრენა, სამაგიეროდ მიაქვს სიცოცხლის ნაწილი: „რამდენი ლექსი დაინერა, იმდენი წელი ჩამოწმენა ჩემს ცხოვრებას, ვით ადამიანს“.

„არგვეთის ღამეები“ – მშობლიური და გამორჩეული საღებავებით, მეტაფორული განცდებით:

ცაზე ვერცხლის მერცხლები

სხედან ლურჯ ბუდეებში,

მთვარე ცივად ეცემა

შქერის ტყეში გამართულ ტოტების

ბადეებში.

მთვარე – თეთრი ხოხობი

გაეხირა ტოტებში...

პაოლო ყოველთვის გატაცებით ყვებოდა თურმე ზემო იმერეთზე, არგვეთზე, მშობლიურ, დაუვინყარ პეიზაჟებზე. უყვარდა ნიკო ლორთქიფანიძისა და დავით კლდიაშვილის იმერეთი, ქუთაისი, კლდიაშვილისეული სამყარო, ასე შინაური და როგორღაც დამორცხვებული:

შენში გაცოცხლდა იმერეთი თავის

მაჭრებით,

მე ვუმზერ ბოსტნებს, ვინრო შარებს,

შეშის ბოგირებს.

აგერ, ირინე მენვრილმანეს აცდენს  
ვაჭრობით,

მღვდელი ზოსიმე დამშეულ ჯორს  
მოაბოგინებს.

თავლა და კალო, გალესილი ჩქარი  
ნამგალი,

ღობეში ღორი უღლიანი ღრიალებს  
მწარედ,

და სოლომონი, გაცრეცილი მხნე

მაჭანკალი,

ჭიშკართან ყვირის: „მაინძელო, გამოდი  
გარეთ!“

უკანასკნელ წლებში პაოლომ ერთი საუკეთესო ლექსთაგანი შექმნა – „ღირიკული მისამართიდან“, რომელიც დღეს მეტი სიმძაფრით აღიქმება:

მოუსვენრობა ვერაფერმა ველარ გახარა,  
გამოჩნდი იმ დროს, ეჭვები რომ მეზადებიან

ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ქალარა –  
ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია.

დიდია პაოლოს, როგორც მთარგმნელის, წვლილი ქართულ ლიტერატურაში. იგი გატაცებით თარგმნიდა რემბოს, ბოდლერს. მისი თარგმანები დიდად პოპულარული იყო; გ. ლეონიძემ, გ. ტაბიძემ და სხვებმა ზეპირად იცოდნენ.

გ. ლეონიძეს განსაკუთრებით ყვარებია თურმე ბოდლერის „სალამოს ჰარმონია“, ხშირად იმეორებდა ბოლო სტროფს:

მზე ჩადის სისხლში

და მაგრდება ის სისხლი მზეზე,

ელავს ბარძივით

შენზე ფიქრი უკანასკნელი.

პაოლომ დიდი შემოქმედებითი სითამამით და თავდადებით თარგმნა პუშკინი. პუშკინის ტომი უბით დაჰქონდა. არასოდეს უნახავთ მეგობრებს პაოლო ისეთი მშრომელი, როგორც პუშკინის თარგმნისას. „მას დავინწყებული ჰქონდა ყველა საქმე, ხშირად წვერის მოპარსვისთვისაც კი არ ეცალა“.

„საქართველოს მთებს ღამის ბინდი შემოჰყვინა,

ხმაურობს ბინდი არაგვის ხმაზე,

ჩემი მოწყენაც იოლია – ის ნათელია

შენის შვენებით და შუქით სავსე,

აღსავსე შენით, მხოლოდ შენით

მშვიდობა დადგა

და აღარავინ მიღვიძებს დარდებს,

და ისევ იწვის ჩემი გული და უყვარს, რადგან არ შეუძლია, რომ არ უყვარდეს“.

პუშკინი – „საქართველოს მთებზე“.

პოეტი თარგმნის პუშკინს, კითხულობს: შო-

თას, საბას, ვაჟას, მაგრამ უნინდელ შვებას ველარ გრძნობს, ნუგეშად მწერალთა ბაღში მეგობრებთან გატარებული დროდა ახსენდება – სულის მშვიდობა წარსულს ჩაბარდა!

ქართულად ვთარგმნი პუშკინის ამბავს, ახლა ჯერშია მისი „ციგნები“, მაგრამ სიჩუმე საუბარს აბამს: „მარტო ხარ, მარტო, მარტოც იქნები!“ ვკითხულობ შოთას, ვაჟას და საბას და ვერ მშველიან მათი წიგნებიც, ვწვები... თავამდე ვიხურავ საბანს, მესმის: „მარტო ხარ, მარტოც იქნები!“

სულ უფრო ცოტა დრო რჩებოდა ტრაგიკულ აღსასრულამდე. ამ ლექსის დაწერიდან სამი წლის შემდეგ პოეტმა უკანასკნელი წერილი მისწერა თავის ქალიშვილს და განუკურნავი დარდით გაეცალა ნუთისოფელს: „არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა. შენ უფრო უბედური იქნებოდი, მე რომ თავი არ მომეკლა. მედეა, მშვიდობით.“

პაოლო იაშვილი იმ საბედისწერო გასროლისათვის კიდევ მეტად შევიყვარეთ, რადაც ორლულიანი თოფიდან გამოვარდნილმა ცეცხლმა სიცოცხლეს აზრი დაუბრუნა, ღირსება შეჰმატა

და ადამიანად ყოფნის სიძნელეზე დაგვაფიქრა.

პაოლო იაშვილის თხზულებათა ძირითადი გამოცემები:

ლირიკა: რჩეული, – თბ.: „მერანი“, 1995.

ლექსები, – თბ.: კოლორპრინტი, 2000.

100 ლექსი, – თბ., 2006.

ფერადი ბუშტები, ტფ.: სახელგამი, 1927.

ლექსები, პოემა: თარგმანები. – თბ.: სახელგამი, 1955.

ოთარ შოფერი, – თბ.: საბლიტგამი, 1957

ლექსები. – თბ.: საბჭ. მწერალი, 1961.

ლექსები. – თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.

ფერადი ბუშტები. – თბ.: „ნაკადული“, 1968.

პოეზია, პროზა, წერილები, თარგმანები. – თბ., 1975.

ლექსები, პოემა. – თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1978.

ლექსები/პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი /– თბ.: საოჯახო ბიბლიოთეკა, 2010.

პაოლო იაშვილის ლექსები, ელენე დარიანის დღიურები (1915–1923), პროზა, პირადი მიმონერა. – თბ., 2011.

ფერადი ბუშტები. – თბ.: „მთანმინდა“, 2011.

## ღირსშესანიშნავი თარიღები

### დათო კოტორაშვილი

## ნიკოლოზ ბარათაშვილი - 195

### §1

„ვარდისფურცლობის ნიშანი არის და დრო ახალი პაემანისა“

(გიორგი ლეონიძე)

ანუ კრძალვით მიახლება 195 წლის ქართველ გენიოსთან – დიდ ნიკოლოზ ბარათაშვილთან – საიუბილეო პაემანზე!

### §2

„ხმა იდუმალი“

(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

მორიდებით შევალე კარი ჩვენს პოეტურ ნაკრძალში...

გამარინდა და სული შემიკრა, „ოდეს შვენება მისი ვიხლე“ და სმენად გადამაქცია შოთაის ვარდისფურცლობის... ბესიკის შემრისხველი ვარდის...

გრიგოლის ცისკრისა მიერ ავარდისფრებული აღმოსავლეთისა... თუ

ტატოს უასაკოთა და უსულთ შორის არსებუ-

ლი საიდუმლო ენის,

გამორჩეულად ვარდთა, პოლიფონიურმა სახისმეტყველებამ... და ამა

ხილვით შეყოვნებულ – დაგვიანებული ქართველი რამ დამალონოს...

თუმცა... იქვე – გამომაფხიზლებელი შეგონება I – „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“... და იმავე ხმამ მომინოდა II შეგონებით – „ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოვო შენი საშვენი“... და – შეგონება III – „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“...

ჭეშმარიტად!!!

„...და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“ – ანუ მრავალხმიანი სახისმეტყველება უენაპირო ბუნებისა, ე. ი.

„ხმა იდუმალი“:

ძირს გაშლილს ლამაზ ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა, და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სურნელებასა...

ვის ხმა არის ეს საკვირველი?... ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა შეუწყალისა სინდისისა?...

და მომდინარე ხან ზვირთთცემით, ხან ნელად მტკვარი, მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, უამთ მომჩივარი!...

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი? მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...“

„ვითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არემარეს!...“

„მორბის არაგვი, არაგვიანი, თან მოსძახიან მთანი ტყიანნი!...“ (1)

### §3

„ჩვენ ყველამ მხოლოდ ის ვიცით, რომ საგანი ლექსს ამშვენებს“

(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

ქართული ენათმეცნიერების პატრიარქი აკადემიკოსი აკაკი შანიძე ანალიზებდა რა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ენას, 1939 წელს ბრძანებდა: „... ბარათაშვილი რომანტიკოსია მთელი თავისი არსებით, რომანტიკოსია არა მარტო გონებითა და გრძნობით, აზროვნებითა და ემოციონალობით, არამედ აგრეთვე მათი გარეგანი გამოხატულების საშუალებითაც. ენით: სიტყვების მარაგით, მათი შერჩევით, ერთმანეთთან შეხამების ხერხით და, საზოგადოდ, ლექსიკურ-გრამატიკული საერთო ტონის მიხედვით“ (1,160).

როგორც ვხედავთ, ბატონი აკაკის განონათქვამში ტოლძალოვნადაა განანილებული ყურადღება როგორც ლინგვისტურ, ისე ლიტერატურულ მხარეზე ანუ მხატვრულ ენაზე, ჩვენთვის დღესაც რომ რჩება მაღალმეცნიერული ფილოლოგიური კვლევის ბრწყინვალე ნიმუშად...

გაივლის სამი ათიოდე წელი დაახლოებით და პროფესორი გრიგოლ კიკნაძე თავის მშვენიერ ეტიუდებში – „ექვსი საუბარი თემაზე: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1968 წ.) – როდესაც საუბრობდა პოეტის სტილის საკითხებზე, იტყვის: –

„აღნიშნავენ, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზიაში მკაფიოდ ჩანს არქაული ლექსიკის ფენა (თუმცა დასძენენ, რომ ამ მხრივ მისი შემოქმედება მაინც გამოირჩევა აღ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობისაგან)...

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სტილის თავისებურებას საგნისა თუ მოვლენის დასახასიათებლად შერჩეული ეპითეტებიც განსაზღვრავენ. თავი რომ მოვუყაროთ მის ლირიკაში მიმობნეულ ეპითეტებს, შევამჩნევთ მათ ერთიანობას, იმას, რომ ისინი გარკვეულ წრეში არიან მოქცეულნი. ნიკოლოზ ბარათაშვილი შემდეგნაირ ეპითეტებს მიმართავს: ლამაზი და მინაზებუი (ბუნება)... ღრუბლიანი, ცრემლიანი ან მცინარი (მთა)...

ნაზად მორე, მიმქრალი და მოწყენილი (მთვარე)... მობუნდვილი, გრილი და ამო (მაისის ღამე).

ამ ეპითეტებიდან ჩანს, რომ პოეტი გვერდს უვლის მოვლენათა გარეგნულ მხარეს, იგი თითქოს იჭრება მათ „შინაგან სამყაროში“ და ისეთ ეპითეტებს ირჩევს, რომლებიც პოეტის განწყობილებებს გამოსახავს და მოვლენებსაც შესატყვის გრძნობად ემოციურ ტონს აძლევს (2,205). ჩენ აქვე აღვნიშნავდით შემდეგ ეპითეტებსაც: საიდუმლო

(ენა) და იდუმალი (ხმა)...

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში, ეპითეტის გარდა, დიდი დატვირთვა ენიჭება აგრეთვე სიმბოლურ სახისმეტყველებას. „სიმბოლო კი, – ბატონ გურამ ასათიანის თქმით, განუყოფელი ელემენტია რომანტიკული პოეტიკისა, რადგან ობიექტური მასალა რომანტიკოს მხატვარს აინტერესებს არა მხოლოდ თავისთავად, არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც საშუალება საკუთარი სუბიექტური, სულიერი სინამდვილის გრძნობადი გადმოდცემისათვის...“ (3,92).

აღიარებულია, რომ სიმბოლო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენია ტროპულ მეტყველებაში. ის თეორეტიკოსებს ალევორიის მონაცვლე კატეგორიადაც მიაჩნიათ: „სიმბოლო და ალევორია გამოსახვის მონათესავე ფორმებია, მაგრამ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სიმბოლო განასახიერებს განყენებულ, ზოგად იდეას კონკრეტულად, ალევორიაში კი



ერთი კონკრეტული საგნის თვისება გადატანილია მეორე კონკრეტულ საგანზე (4,291).

ამ თვალსაზრისით, სიმბოლოს კლასიკურ ეტალონს წარმოადგენს ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“, რომელიც ბრწყინვალედ განმარტა დიდმა ილიამ. მისი განმარტებით, როდესაც პოეტმა „... ცის იქით ვერ იპოვა სადგური, მაგრამ მიანც თავის „მერნის“ იმედი არ დაჰკარგვია... მას სურს... საზღვარი ბედისა გაარღვიოს, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს... ბაირონის კაენმა ამისთვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს ფაუსტმა – მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა – თავისი „მერანი“, ესე იგი თავისის სულის ქროლა“ (5, 215–216).

შემდგომ ამისა, პოეტის სიმბოლური სახის-მეტყველების მდიდარი სალაროდან მოკლედ შევხებით კონკრეტულად ვარდის სიმბოლოს.

#### §4

„ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გუ-  
ლით მტკინავი“

(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

ჟურნალ „მნათობის“ 1960 წლის №2–ში გამოქვეყნებულია პროფესორ გიორგი ნადირაძის წერილი – „სენსორული ესთეტიკის საკითხი“. ავტორმა ღრმამეცნიერულად წარმოადგინა სენსორულ ესთეტიკასთან დაკავშირებული საკითხები. მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ხალხის ესთეტიკურ სიყვარულს ყვავილები-სადმი: „ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ პოეზიის ყვავილებზე, ხელოვნების აყვავებაზე, პოეტების ან მჭერმეტყველების ყვავილოვან ენაზე. „ყვავილები მუდამ იყვნენ და არიან ადამიანის განუშორებელი თანამგზავრები...“ (პაოლო მანტეგაცა)...

... ბარათაშვილმა გრძნობიერი სტრიქონები უძღვნა მინდვრის ყვავილთა „გუნდრუკის კმევას“:

„ძირს გაშლილს, ლამაზს ველსა ყვავილნი  
მოჰფენენ ვითა ტაბლას წმიდასა,

და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა შენდა  
აღკმევენ სურნელებასა!“ (6,129).

წერილის დასასრულს გვთავაზობს დასკვნას ყვავილთა მიერ ესთეტიკური სიამოვნების გამოხატვის თაობაზე: „სუნისა და გემოს ესთეტიკურ მნიშვნელობას ვერც ის გარემოება შეარყევს, რომ ისინი არ ჰქმნიან ხელოვნების ცალკე დარგებს. ორივენი უმთავრესად ემსახურებიან ბუნების მშვენიერებათა განცდას, ხოლო მათთან დაკავშირებული ესთეტიკური სიამოვნების გამოხატვა შეუძლია მხოლოდ პოეზიას“ (იქვე, გვ. 134).

ხუთიოდე წლით ადრე, როდესაც ბატონი

გიორგი ნადირაძე იკვლევდა „ვარდის სიმბოლიკას „ვეფხისტყაოსანში“, მან დეტალურად ჩამოაყალიბა ვარდის სიმბოლიკასთან დაკავშირებული სპეციფიკური ნიშნები:

1. „პოეზიაში ვარდი შემოვიდა უხსოვარი დროიდან. მის მომხიბვლელ სიტურფეს, საამო სუნსა და ფერებს, ხავერდოვან ფურცლებს და მოყვანილობას უნდა მიენეროს ის გარემოება, რომ იგი ძველთაგანვე აღიარებული იყო „ყვავილების მეფედ“ (6,135).

2. ვარდი შემოვიდა პოეზიაში როგორც სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლო (იქვე).

3. მალე ვარდის სიმბოლიკაში შემოვიდა სიყვარულთან დაკავშირებული ტანჯვაც;

4. ვარდი, როგორც მკაცრი და მიუკარებელი სატრფოს პოეტური სიმბოლო, რომელიც შეყვარებულს მტანჯველ გრძნობებს განაცდევინებს, დიდი ხნით დამკვიდრდა პოეზიაში (იქვე, გვ. 136).

მიჩნეულია, რომ ვარდის სამშობლოა ირანი და ამიერკავკასია (იქვე, გვ. 136). ამიტომ, ბუნებრივია, ვარდი ჩვენი შთაგონების წყაროდ ანტიკურობიდანვე იქნებოდა. „მისი პოპულარობა ვერ შეაფერხა ეკლესიამაც (ტენტულიანი – II-III ს. ს. და კლიმენტი ალექსანდრიელი – III ს.). პირიქით: „... თუ ხალხურ პოეზიაში და მის ჯანსაღ ნიადაგზე ამოზრდილ მწერლობაში ვარდის სახით მგოსნები ძველებურად უმღერენ სისხლსავსე მინიერ სიცოცხლეს, შუა საუკუნეების ჰიმნოგრაფიაში ეს უმშვენიერესი ყვავილი გადაქცეულია უკვე ასკეტური უმანკოების, ქრისტეს სისხლის, ბოლოს თვითონ ქრისტესი და ღვთისმშობლის სიმბოლოებად. მას შეხვდებით ქართულ საგალობლებშიც (მაგ. იოვანე საბანისძის ჰიმნში) და საეკლესიო დღესასწაულებშიც (6,136).

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რას განგვაცდევინებს ვარდთა მეტყველება „ვეფხისტყაოსნიდან“. პროფ. გ. ნადირაძის აზრით: „ყველაზე უფრო საგულისხმო ის არის, რომ ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლიკას დაკისრებული აქვს მაღალი იდეებისა და ემოციების გამოხატვა“ (6,140).

ნათელია, რომ ვარდთან დაკავშირებულ ეპითეტებში, შედარებებში, მეტაფორებში, გაპიროვნებაში, ალეგორიებსა თუ სიმბოლიკაში ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერაც ჩაქსოვილია ფიზიკური, გარეგანი მშვენიერებაც, ალალგულა სიყვარულიც, პოეტის მგრძნობიარე შინაგანი განცდების ფორიაქიც...

და ღვთივკურთხეული პოეზიის ნაკრძალის პატარა სავარდე უბანში მსურს მკითხველს შევთავაზო ტატოს ჯადოსნური ხელით გამოყ-



ვანილი ვარდების მინიატურული გამოფენა.

„ბულბული ვარდზე“ (იენისსა 18-სა, 1833 წ.)

ა. ბულბული, ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი:

„ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი,

მაღირსე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი,

მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფურცლებზედა მკონავი!“

„განთიადით ღამედმდე შევფრფინვიდი კოკრობას,

არ ვზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას, გალობას;

მქონდა მცირე ნადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას:

მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვჰფიქრობდი დაჭკნობას!“

ბ. „ღამე ყაბახზედ“ (1836 წ.)

„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები

ვერ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!“

ამა სიტყვაზე ვარდი ღანვთზედ მყის აეფურცლა,

ამ დროს ნიავმაც თეთრი კაბა მიმოუქროლა“.

გ. „თავადის ჭ... ძის ასულს, ეკ... ნას“ (1839 წ.)

მახსოვს სიამით,

ოდეს ტკბილის ხმით

ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,

პირმცინარითა

სინარნარითა

მგოსნის ყარიბს გულს ესხვიმფენარე!

დ. „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ (1839 წ.)

ჟუჟუნა თვალნი,

გულთა მომკვლელნი,

მოცინარობენ;

პანანა ტუჩნი,

ვარდებრ ნაფურცლნი,

ლხენას მოჰბერვენ.

ე. „არ უკიჟინო, სატრფოო“ (1841 წ.)

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარს ამოვავლო,

სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.

მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,

რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.“

ვ. „მიყვარს თვალები, მიბნედილები“ (1842 წ.)

„მიყვარს თვალები მიბნედილები,

ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;

მაგრამ როს ვუჭვრეტ, ზამბახ-ვარდთ ველად განენონვიან მათი ისრები.“

P. S. და ამ პატარა ვარდისუბანში გამოფენილ ვარდთა გულისგულში თუ რა აღტაცება, სულიერი განცდები, ნაღველი და ფორიაქი უნდა და დულს – „ნარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“ (ილია).

### § 5

„რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა“

(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

ქართული ლექსის დედოფალმა ანამ თვალი შეასწრო, რომ „მზისკენ გაფრინდა „მერანი“... თან რომ გაიყოლია „ლურჯა ცხენები“... იქ კი – „მოდგა თეთრტაიჭოსანი“... უცხო მოყმეს კი „შავი ცხენი სადავითა ჰყვა ღომსა და ვითა გმირსა“...

და გრგვინვით გადაუარეს ქართული პოეზიის მზით განათებულ ლაჟვარდს... ამის მხილველი რუსთველი ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ ალბათ ასე ბრძანებდა (მოკანანახედ მას დაუდგებოდნენ ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი):

შოთა:

ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!

შენთვის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო!

ილია:

გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არაინ, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარი გულისანი.

მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა.

აკაკი:

მართლა და ძნელია სულით ობლობა!

ვაჟა  
შენი მერანი კვლავაც რბის,  
მისი ნავალიც შთენილა,  
უმაღლოდ არ დაკარგულა,  
თუ ოდეს ცრემლი დენილა,  
მიიღე ჩემი სალამიც,  
გამოგზავნილი მთიდამა,  
„ჩვენი არაგვიც“ მუხლს გიყრის,  
გადმომქუხარი კლდიდამა.

გალაკტიონი  
ვდგევარ და გულთან მიპყრია ქნარი,  
ბარათაშვილი გადმოვსცქერი მშობლიურ  
არეს...  
ოჰ, სად, სად არი  
სატრფო ან მოძმე და მეგობარი?  
და განწირული აჟღერებით უღერს ჩემი ქნა-  
რი.

და ბოლოს  
დიდი პოეტის საიუბილეოდ გავიმეორებ –  
„ვარდისფურცლობის ნიშანი არის და დრო ახა-  
ლი პაემანისა“ – ჭეშმარიტად!!! კვლავ შევანევ  
გოგლას სიტყვებს:  
„შენი აჩრდილი თრთის მთანმინდაზე,  
შენი ნაქროლი აჩნია თბილისს!“

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. ა) ბარათაშვილი ნიკოლოზ, ლექსები. პო-  
ემა. წერილები. – თბ.: ფედერაცია, 1939.  
ბ) ბარათაშვილი ნიკოლოზ. 150: თხზულება-  
ნი. – თბ., 1968.

- 2. კიკნაძე გრიგოლ. ლიტერატურის თეორი-  
ისა და ისტორიის საკითხები. – თბ. 1978.  
3. ასათიანი გურამ. ვეფხისტყაოსნიდან ბახტ-  
რიონამდე. – თბ., 1974.  
4. ჭილაია ანდრო, ჭილაია რამაზ. ლიტერა-  
ტურულ ტერმინთა ცნებები. – თბ., 1984.  
5. ჭავჭავაძე ილია. თხზულებათა სრული  
კრებული: ათ ტომად, ტომი3: წერილები ლიტე-  
რატურაზე და ხელოვნებაზე; პრესა, ფელეტო-  
ნები. – თბ., 1953.  
6. ნადირაძე გიორგი. ლიტერატურული ნარკ-  
ვევები. – თბ., 1997.

**დათო კოტორაშვილი**

თუ ტატნობს ტატომ გადაუარა  
(ნიკოლოზ ბარათაშვილის გაელვებას)

დისკოგადახრით ნათება მთვარის,  
მტკვარს წყნარ ბუტბუტში ჩაეძიება...  
ჩამოცვივიან ციურნი ცვარნი...  
და... მთანმინდაზე ჩაეძინებათ...  
დგას აზარფეშით ქარი ამქარი  
და აფრიალებს დრომას ჯანლისას...  
შავი ყორანი ისევ აქ არი...  
ჩამოუშვია ფრთები თალხისა...  
საფლავის ქვებზე – ჩუმი ნაღველი...  
ძირმწარასა სვამს ბედი ქართლისა...  
სული ობოლი – დაუძრახველი  
ვერა–რა ძალამ გაახალისა...  
ვერ უხალისეს ძველმა უბნებმაც...  
გული გაბზარა ცივმა უარმა...  
ცა გადასერა კოჭლმა ღრუბელმა..  
თუ ტატნობს ტატომ გადაუარა?!

**თინათინ იოსავა**

**შიო არაგვისპირელი - 145**

(ზაქარია დედაბრიშვილი)

შიო არაგვისპირელი ქართულ მწერლობაში  
შემოქმედების თავისებური სტილით, ახალი  
ჟანრით – ნოველით დამკვიდრდა. ის აღიარებუ-  
ლი ნოველისტია. როგორც ჩანს, შემოქმედების  
ეს ჟანრი ეპოქის მაჯისცემას, განწყობილებას  
პასუხობდა და შეეფერებოდა. შიო არაგვისპი-  
რელის ლიტერატურული მემკვიდრეობა მოცუ-  
ლობით დიდი არ არის – დაახლოებით 30 წლის  
მანძილზე შექმნა ოთხმოცამდე ნაწარმოები,  
მაგრამ ის ერთ–ერთი პირველი მწერალია, ვინც  
შემოიტანა და დაამკვიდრა პროზაული ჟანრის  
მცირე ფორმები – ფსიქოლოგიური ნოველა,

ეტიუდი, ესკიზი, სურათი. ა. წერეთელმა მას  
„ახალგაზრდა სკოლის მეთაური“ უწოდა. არაგ-  
ვისპირელი ძირითადად განაგრძობდა ქართუ-  
ლი კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს,  
ამავე დროს კვლავ ერთ–ერთი პირველი იყო,  
ვინც მწვავედ განიცდიდა და თავისებურად  
წარმოაჩენდა ილიასეულ სოციალურ და ეროვ-  
ნულ პრობლემებს. მან თვალსაჩინო ადგილი  
მიუჩინა ეროვნული თვითშეგნების საკითხებს,  
გლექსკაცობის უუფლებო და დაბეჩავებულ ყო-  
ფას, იმდროინდელი საზოგადოების მანკიერე-  
ბის მხილებას.

შიო არაგვისპირელმა წერა დაიწყო 1886 წლიდან, მაგრამ მოკრძალებული იყო და ვერ ამჟღავნებდა. 1889 წელს ერთ ნაცნობს მისცა რედაქციაში მისატანად, ფსევდონიმიც მხოლოდ იმისთვის გამოიგონა, რომ ვინაობის გამჟღავნება არ სურდა. ამით აიხსნება, რომ მისი ნაწერების ბეჭდვა მოგვიანებით, 1890 წლიდან დაიწყო საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილში“. მისი ნოველის სათაური – „ესაა ჩვენი ცხოვრება“ – ნათლად ასახავს ავტორის შემოქმედების მთელ არსს. „ივერიის“ ფურცლებზე შიო არაგვისპირელი გამოდის ეტიუდით „ახალწლის ღამეს“. მას ზედიზედ მოჰყვა რამდენიმე ნაწარმოები: „სურათი ყმანვილების ცხოვრებისა“ (1892), „ჩემო შვინდავ“ (1897), „გმადლობ უფალო, გმადლობ“ (1897), „აბრეშუმის ცხვირსახოცი“, „ჰარამ – ხანის სურათი“, „შემუსვრილი სამი მცნება“ (1899). შიო არაგვისპირელი გულმხურვალე მამულიშვილი იყო და ნოველების მთელ წყებაში განაცხადა კიდევ თავისი დამოკიდებულება პატრიოტიზმთან და რევოლუციურ პროცესებთან: „აჰა, მოვიდა მოგვი არმოსავლეთით“ (1900), „მინაა“, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“, „ორივე“ (1901), „მიჯაჭული ამირანი“ (1908), „სამარცხვინო ბოძთან“ და სხვ.

მისი ნაწარმოებების გამოსვლისთანავე მათ ფართო მკითხველი საზოგადოების დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს. ავტორი უმთავრესად ცდილობს მორალის, ცხოვრების არსის, ადამიანის რაობის, მისი დანიშნულების, საზოგადოებასთან მისი დამოკიდებულების გარკვევას. ასეთი მოტივები განაპირობებს უმთავრესად მის შემოქმედებას, რომლებშიც მან შექმნა „პატარა ადამიანების“ – მებრძოლი სულისკვეთებითა თუ ნიჰილიზმით აღსავსე პერსონაჟების, მაღალი ზნეობრივი თვისებებით გამორჩეული თუ დაკნინებული ადამიანების მდიდარი გალერეა. ჩვენი მწერლობის კორიფეები ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი დიდი აღ-

ფრთოვანებითა და თანაგრძნობით შეხვდნენ შიო არაგვისპირელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლას. აკ. წერეთელი 1896 წელს ახალგაზრდა მწერალს ლექსსაც უძღვნის („არაგვისპირელს“).

შიო არაგვისპირელი აღიზარდა ქართველ თერგდალეულთა და ხალხოსან მოღვაწეთა წრეში და აგრეთვე რუსეთის 60–80–იანი წლების ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედებაზე. მწერლის მიერ ნოველის ცნება, შიოს გაგებით, თავისში ითავსებს სხვადასხვა სახის პატარა მოცულობის ჟანრებს, როგორცაა – ეტიუდი, ესკიზი, სურათი, წერილი, ამბავი, მონოლოგი და სხვ.

მწერალი თავისი ნოველების მასალას ქართული სინამდვილიდან ჰკრებდა, მაგრამ თემა საერთო საკაცობრიო პრობლემად იყო გადაქცეული: პიროვნებისა და საზოგადოების შეჯახება, წინააღმდეგობა ბედით კმაყოფილთა თუ ბედუკუდმართთა შორის, ადამიანის ბედნიერება თუ უბედურება... მწერლის მიხედვით,

ადამიანის ბედი ხშირად უაზრო შემთხვევებით იქსოვება და წყდება („ესაა ჩვენი ცხოვრება!...“ „ყველაი დავკარგე!“ და სხვ.

შიო არაგვისპირელის პირველი მწერლობის ნიმუშებმა, 1886 წლიდან დაწყებული, სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ვინაიდან მისი ნაწერები ვარშავაში დაპატიმრების დროს ჟანდარმერიას მთლიანად წაუღია (1894) მას აუარებელ ჩონჩხებად ჩამოსხმული მოთხრობები ჰქონდა.

ცხოვრების მძიმე სოციალური და პოლიტიკური პირობები შიოში გამუდმებით მწვავე რეაგირებას იწვევდა. იგი კარგად იცნობს ისტორიულად გამუდმებით შევიწროვებულ პირობებში მყოფი გლეხაკაცის სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ სატკივრებს, გამძლე ბუნებას; იგი კარგად ითვისებდა, რომ მიუხედავად მძიმე, აუტანელი პირობებისა, გლეხი ერის ცხოვრებაში მუდამ საღი, საიმედო ძალა



იყო. ამისდამიუხედავად, შიო დიდი გულისტკივილით ხედავდა გლეხის დაუფასებლობას როგორც პრივილეგიური კლასების მიერ, ისე ხელისუფლებისაგან. თავის „უბის წიგნაკში“ შიო მწერლობის დანიშნულებას ასე განმარტავს: „უნდა აინეროს ადამიანის ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრება“ და ობიექტურად გვიხატავს გლეხს მის ყოველდღიურ გარემოში, მის საქმიანობას – („ესაა ჩვენი ცხოვრება!...“, „ჩემო შვინდავ!“), „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!...“, „მამას მინა მივაყარეთ!...“, „მერე რილათი იცხოვროს?!“, „ადე, ჩამოვიდა!..“ და მრავალი სხვ. ნაწარმოებში „საშინელება“ მოცემულია ნამდვილი ამბავი. შიო არაგვისპირელი კარგად გრძნობდა კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ძვრებს, მაგრამ აგრეთვე სოციალურ დაჯგუფებასაც. ნიადაგამოცლილი ფეოდალური კლასი უფლებების შენარჩუნებას მაინც განაგრძნობს დაუცველი გლეხობის მიმართ.

მე-19 საუკუნეში 60-იანი წლებიდან ხალხის მასებმა დაიწყეს გამოღვიძება. დრო და სამწუხარო რეალობა დაუინებით მოითხოვდა სწავლას, ხალხში ცოდნის ფართოდ დანერგვა-გავრცელებას, სოფლად სკოლების დაარსებას. ეს საქვეყნო საქმე სახელმწიფო გაბატონებული კლასების მიერ მაგრად იყო დამუხრუჭებული. თუ რომელიმე სოფელში იხსნებოდა სკოლა, არა გლეხთა ინტერესებისა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, არამედ პირადი სარგებლობისათვის. ასეთ მდგომარეობას ასახავს შიო არაგვისპირელი ნაწარმოებში „არ გვინდა, არა!“ (1891). 80-90-იან წლებში ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და პრესაში მწვავედ იყო დასმული სკოლის პრობლემა. ამ პრობლემას ეხმიანება ნოველა „განი“, რომელიც სახალხო განათლების მაშინდელ სისტემას მწვავედ ამათრახებს. შიო არაგვისპირელის დამსახურება ისიც არის, რომ, მიუხედავად შევიწროვებისა, მან გვიჩვენა გლეხობის გამოღვიძება, გააქტიურება. მწერლის გადმოცემით, გლეხს შესანიშნავად ესმის, საიდან და როგორ უნდა დაიწყოს მისი მდგომარეობის გაუმჯობესება. 80-90-იან წლებში. შიო არაგვისპირელმა ამ საკითხის გარკვევაში თავისი სიტყვა თქვა, ნოველაში „მერე, რილათი იცხოვროს?..“ მისი შეხედულებით, ქვეყნის აღორძინების საქმეში უპირატესობა სამეურნეო – ტექნიკურ განათლებას უნდა მისცემოდა. შიო არაგვისპირელმა ბურჟუაზიული ყოფის საშინელება, სადაც გამეფებულია ძალმომრეობა, დაუნდობლობა, სა-

დაც ყველაფერი ფულით იზომება და იყიდება, აღწერა ნოველაში „აბრეშუმის ცხვირსახოცი“. მან შექმნა ისტორიულ დრამატული ნაწარმოები „შიო თავადი“. ამ ჟანრით მწერალს სურდა საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სურათი მოეცა. ასეთივეა მისი რომანი „გაბზარული გული“. რომელიც დაიწერა 1926 წელს. მას თვითონ არაკი უწოდა, მასში წინ წამოწეულია ზღაპრული ნაკადი. მწერალი ოსტატურად უხამებს ერთმანეთს არაკსა და ყოფით რეალობას, რითიც ქმნის ახლებური ფორმის რომანს. პიესები შიო არაგვისპირელისათვის ბრძოლის მთავარი იარაღია.

შიო არაგვისპირელის სიყვარული და თანაგრძნობა ფართო, მაღალი და უნივერსალურია. მისი გადმოცემით, საჭიროა კაცი გაუფრთხილდეს მოძმეს, თანაუგრძნოს, შეიბრალოს და სიყვარულით ექცეოდეს მას; გონივრულად იყენებდეს თავის უპირატესობას. ნოველაში „და-ძმა“ შიო არაგვისპირელის სტილისათვის დამახასიათებელია ეზოპეს ქარაგმული, იგავური ენა, ის დიდი ოსტატობით გადმოსცემს ხალხის ყოფით მოვლენებს, რომლებშიც მკვეთრად მჟღავნდება სახელმწიფოში გამეფებული თვითნებური პოლიტიკა. ძალაუფლების მქონენი ისე იყენებენ ჩაგრულთ, როგორც მონებს.

შიო არაგვისპირელის ფსიქოლოგიურმა ეტიუდმა „ადრე, ჩამოვიდა!..“ ქართულ ტრადიციებზე დაყრდნობით და მსოფლიო ლიტერატურის მიღწევების გათვალისწინებით თვალსაჩინოდ გაამდიდრა ქართული ბელეტრისტიკა. შ. არაგვისპირელის შემოქმედებაში კლასიკურ სიმალეს მიაღწია ქართულმა ნოველამ, რომელიც სიახლის იერსაც ატარებდა და საუკუნის დასაწყისის საზოგადოების განწყობილებასაც ესადაგებოდა.

#### ლიტერატურა:

ზანდუკელი მიხეილ. შიო არაგვისპირელი: ცხოვრება და შემოქმედება, – თბ., – 1966.

ქართული პროზა: წ.17, შიო არაგვისპირელი. – თბ., 1989.

არაგვისპირელი შ. თხზულებათა სრული კრებული. ს. ჭილაიას შესავალიწერილი: „შიო არაგვისპირელი“. ტ. 1. – თბ., 1947.

არაგვისპირელი შ. თხზულებათა სრული კრებული: ტ. 2. – თბ., 1947.

არაგვისპირელი, შ. გაბზარული გული: ქართული არაკი; რომანი. – თბ., 1947.

არაგვისპირელი, შ. მოთხრობები: მოკლე ბიოგრაფიული ცნობებით – თბ., 1948.

# იური სიხარულიძე

პროფესორი

## წმიდა ექვთიმე - ღვთისკაცი

ექვთიმე თაყაიშვილი - 150

2012 წლის 5 ივნისს ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა. იგი შუა გურიის ერთ-ერთ განთქმულ თემში (ლეხოური) დაიბადა და აღიზარდა.

აზნაურის ოჯახის შვილი კი გახლდათ მეცნიერების მომავალი რაინდი (როგორც მას ნ. ბერძენიშვილმა უწოდა), მაგრამ იმ დროს, როდესაც ექვთიმეს ასე სჭირდებოდა მშობელთა ზრუნვა, არც ერთი ჰყავდა შემწედ და არც მეორე.

ამას დაერთო ფეხის დაზიანებაც და დიდ გასაჭირში აღმოჩნდა.

გაჭირვება ენით აუნერვლი გახლდათ, მაგრამ ბედის ირონიით გახეიბებული ექვთიმე არამცთუ ეპუებოდა საწუთროს ვერაგობას, პირიქით, დიდი მხნეობითაც ებრძოდა კიდეც ყოველ სიძნელეს.

თუ არა სულის სიძლიერე, სუსტ სხეულში ჩაბუდებული დიდი ძალა, ქართველ ხალხს ექ. თაყაიშვილი არ ეყოლებოდა.

ქუთაისის დიდი ტრადიციების კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ექ. თაყაიშვილმა რუსეთის იმპერიის ისეთ სახელგანთქმულ უმაღლეს სასწავლებელს მიაშურა, როგორც პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახლდათ.

უნარიან სტუდენტს სურდა, რომ უნივერსიტეტის საისტორიო სფერო უფრო საინტერესო ყოფილიყო, მაგრამ სტუდენტის სულში იმ დროს არც ისე ბევრს ძალუძდა ჩახედვა.

ექ. თაყაიშვილს ხშირად გამოუთქვამს საყვედური პეტერბურგის საისტორიო სკოლაზე, მაგრამ ამით იმ მანკის წარხორცვა შეუძლე-

ბელი იყო და იმ სკოლაგავლილთა ერთადერთ ხსნად საკუთარ დაკვირვებათა გზით სვლის გარდა სხვა გზა არ გააჩნდათ.

იმარჯვა უნარმა და ექვთიმეც შესანიშნავი მეცნიერი დადგა.

ამ წარმატებაში არც ნ. მარის მაგალითის ძალა დასავეინყებელი.

„ღმერთმა მარი მოგვივლინა,

ის პირველი ჩაწვდა წიაღს,

თაყაიშვილი მას მოჰყვა

წლებს რომ ლეგენდებად მიაქვს“.

წერდა ერთ დროს ექ. თაყაიშვილით უზომოდ გატაცებული ამ სტრიქონების ავტორი.

და ასეც იყო.

იშვიათია ჩვენში ისტორიკოსი, რომელსაც იმდენი ლეგენდა ეხვეოდეს გარს, რამდენიც წმიდა ექვთიმე ღვთისკაცს.

სწორეც ლეგენდები აღიადებენ ამა თუ იმ მოღვაწეს. და ამ ტიპის მოღვაწეა კიდეც ექ. თაყაიშვილი, რომელიც დღეს მთანმინდიდან გადმოგვცქერის წმინდანის მანტიით მხარდამშვენებული,

მთანმინდაზე არ იგრძნობა ისტორიკოსთა

სიმცირე, მაგრამ ჯერჯერობით წმინდანად მხოლოდ ექ. თაყაიშვილია შერაცხული (ერთადერთი ქართულ საისტორიო მწერლობაში).

მომავალი წმინდანი და დაულალავი მეცნიერი ნახევრ საუკუნეს გადაცილებული იყო, როდესაც 1918 წელს დაუცველად მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

ამ დროს მისი უმცროსი მეგობარი ნ. მარი უკვე კარგახნის აკადემიკოსი ბრძანდებოდა,



მაგრამ ეს მას კი არ აღიზიანებდა, პირიქით, მეტი ძალისხმევით მოუწოდებდა.

მეცნიერების დოქტორობას მალე პროფესორობაც მოჰყვა. 1918 წელს გახსნილ თბილისის უნივერსიტეტში ექვთიმეს შემთხვევით როდი მიენდო არქეოლოგიის კურსის წაკითხვა.

ერთბაშად ასე დანიანაურებული მეცნიერი 1919 წელს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის (კარლო ჩხეიძე) მოადგილედ აირჩიეს. ეს უკვე მაღალ საპოლიტიკო სარბიელზე გასვლასაც გულისხმობდა.

ორიოდე წელიწადი დაჰყო ექვთიმე თაყაიშვილმა ამ თანამდებობაზე და უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობას.

გავიდა დრო და საქართველოს რუსეთის ბოლშევიკები შემოადგნენ დასაპყრობად ქართველი ბოლშევიკების შეთანხმებით. საბჭოთა არმიების უკუგდება შეუძლებელი გახდა და პირველი რესპუბლიკაც დაეცა.

იმის შიშით, რომ ახალ ძალას საქართველოს უნიკალური განძეულებანი არ გაეტანა სიმდიდრე საზღვარგარეთ, გადაწყდა და განძის მეთვალყურეობაც პროფ. ექ. თაყაიშვილს მიენდო.

თუ ეს მოვალეობა არა, შეიძლება მას არც ეფიქრა ემიგრაციაში გამგზავრებაზე.

მაგრამ ექ. თაყაიშვილი, რომელსაც განძის დაცვის მძიმე მისია დაეკისრა, ბოლომდე დარჩა ამ დიდი ეროვნული საქმის ერთგული და ქვეყანამაც დაუფასა ამაგი. ემიგრაცია ყველა ქართველისათვის მძიმე გამოდგა, მაგრამ ექ. თაყაიშვილისა და მისი ოჯახისათვის კიდევ უფრო სასტიკი და აუტანელი.

ყოველდღიურ ნერვიულობას და აუნერელი სიდუხჭირეს ვერ გაუძლო ექ. თაყაიშვილის ნაზმა მეუღლემ და ეს შესანიშნავი პიროვნება (ნინო პოლტორაკაია) 1934 წელს გარდაიცვალა ლევილში.

სასიყვარულო მეუღლისა და მხარში მდგომის ასე ავბედითი განშორება უდიდესი ტრამვის მომგვრელი გახლდათ უკვე ასაკში შესულ (ის იმ დროს 72 წლის გახლდათ) ექ. თაყაიშვილისათვის.

დაუძლურებული მოხუცი არსებითად მართო დარჩა და ვიდრე სამშობლოში დაბრუნდებოდა, 10 წელი საშინელ მდგომარეობაში გაატარა.

მეოთხედ საუკუნეზე ცოტა მეტხანს დაჰყო მომავალმა წმინდანმა ემიგრაციაში და 1945

წლის 11 აპრილს დაუბრუნდა თავის მონატრებულ სამშობლოს იმ საგანძურით, რომლის გამოხსნაც მეორე მსოფლიო ომში მიღწეული გამარჯვებით შეძლო ი. სტალინმა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ექ. თაყაიშვილი ჩამოსვლიდანავე აირჩია თავის ნამდვილ წევრად. გამოჩენილ მეცნიერს არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უცქერდა შორიდან.

თავდაპირველად მას მუშაობის კარგი პირობები შეექმნა. სახელოვანი მეცნიერის პატარა ბინა ვაშლოვანის ქუჩაზე (№6), რომელიც წლის განმავლობაში თვალსაჩინო სამეცნიერო ცენტრად იქცა. აქ ნახავდით ქართული მეცნიერების კორიფეებს – აკადემიკოსებს აკაკი შანიძეს, ნიკო ბერძენიშვილს, გიორგი ჩუბინაშვილს და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენ სხვა დიდებულ მოღვაწეს.

მაღლობას ვწირავ უფალს, რომ ამ დაუვიწყარი ცენტრის კარი არც მე მიმიხურა და დაბრუნებისთანავე დამაახლოვა ექ. თაყაიშვილთან, რომელიც ერთხანს საკანდიდატო დისერტაციის (გურიის 1841 წლის აჯანყება) მეცნიერულად დამუშავებაშიც მინევდა დახმარებას.

ჩემდა სამწუხაროდ, წმ. ექვთიმე ღვთისკაცი ვერ მოესწრო ამ გამოკვლევის დაცვას, რადგან 1953 წლის 21 თებერვალს გარდაიცვალა.

ექ. თაყაიშვილი სიცოცხლეში დიდი მოგზაური ბრძანდებოდა, სიკვდილის შემდეგაც „გაგრძელდა“ ეს.

იგი ჯერ ვაკეში დაკრძალეს, საიდანაც შემდეგ დიდუბეს გადაასვენეს, ხოლო ბოლოს მთანმინდას დამკვიდრდა.

დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ექ. თაყაიშვილის სახელი უკვდავია. ის სალოცავ ხატად იქცა როგორც წმინდანი. მასზე იწერება მოგონებები, მონოგრაფიები, დამსახურების ამსახველი სტატიები, ლექსები. მას სხვიმოსილ ადამიანს უწოდებენ, როგორც ეს პოეტ გ. ლლონტს აქვს მოცემული ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში, როდესაც წერს:

„დიდი ექვთიმე სხვიმოსილია,  
კრძალვით, დიდებით სალაპარაკო,  
ის გვერდით უდგას ჩვენს დიდ ილიას –  
შვების მომგვრელი და საარაკო!“

ლია გიბაური

## მწერალი, ზემოქმედი, რედაქტორი

ნინო ნაკაშიძე... გადავხედე წერილებს, რომლებშიც მას დაბადებიდან ოთხმოცდაათ წლის-თავს ულოცავენ... ზოგი დაუბერებელ ამაგ-დარს უწოდებს, ზოგი – ალოგატანილ მწერალს, ზოგიც – საუკუნის კართან მიწვენილ მსცოვან შემოქმედს... თითქოს დროს გადააბიჯა და აღ-არასოდეს დატოვებს ამქვეყნიურ ცხოვრებას... ასორმოცი უსრულდება დღეს მას ზეციურ სამ-ყოფელოში... უკვე დიდი ხანია, მოარულ ფრა-ზადაა ქცეული გამოთქმა: „ვინ არის დამნაშა-ვე“. ეს მისი სიტყვებია, რომელიც მან თავისი დრამის სათაურად გამოიყენა და დაამკ-ვიდრა ქართულად. იშვიათად ვინმეს თუ გაახსენდება, ეს მოარული ვა-მოთქმა ვინ დაამკვიდრა ჩვენში.

ნინო ნაკაშიძე იყო XIX-XX საუკუნეების ქართველი მწერალი ქალი, ნამდვილი საზოგადო მოღვაწე, ნაბი-ჯანყობილი რომ მიუყვებოდა ჩვენი სამშობლოს იავარქმნილ გზას, თით-ქოს მაშინდელ განათლე-ბულ კაცთა ჩვეულება ყოფილიყოს სამშობლოს მხარში დგომა და სწო-რედ ამ შეუდარებელი პატრიოტობის გამო გვინ-და, ერთხელ კიდევ გავიხ-სენოთ და საზოგადოებასაც შევახსენოთ მამულიშვილი ქალბატონის ცხოვრების მნიშ-ვნელოვანი თარიღები. ერთად მოვიგონოთ, რა არგო მან ჩვენს ქვეყანას...

ნინო ნაკაშიძე (ქალიშვილობის გვარი ანთაძე) დაიბადა 1872 წელს ოზურგეთის რა-იონის სოფელ ბახვში. მამა ღარიბი აზნაური იყო, რუსეთ-თურქეთისა და დაღესტნის ომე-ბის მონაწილე, ჭკუასაკითხავი, დაუზარელი მუშა, დედა – ჯაყელის ასული. მათი ავლადი-დება მდიდარი წიგნსაცავი ყოფილა, სხვა თავ-მოსაწონი არაფერი ებადათ. „ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც ვერ აუდიოდნენ გადა-სახადებს, ღალასა და კულუხს, ტყესა და მიწა-ზე დაწესებულ ბაჟს. იშვიათად სადმე ოჯახში თუ ინთებოდა კვამლიანი ქონის სანთლები,

თორემ ძირითადად კერიის ცეცხლით სარგებ-ლობდნენ... ექიმი იშვიათობა იყო, ან კი ბი-უროკრატული სულისკვეთების ექიმი ღარიბის-თვის თავს შეინუხებდა? „როცა ავადმყოფობა გაივლიდა, მიცვალებულებს დამარხავდნენ და ჰაერი გაინმინდებოდა, მაშინ ნაბრძანდებოდა უფროსი ექიმი სოფლებში“.

ამგვარ გაჭირვებაში ნამოზრდილი ნინო მშობლებმა განათლების მისაღებად მიაბარეს ცნობილ პედაგოგებს – გიგო და ნინო შარა-შიძეებს, შემდეგ კი ოზურგეთის ორკლასიან სასწავლებელში გადაიყვანეს. იქ მას ჯერ ნინო ქიქოძე ასწავლიდა, შემდეგ – მა-რიამ ივანოვა (დემურია). ამ სასწავ-ლებელში ქართულ ენას მხოლოდ ერთი საათი ეთმობოდა და ბავ-შვები რუსულ მეტყველებას ადვილად ვერ ეჩვეოდნენ. ნინომ ოჯახის უსახსრობის გამო სწავლის გაგრძელება ვეღარ შეძლო და, მარიამ დემურიას უშუალო რჩე-ვა-დარიგებით, თბილი-სის საბებიო ინსტიტუტ-ში შეიტანა საბუთები. აქ მას კერძო გაკვეთილებიც ჰქონდა და ამით ირჩენდა თავს. თბილისშივე გაიცნო ნინომ მომავალი მეუღლე პეტერბურგის უნივერსი-ტეტის ფილოლოგიური ფა-კულტეტის სტუდენტი ილია ნაკაშიძე, რომელიც იმხანად დროებით იმყოფებოდა საქარ-თველოში. მას გატაცებით შეუყვარ-და ნინო და, რადგანაც ოჯახები დიდად არ მიესალმებოდნენ ამგვარ ქორწინებას, გა-დანყვიტა, რომ საკუთარი სახსრებით მოეწყო ოჯახი. ილიამ იზრუნა ნინოს შემდგომ სწავ-ლა-განათლებაზეც – ასწავლიდა ენებს, ხელს უწყობდა სამუშაოს შოვნაში... დაქორწინე-ბის შემდეგ ნაკაშიძეები ერთ ხანს მოსკოვში ცხოვრობდნენ. ამ დროს გაიცნო ნინომ ლევ ტოლსტოი, რომელიც იმხანად ფილოსოფიურ ნაშრომებს ქმნიდა და საკმაოდ დაახლოებუ-ლი იყო დუხობორებთან. როგორც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლება დევნიდა ამ მოძღვ-



რებას და მის მიმდევრებს რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში ასახლებდა. დუხობორები ახალციხეშიც იყვნენ გადმოსახლებულნი, თუმცა რუსეთის ეკლესია მათ იქაც არ აყენებდა და ქართლის სოფლებში ფანტავდა. ტოლსტოიმ დააარსა სპეციალური ფონდი, რომლის ხელშეწყობითაც ხდებოდა მათი მიგრაცია სხვა ქვეყნებში. ამ საქმეში მას ქართველი დიდგვაროვნებიც ეხმარებოდნენ. მათ შორის იყო ილია ნაკაშიძეც. „ტოლსტოი მიყვარდა, – წერს თავის მოგონებებში ნინო ნაკაშიძე, – როგორც „ომისა და მშვიდობის“, „ანა კარენინას“ და სხვა მსგავს ნაწარმოებთა ავტორი, მაგრამ მესინოდა მისი ფილოსოფიური მოძღვრებისა“.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნაკაშიძეების ოჯახი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქართული ინტელიგენციის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ერთად მათ დიდი ღვაწლი დასდეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას როგორც მატერიალურად, ასევე თავისი მონდომებითა და თავდაუზოგავი შრომით. მოგეხსენებათ, ამ საზოგადოებამ გამოითხოვა ნებართვა – ებეჭდა ქართული წიგნები, გაეხსნა ქართული ბიბლიოთეკები, ქართული სკოლები და ქართული წიგნის მაღაზიები.

საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად, ნინო ნაკაშიძე ეწეოდა ნაყოფიერ სამწერლო საქმიანობას – 1903 წელს დაბეჭდა პირველი მოთხრობა „ძიძა“, 1904 წელს – პირველი საბავშვო მოთხრობა გამოაქვეყნა. ამას მოყვა „ასპირიზის დახვრეტა“, „გურიის სოფელში“, ოთხმოქმედებიანი დრამა „ვინ არის დამნაშავე“, „მოვალეობა“... ამ საქმეში ნინო ნაკაშიძეს ხელი შეუწყო ლიტერატურასა და ხელოვნებასთან ხანგრძლივმა წილნაყარობამ, მეუღლის ოჯახმა. მისთვის უცხო არ იყო თეატრი და სცენაზე თამაში. მან იმოღვაწა მუშათა თეატრში და აღსანიშნავია, რომ გ. სუნდუკიანის პიესაში „პეპო“ ეფემიას როლი შეასრულა. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ადვილი არ არის თეატრის კორიფეების ნათამაშევი როლების განსახიერება, ისიც არაპროფესიონალი შემსრულებლისაგან. გ. სუნდუკიანი ისე აღფრთოვანებულა, რომ შემდეგი სიტყვებით მიუმართავს მათთვის: „ჩვენი დიდი არტისტები ჩემს პიესებს არტისტულად თამაშობენ, თქვენ კი ისე თამაშობთ, როგორც დამინწრიაო“. მწერალს კარგად ესმოდა თეატრის მნიშვნელობის სიდიადე ბავშვის სულიერი და ესთეტიური აღზრდის საქმეში. ამიტომაც დღეს ნინო ნაკაშიძეს საპატიო ადგილი უჭირავს ქართული საბავშვო თეატრის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთ მის

დამაარსებელს.

გასაოცარია ნინო ნაკაშიძის ნიჭიერება ხასიათების ძერვისა – ლაკონურობა, სიზუსტე, საზოგადოებრივი სახე. ამ მხრივ თითქმის ყოველთვის გამოირჩეოდნენ ქართველი მწერალი ქალები. მათ სხვაზე მეტად ხელენიფებოდათ თანადროული მოვლენების აღწერა, რაც უთუოდ დიდ ნიჭსა და უნართანაა დაკავშირებული, ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი „ძიძაში“ ისეა წამოჭრილი, რომ თავისი სიმძაფრითა და აქტუალობით ჩვენს ეპოქას ეხმიანება. XIX საუკუნის ცხოვრებისეული პერიპეტეიების გაცნობა დღევანდელი გაცემაში უფრო მეტად დაგვეხმარება, თუ არ დავივიწყებთ ნინო ნაკაშიძესა და მისი თაობის მწერლებს.; ოჯახს მონყვეტილი ქალის განსაცდელი ჯერ მისი საკუთარი ოჯახის, ხოლო შემდეგ მთელი ქვეყნის განსაცდელად გადაიქცევა, რადგან ოჯახის სარჩენად გზა-შარას გაკიდებული ქალის შვილები ბევრ სიკეთეს და სულიერ საზრდოს არიან მოკლებულნი. მოთხრობაში „ძიძა“ მთავარი პერსონაჟი ქრისტიანე გაჭირვებამ აიძულა, რომ ბათუმში ერთ-ერთ მემამულეს ძიძად დასდგომოდა. მისი ბუნება სრულად გამოცვალა იქაურმა ყოფამ, მიატოვა თავისი შვილი მაროიე, რომელიც მოუვლელივით გარდაიცვალა: „ქრისტიანე გადაეჩვია მის სიყვარულს ისე, როგორც გადაეჩვია თავის სოფლურ ცხოვრებას. მხოლოდ ხსოვნაში, მოგონებით უყვარდა მას შვილი. მის დედობრივ სიყვარულს კი სრულიად აკმაყოფილებდა თავისი გაზრდილი, რომელსაც ის უწევდა დედობას“.

ამ საკითხსვე ეხმიანება ნინო ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე“. ოჯახის პატრონი სიკო ამერიკაში მიემგზავრება სამუშაოს საპოვნელად, თავისი ოჯახი რომ გადაარჩინოს. მისი ცოლი ფატი ფუფუნებაზე მეოცნებე დედამთილის სალიხესა და ავყია, უზნეო მეზობელი კაცის მსხვერპლად იქცევა. ოჯახი სულიერად გავერანდა; დიდი ოდა კი წამოჭიმეს, მაგრამ მატერიალურმა კეთილდღეობამ სულიერი კეთილდღეობა ვერ მოიტანა, ამერიკიდან დაბრუნებულმა სიკომ მისი უბედურების სიმბოლო – მდიდრული ოდა ცეცხლს მისცა... ამ ნაწარმოებებით ნათლად ჩანს, რომ მწერალი დაუფარავად გამოხატავს თავის შინაგან ამბოხს არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ.

ნინო ნაკაშიძე პირად ცხოვრებაშიც ასეთივე დაფიქრებული, კეთილის მრჩეველი და მონყალე იყო, როგორც შემოქმედებაში – ზრდიდა ნაშვილებს, იფარებდა ბევრ გაჭირვებულს – მეზობელს, მეგობარს, ნათესავს, თანამებრ-



ძოლს. თვითონ სპეცაკსა და ზრდილს, ვერ წარმრედგინა ვინმესთან დაპირისპირება.

ნინო ნაკაშიძე ცხოვრებაში ბევრ რამეს შესწრებია. იგი მოწმე გახდა ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის პაექრობისა სათავადაზნაურო ბანკთან დაკავშირებით. განსაკუთრებით არ მოსწონებია ილიას სიტყვები, ივანე მაჩაბელი „ვანკა-ვსტანკას“ რომ შეადარა. ასეთი უკმეხობა დიდი მწერლისა და სზოგადო მოღვაწისათვის შეუფერებელ საქციელად მიაჩნდა. მის დაკვირვებულ თვალს არ გამოპარვია საგურამოში ილიას გარდაცვალების დღეებში მისი მოურავის, ჯაშის შეშფოთება და ჩაშავებული თვალები. გაკვირვებია ისიც, საგურამოს მთელი სასახლე ილიას დაკრძალვამდე ერთბაშად რომ დაცარიელებულა და გავერანებულა – იქ არ აღმოჩნდა ჭირისუფლისთვის საკმარისი თევშები, დანა-ჩანგლები, კოვზები, ლამბაქები... ქვეშაგები... „თითქოს ერთ დღეში გაეძარცვათ ყველაფერი“.

ნინო ნაკაშიძე 1910–28 წლებში რედაქტორობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულს“. ეს ჟურნალი „ქართველმა ხალხმა აღიარა – წერდა იგი, – თუმცა ჩვენი გადაგვარებული არისტოკრატები არ უწერდნენ შვილებს ქართულ ჟურნალებს. ზოგს ეშინოდა, ბავშვებს აქცენტი გაუფუჭდებათო, ქართულს ისედაც ისწავლიან და ცხოვრებაში გამოსადეგი ენები უნდა ისწავლონო, ქართული რაში გამოადგებათო“. ნინო ნაკაშიძესთან რედაქციაში მიდიოდნენ ცნობილი მწერლები და პუბლიცისტები: თედო და ბაჩანა რაზიკაშვილები, ილია, აკაკი, იროდიონ ევდოშვილი, ვაჟა-ფშაველა... რედაქტორმა დანვრილებით იცოდა მათი ავ-კარგი, შინაური და საზოგადო ამბები.

1907 წელს ნინო ნაკაშიძე „ნაკადულის“ წარმომადგენლის სახელით გამოემშვიდობა ილიას ნეშტს. ილია ჭავჭავაძესთან მას ილია ნაკაშიძის მამის, პეტრეს ურთიერთობაც აახლოვებდა, თუმცა ნინოსა და ილია ნაკაშიძეს საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულებაც ჰქონიათ დიდი მწერლის მიმართ. საზოგადოდ, როგორც კარგად აღზრდილ, ქართული ტრადიციებით ნასულდგმულევ ადამიანებს შეეფერებათ, ისინი იზიარებდნენ საზოგადოების დიდი ნაწილის აზრს და პატივს სცემდნენ მას. ასეთივე იყო მისი დამოკიდებულება ვაჟას მიმართაც: „ჩემი გურული სმენა არაა შეჩვეული მისი რითმების ბგერებს. ჩემ გულს ვერ შეუთვისებია მისი გმირების ჩვევები, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მას დიდად აფასებენ ადამიანები, რომელთა გემოვნებასაც ვენდობი, ვუჯერებ და ვცდილობ, მეც გავიგო ბუმბერაზი და დიდებული მთების

ჩურჩული“... ნინო ნაკაშიძე თავის მოგონებებში განსაკუთრებულად იხსენებდა ვაჟას. ერთხელ ვაჟას თავის შვილზე უთქვამს: „მადლობა ღმერთს, არ წერს და სწორედ ამიტომაც კაი ბიჭობაში ბადალი არ ჰყავსო“. გული მეტკინაო, – იგონებს ნინო, – რატომ უნდა ეთქვა ეს სიტყვები ვაჟას? იყო თუ არა ქართველი ხალხი დამნაშავე მისი ცხოვრების მოუწყობლობაში, სიღარიბეში? და თვალწინ მესახტებოდა მაშინდელი მწერლების უნუგემო მდგომარეობა. დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ: ეგ. ნინოშვილი, ირ. ევდოშვილი, ნ. ჩხიკვაძე, ნინო ორბელიანი, შიო მღვიმელი, თვითონ აკაკიც კი არ იყო უზრუნველყოფილი. მწერლები ან იღუპებოდნენ დუხჭირი ცხოვრების წყალობით, ან უნდა ემსახურათ ლუკმაპურის მოსაპოვებლად (შიო დედაბრიშვილი, „ნიკო ლომოური, ს. მგალობლიშვილი, მელანია და სხვა...“ დაუვიწყარია ნინო ნაკაშიძის მიერ აღწერილი შიო მღვიმელი ნიგნის მალაზიაში და ამ მალაზიის კარის წინ ჩამომჯდარი იაკობ გოგებაშვილი ხელში ჯოხით, კისერზე ყაბალახით.

აი, რას წერდა ჩვენი დროის მწერალი, პოეტი ხუტა ბერულავა ნინო ნაკაშიძეზე: „იგი პირველთაგანია მშობლიური საბავშვო პროზის ოსტატთა შორის. მარიამ დემურიას საქმის ერთგულმა გამგერძნობმა, შესანიშნავმა პროზაიკოსმა, დრამატურგმა, რედაქტორმა ისეთი ამაგი დასდო ჩვენს ბავშვებს, რომ მისი სახელი მუდამ დარჩება ქართველი ხალხის გულში. მისი მოთხრობები შევიდა საბავშვო ლიტერატურის საგანძურში“...

როგორც ჩანს, XX საუკუნეში წინ იყო წამოწეული ნინო ნაკაშიძის წვლილი საბავშვო მწერლობაში. XXI საუკუნეში კი უპრიანია, საზოგადოებამ ხელახლა გადახედოს მის ნაწარმოებებს.

თავისი მოღვაწეობით ნინო ნაკაშიძის სახელს მარადიული ხსენება და უკვდავება ერგო.

ნინო ნაკაშიძის ნაწარმოებთა გამოცემები  
(ქრონოლოგიური ნუსხა)

შობა: მოთხრობა, (გურიის ცხოვრებიდან) – ტფ.: ამხ. „ცისკარი“, №2, 1911.

ზარაბიბილის ხელმწიფის ქალი: (ზღაპარი) – ქუთაისი: ქუთათური ამხანაგობის გამოცემა, №23, 1914.

საყმანვილო მოთხრობები. – ტფ.: „ნაკადული“, 1915.

კომბლე: საბავშვო ზღაპარი. – ტფ.: სახელგამი, 1923.

- ვინ არის დამნაშავე? – ტფ.: სახელგამი, 1926.  
ჩემი წიგნი. – ტფ.: სახელგამი, 1927.  
პატარა მშენებლები. – ტფ.: სახელგამი, 1928.  
პატარა ეთერის დღე. – ტფ.: „შრომა“, 1929.  
ეზოში. – ტფ.: სახელგამი, 1930.  
მინდორში. – ტფ.: სახელგამი, 1930.  
ოთახში. – ტფ.: სახელგამი, 1930.  
ტყეში. – ტფ.: სახელგამი, 1930.  
ოქტომბრელები ბათომში. – ტფ.: სახელგამი, 1934.  
ხალხური ზღაპრები. – ტფ.: სახელგამი, 1934.  
მოთხრობები. – ტფ.: სახელგამი, 1935.  
ქართული ზღაპრები. – თბ.: სახელგამი, 1935.  
ხალხური ზღაპრები. – თბ.: ლიტგამომცემლობა, 1938.  
ილია ჭავჭავაძე და პატარა ბიჭუნა. – თბ.: სახელგამი, 1944.  
მოგონებანი. – თბ.: საბჭოთა მწერალი, 1946.  
ვინ არის დამნაშავე: დრამა 4 მოქმედებად. – თბ.: ხელოვნება, 1948.  
მიხეილ ლომონოსოვი. – თბ.: საბლიტგამი, 1950.  
მოთხრობები. – თბ.: საბლიტგამი, 1950.  
მოთხრობები და პიესები. – თბ.: სახელგამი, 1950.  
საბავშვო მოთხრობები. – თბ.: საბლიტგამი, 1952.  
ლევ ტოლსტოის ახლოს. – თბ., სახელგამი, 1954.  
მონაფის დღიური. – თბ.: საბლიტგამი, 1954.  
ყველამ მიულოცა. – თბ.: საბლიტგამი, 1957.  
ულუ და თეთ. – თბ.: „ნაკადული“, 1967.  
თხზულებანი: მოთხრობები. – თბ. „ნაკადული“, 1973.  
ქართული საბავშვო მოთხრობები. – თბ., 2010.

## ღირსეული თანამოქალაქენი

### ირინე გობლიძე

## ყოველთვის კეთილად მოსაბონარი

ელენე ზაქარიას ასული ოგანეზოვა დაიბადა ქალაქ თელავში 1887 წ. მამა – ზაქარია ოგანეზოვი წვრილ მოვაჭრე იყო, რომელიც 1895 წ. ხალხოსნებს მიემხრო. 1899 წ. ჩაება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, ხოლო 1903 წ. განეწიანდა ბოლშევიკურ ფრაქციაში. ქალბატონი ელენეს მონათხრობით, მამამისი ესწრებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციის კრებებს.

დედას დამთავრებული ჰქონდა შვიდწლიანი სკოლა და მასწავლებლად მუშაობდა.

პატარა ელენე 1895 წ. მიაბარეს სომხურ სკოლაში, რომელიც მეფის ბრძანებით 6 თვეში დაიხურა.

1907 წ. მიაბარეს ოთხწლიან სკოლაში ზაზუნოვებთან, რომლის დამთავრების შემდეგ ჭრა-კერვის სკოლაში სწავლობდა სამი წლის მანძილზე, მაგრამ ვერ დაამთავრა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამო, იგი იძულებული გახდა, ოჯახებში ევლო და ეკერა დღეში 50 კაპიკად.

1905 წ. მისმა მეზობლებმა არჩილ და ანა ფარსადანოვებმა პირველად წაიყვანეს არალეგალურ კრებაზე, ვინმე ბადრიძის სახლში, სადაც თბილისიდან ჩამოსულმა ამხანაგმა წაიკითხა მოხსენება რუსეთში დაწყებული რევოლუციური მოძრაობის შესახებ, მსმენელებს გააცნეს აგრეთვე კლასთა ბრძოლის საკითხები და და-

ავალეს, რომ თითოეულ მათგანს შეესწავლა პარტიის პროგრამა და ლიტერატურა მუშებისა და გელეხებში გაევრცელებინათ.

ამავე წლის ზაფხულში მოწინავე წრეები კრებებს ელენეს სახლში ატარებდნენ, სადაც ეცნობოდნენ პარტიის პროგრამასა და წესდებას.

რუსეთის პირველი რევოლუციის აღორძინების წლებში ქ-ნი ელენე აქტიურად მოღვაწეობდა მოძრაობაში, არის პარტიზანული რაზმის წევრი, კავშირი აქვს ტერორისტულ ორგანიზაციასთან, ეხმარება მას დაჭრილების მოვლაში, მის სახლში გამართულია არალეგალური სტამბა, უკერავს ტანსაცმელს რევოლუციურ პარტიზანებს, შეაქვს კომიტეტში ფულადი დახმარება და ა. შ.

1907 წ. კომიტეტის დადგენილებით, ქალბატონი ელენეს სახლში მიტანილ იქნა არალეგალური ბიბლიოთეკა, კერძოდ: კ. მარქსის, ენგელსისა და ლენინის ნაწარმოებები, პროკლამაციები და სხვადასხვა ბროშურები.

ბიბლიოთეკის გამგედ თვით ელენე იყო დანიშნული, რომელსაც დაევა ლიტერატურის გავრცელება, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად. მან რევოლუციურ მოძრაობაში ჩააბა მეგობრები. ისინი წიგნებს სასკოლო ჩანთით დაატარებდნენ.

კომიტეტის დავალებით ელენე გაგზავნეს

თბილისში წიგნების ჩამოსატანად. მას წიგნები დაახვედრეს ერთ-ერთ სადურგლო სახელოსნოში. მან წიგნები ოთხ ნაწილად დაყო და ისე გაიტანა თელავში.

ელენეს სამკერვალო რეაქციის წლებში გადაიქცა რევოლუციონერთა საიდუმლო თავშეყრის ადგილად. იქ იმართებოდა კრებები, თათბირები, იგზავნებოდა სოფლად ლიტერატურა და ამ სამკერვალოში, ასევე ინახებოდა არალეგალური ბიბლიოთეკაც.

1910 წ. სამკერვალო ორჯერ იქნა გაჩხრეკილი. პოლიციამ მიაგნო პარტიული საწევრო ფულის შეგროვების ანგარიშსა და ქვითრებს. ქალბატონი ელენე დააპატიმრეს. ელენეს მეგობარი მარო სუხიტაშვილი მაშინვე ეახლა პოლიციის უფროსის მეუღლეს და შეატყობინა ელენეს დაკავება და სთხოვა დახმარება. პოლიციის უფროსის მეუღლე კარგად იცნობდა ელენეს. ის მისი პირადი მკერავი იყო და დაპირდა მის მეგობარს, რომ დაეხმარებოდა. მართლაც მან მოიპარა ქვითრები და საწევროს სიები და იხსნა ელენე პატიმრობისგან. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას სამხილი აღარ მოეპოვებოდა, მაინც 3 დღე დააკავეს და შემდეგ გამოუშვეს წინაწარ დაკავების იზოლაციიდან.

1911 წ. ლამის ორ საათზე პრისტავი სახლში შეიჭრა იარაღით ხელში, ყველაფერი აურ-დაურია, იატაკი აყარა და გააგვებით უყვიროდა ოჯახისწევრებს. მას სურდა, მიეტანათ ყველაფერი, რაც რევოლუციურ მოძრაობას ეხებოდა. ელენეს აივანზე ყუთში დამალული ჰქონდა აკრძალული ლიტერატურა და სია, თუ როდის, სად და ვისთან უნდა გაეგზავნათ ლიტერატურა და ასევე იმ დამტარებელთა სახელები, რომლებიც ავრცელებდნენ ლიტერატურას.

როცა ჟანდარმები ლოგინებს ურევდნენ, ელენემ დრო იხელთა, ნელ-ნელა გაიპარა ოთახიდან აივანზე და ყუთი, რომელშიც წიგნები და სია იდო, მოისროლა ბაღში. პოლიციელებმა სახლში მხოლოდ პარტიული საწევროს გადასახადი ერთი ქვითარი და მამამისის რევოლვერი ნახეს. 24 წლის ელენე კი დააპატიმრეს და წაიყვანეს განყოფილებაში. შემდეგში 5 წლით გადაასახალეს რუსეთში, ნოვოჩერკასკში, სა-

დაც უმძიმეს პირობებში უხდებოდა ცხოვრება.

1912 წ. ელენეს თხოვნით, პოლიციამ იგი ქალაქ როსტოვში გადაიყვანა, სადაც თანაპარტიელები ეგულებოდა.

1913 წ. ის როსტოვიდან სახლში გამოიპარა, 9 დღე სახლში გაატარა, მე-9 დღეს კი მეზობელი „გარადოვო“ მივიდა და გააფრთხილა, რომ თუ სასწრაფოდ არ დატოვებდა ოჯახს, დააპატიმრებდნენ. იმ საღამოსვე ელენე თბილისში ჩავიდა და მეგობრების რჩევით ისევ როსტოვში დაბრუნდა.

1914 წ. ელენე ტუბერკულოზით დაავადებული გადასახლებიდან დაბრუნდა და რადგან პოლიცია კარგი თვალით არ უყურებდა, რამდენიმე თვის შემდეგ ვლადიკავკაზში გაემგზავრა თავის ბიძაშვილებთან.

1915 წ. ნათესავებისა და ამხანაგების დახმარებით, ექიმის რჩევით, გაემგზავრა ყაზბეგისაკენ სოფ. სიონში, სადაც ფილტვებით დაავადებულთათვის შესაფერისი ჰავა იყო. სოფ. სიონში ელენე გამოჯანმრთელდა და იმავე წელს გათხოვდა.


1917 წ. ელენემ ქუჩაში იპოვა ბავშვი, რომელიც შვილად აიყვანა, გაზარდა, ასწავლა და დააქორწინა. ქორწინების შემდეგ მის ვაჟს სამი შვილი

შეეძინა. ელენე დაბრუნდა თელავში და არჩევნებაც დაიწყო. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო არჩევნებში. იმ პერიოდში ელენეს ძმა ბაგრატი და და თამარი აქტიურად მუშაობდნენ ბოლშევიკ-რევოლუციონერებთან.

შემოდგომაზე ელენე ძმასთან ერთად ჩავიდა ვლადიკავკაზში, სადაც ცენტრის ხელმძღვანელები იყვნენ. მას თან ახლდა მეუღლეც.

1918 წ. დამლევს აქ დენიკინის ჯარი შევიდა და ბოლშევიკების ცენტრი სხვა ოლქში გადავიდა.

ელენეს ისევ მოერია ავადმყოფობა და ვლადიკავკაზში დარჩა. დენიკინის წარმომადგენლებმა დაიწყეს რევოლუციონერთა დევნა. 1919 წ. პრისტავმა, მიუხედავად იმისა, რომ ელენესგან ქრთამი მიიღო, მაინც მიუსია კაზაკები და მისი ბინა გააჩხრეკინა. სახლში რომ ვერაფერი ნახეს წაიღეს მხოლოდ ელენეს მამის ნაბადი, ელენე კი დააპატიმრეს. ელენეს ქმარმა და ძმამ სასწრაფოდ შეაგროვეს ფული და პრისტავს ელენეს



გამოსასყიდი თანხა, გადასცეს. ელენე 21 დღის შემდეგ გამოუშვეს ციხიდან, მაგრამ ავადმყოფობა გაურთულდა და ლოგინად ჩავარდა. იგი მთელი სამი წელი ცხოვრობდა სიონში და მკურნალობდა, რის შემდეგაც გამოკეთდა.

ელენე 1928 წ. საცხოვრებლად ქალაქ თბილისში გადმოდის და აქტიურ მუშაობაში ებმება. მუშაობს სკოლის მოსწავლეთა მშობლებთან, ეხმარება ღარიბ მოსწავლეებს.

1930 წ. ის სარენაო კავშირში ჩაენერა, სადაც კავშირის გამგეობის დავალებით, დაინიშნა კომისიის წევრად. იგი თბილისის მაშტაბით აგროვებდა ფულს, რათა ღარიბი პიონერები გაემგზავრებინა საზაფხულო ბანაკებში დასასვენებლად. ის მოღვაწეობდა მოსწავლეთა კულტურულ-საგანმანათლებლო პირობების შესაქმნელად.

1931 წ. ელენე და მისი მეგობრები გადაიყვანეს ღარიბ ებრაელთა საზოგადოებაში, სადაც იმავე საქმეს ეწეოდა. აგროვებდა საწვეროებს, ავრცელებდა ლიტერატურას, ლატარიის ბილეთებს და ამ ფულს საზოგადოების გამგეობას აბარებდა.

1932 წ. ისევ მოერია ავადმყოფობა. 1933 წ. ის ტუბერკულოზის დისპანსერმა აბასთუმანში სანატორიუმში განერა, სადაც ორი წლის განმავლობაში მკურნალობდა.

1937 წ. დაუნიშნეს რესპუბლიკური პენსია და მან დაიწყო მუშაობა მასწავლებლად. 1957 წლამდე საზოგადოებრივ საწყისებზე მასწავლებლად მოღვაწეობდა კლუბებსა და კულტურის სახლებში.

1958 წ. ქალბატონი ელენე საცხოვრებლად

თელავში გადავიდა, სადაც დაბინავდა და სახლი ააშენა.

1962 წ. შემთხვევით მოხვდა თელავის პირველ საბავშვო ბიბლიოთეკაში. აღნიშნული ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო პატარა ბინაში, სადაც არც წიგნები ელაგა წესიერად სივინროვის გამო და არც ბავშვებს ჰქონდათ საშუალება, თავისუფლად მიეღოთ სასურველი ლიტერატურა.

ამის შემდეგ ელენემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მშობლიურ ქალაქში ბავშვებისათვის ბიბლიოთეკა აეშენებია და ავეჯით კეთილმოეწყო. ამ ჩანაფიქრის გასახორციელებლად მან გაიღო 12000 მანეთი და 1965 წელს სისრულეში მოიყვანა თავისი ჩანაფიქრი.

79 წლის ასაკში ისევ მკურნალობდა და აქტიურად ვეღარ მოღვაწეობდა. ამაცობდა იმით, რომ მისი მთელი ოჯახის წევრები: მამა, დედა, და და-ძმანი რევოლუციურ მოძრაობაში გულწრფელად მონაწილეობდნენ და თავს არ ზოგავდნენ რევოლუციის გამარჯვებისთვის.

მძიმე და რთული გზა განვლო ელენე ზაქარიას ასულმა ოგანეზოვამ. გამუდმებული დავადებები და გაჭირვება სდევნიდა მას, ვიდრე მისი ღვანლი არ დაფასდა. მისი მოქალაქეობრივი ღირსება კარგად გამოჩნდა არაერთ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, რის უდიდესი გამოვლენა იყო მის მიერ თელავში საბავშვო ბიბლიოთეკისათვის შენობის აგება საკუთარი დანაზოგის ხარჯით. ეს ბიბლიოთეკა ამჟამადც თავის ფუნქციებს ასრულებს და კეთილად იწახავს ქალბატონ ელენე ოგანეზოვას ხსოვნას.

## კომესკონდენცია

### ინგა კაშია


მთავარი ბიბლიოთეკარი

## აქსია საბავშვო ბიბლიოთეკაში



თბილისის ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა. განხორციელდა მორიგი პროექტი „პირველკლასელთა მოზიდვისა და საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმა“. აქცია მიმდინარეობდა მთელი კვირის განმავლობაში.

ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ 130-ე საჯარო სკოლის პირველკლასელები (დირექტორი ამური ხარატიზიშვილი). პატარები გაეცნენ მათი ასაკისათვის შესაფერის წიგნად ფონდს, იმოგზაურეს ზღაპრის სამყაროში, გამოთქვეს მოსაზრებები თავიანთი საყვარელი ზღაპრის



გმირების შესახებ. წაიკითხეს საბავშვო პოეტების ლექსები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ხმოვანმა წიგნებმა სერიით: „წიგნი-სათამაშო“, „სამგანზომილებიანი წიგნი“ და ა. შ. შეარჩიეს სასურველი ლიტერატურა სახლში წასაკითხად.

პატარების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მათმა ჟრიალულმა მთელი ბიბლიოთეკა მოიცვა. ლამაზი იყო ეს დღე როგორც ბიბლიოთეკის

სათვის, ისე პირველკლასელთათვის, რომელთა მკითხველებად კურთხევა საზეიმოდ ჩატარდა.

გაიმართა დისკუსია პედაგოგებს, მშობლებსა და ბიბლიოთეკარებს შორის საკითხებზე – როგორ დავაახლოვოთ ბავშვი წიგნს, როგორ გამოვუმუშავოთ წიგნთან ურთიერთობის ჩვევები. ტრადიციული ურთიერთობები სკოლასა და ბიბლიოთეკას შორის კვლავაც გაგრძელდება.

### მარინა შაუთიძე

ამბროლაურის მთ. ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

## კვირული - მომავლის იმედი

(ინფორმაცია)

ამბროლაურის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში კვირეულის გეგმა-გრაფიკი აპრილის დასაწყისში შედგა. ჩატარდა პროგრამაში გათვალისწინებული სხვადასხვა სახის ღონისძიება:

1. 23 აპრილი. მთავარ ბიბლიოთეკაში კვირეული გაიხსნა მწერალ გურამ ფანჯიკიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო-გახსენებით.
2. სოფ. წესში (ბიბლიოთეკარი ეკა მესხაძე), რომელიც არის რაჭის ერთ-ერთი ულამაზესი და ისტორიული სოფელი, გაიხსნა სასოფლო ბიბლიოთეკა. გახსნას ესწრებოდნენ სოფლის ინტელიგენცია, კულტურის ცენტრის დირექტორი ბატონი გელა კობახიძე, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ირინა ჩიხრაძე და ბიბლიოთეკის თანამშრომლები.
3. სოფლის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ სოფლის მოსახლეობას და მოსწავლე ახალგაზრდობას არ დაუკარგა კულტურულ-



საგანმანათლებლო ცენტრი.

3. სადმელის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი ლია დარახველიძე) ჩატარდა

იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო – „დედაენის ბურჯი“. ღონისძიებაში მონაწილე პატარა მკითხველებმა დიდი სიყვარულით წარმოთქვეს მწერლის ლექსები და მოთხრობები.

4. საბავშვო ბიბლიოთეკაში (გამგე მ. მახალდიანი) ჩატარდა ლიტერატურული დილა – „ტკბილია ჩემი ქვეყანა, გაზაფხულივით ლამაზი“ მონაწილეობდნენ ქალაქის №1 და №2 საჯარო სკოლების მოსწავლეები. (პედაგოგები იზო ჯოხაძე და იზო ჩაჩანიძე).

5. დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა მთავარ ბიბლიოთეკაში. თემა: „როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა“. ღონისძიებაზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად ძალიან ბევრმა მოსწავლე ახალგაზრდამ გამოთქვა სურვილი, ამიტომ ღონისძიებამ მასშტაბური ხასიათი მიიღო. მონაწილეობდნენ როგორც რაიონის მთავარი ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები, ასევე სოფლების საჯარო და საბაზო სკოლის მოსწავლე ახალგაზრდებიც რომლებიც ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები არიან. მათ, როგორც ჩანდა, ღრმად ჰქონდათ შესწავლილი საქართველოს ისტორია და ერთ-

მანეთს ტოლს არ უდებდნენ თავიანთი ცოდნის გამომჟღავნებაში. ღონისძიებას უძღვებოდნენ ქალბატონები გულნარა სალინაძე და ტანია ენუქიძე.

ღონისძიებას ესწრებოდა მხარის გუბერნატორი დავით გაგოშიძე, მაჟორიტარი დეპუტატი – გოჩა ენუქიძე, რაიონში სტუმრად მყოფი პარლამენტარი გიგი წერეთელი, რომელმაც ბავშვებს ურჩია, რაც შეიძლება მეტი იკითხონ და უყვარდეთ სამშობლო.

გაიმართა კონკურსი:

1. „ვინ უკეთ იცის საქართველოს ისტორია“;
2. ლექსის მხატვრულ კითხვაში.

გამარჯვებულ ბავშვებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები: „ეს საოცარი საქართველო“, „საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის“, „მსოფლიო ატლასი“, „საქართველოს ისტორია“.

საჩუქრებით ძალიან გაიხარეს მკითხველებმა.

ჩვენს ბიბლიოთეკაში ყოველი ჩატარებული ღონისძიება იმედს იძლევა, რომ მომავალი თაობა კვლავაც ეზიარება წიგნებს, რათა უფრო ფართო განათლება მიიღოს და სწორი გზით გამოვიდეს ცხოვრების ასპარეზზე.

## სიღონია გონჯილაშვილი

თიანეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

### თიანეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

თიანეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა ყოველ წელს ეხმაურება საბიბლიოთეკო კვირეულს; რომელიც ტარდება 23 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით.

კვირეულის მიზანია საზოგადოებასთან კავშირის დამყარება და ბიბლიოთეკის პოპულარიზაცია.



კვირეული ზრდის ბიბლიოთეკებისადმი საზოგადოების ინტერესს და ამავე დროს გვეხმარება უკეთ შევისწავლოთ მკითხველების

მოთხოვნები, გავაუმჯობესოთ მომსახურება და ხელი შევეწყოთ ბიბლიოთეკისა და საზოგადოების თანამშრომლობის ფორმების ჩამოყალიბებას. წიგნი – ბიბლიოთეკა მკითხველი – ეს ცნებები განუყოფლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ბიბლიოთეკის მუშაობასთან. მათ შორის ჰარმონიული კავშირის დამყარება თითოეული ბიბლიოთეკის მოვალეობაა.

თიანეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა მრავალი საინტერესო ღონისძიების ავტორია. ერთ-ერთია – ბიბლიოთეკის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება: „თქვენი ბიბლიოთეკა, იპოვე შენი მომავალი ბიბლიოთეკაში“, რომლის მიზანია, შევექმნათ წიგნიერი გარემო, ხელი შევეწყოთ კითხვის კულტურის ამაღლებას, ინტერესი აღვუძრათ მოსახლეობას ბიბლიოთეკისადმი.

ღონისძიებაზე მონაწილე იყვნენ ღვანლმოსილი ბიბლიოთეკარები. მათ გაიხსენეს ბიბლიოთეკაში მუშაობის განვლილი წლები და მკითხველებს მოუწოდეს, რომ არ დაკარგონ არც ერთი წუთი წიგნის გარეშე, აქტიური მონაწი-



ლეობა მიიღონ ბიბლიოთეკის მუშაობაში.

ბიბლიოთეკა სავსე იყო ბავშვ მკითხველებით. თიანეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობენ ისინი. მათ შორის გამოირჩევიან ნორჩი შემოქმედები, რომლებიც თანატოლებს თავიანთ ნაწარმოებებს აცნობენ. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ნორჩი მხატვარი ლევან დოლიაშვილი და ნორჩი პოეტი გიორგი მოსიძე. გიორგი ამჟამად 12 წლისაა. ის სულ 4 წლის იყო, როდესაც მისი ლექსი თბილისის 57-ე სკოლის გაზეთ „მთიებში“ გამოქვეყნდა. მისი ბავშვური ლექსები გამოირჩევა გულწრფელობით, მიამიტობით, უშუალოებით. იგი უდავოდ ამჟღავნებს ნიჭსა და უნარს, რითაც იქცევა ჩვენს ყურადღებას. ერთ-ერთი ლექსი, რომელიც მან ღონისძიებაზე წაიკითხა, მიეძღვნა ბიბლიოთეკას, რომლის მუდმივ მკითხველსაც ის წარმოადგენს.

**გიორგი მოსიძე**

წიგნი

საოცარია წიგნის სამყარო.

არა აკლია რა.

გინდა მწერალი, გინდა პოეტი –

მათი ლექსების ზღვა.  
ცოდნა სანთელს ჰგავს  
სულისას –  
ტანში გამდნარი ხმა!  
ამოძახილი ძლიერი –  
გულის ფეთქვა და  
ძვრა!

შოთა იყო თუ ვაჟი,  
ილია, გინდა ბაჩა –  
ცნობილი იყო თუ არა,  
წიგნი ლეგენდად დარ-  
ჩა.

მითი, ცრუა თუ ნაღდი,  
რამაც დაგვადო დაღი,  
ყველა წერია წიგნში,  
წიგნია ზეცის თაღი.



გიორგის ვრცელი ლექსი აქვს მიძღვნილი 9 აპრილის ტრაგედიისადმი, რომელშიც გულმხურვალედ ასახავს თავის განცდებსა და შეხედულებებს.

ჩვენი ბიბლიოთეკა განსაკუთრებული გულსყურით ეკიდება შემოქმედ ახალგაზრდებს, რისთვისაც უყვართ და აფასებენ მკითხველები ჩვენს საქმიანობას.

**მარინა სამაღაშვილი**

42-ე ბიბლიოთეკის მთ. ბიბლიოთეკარი

**ბიბლიოთეკა ხელოვნების სამსახურში**

ბიბლიოთეკის დანიშნულება მხოლოდ მკითხველის წიგნზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება როდია. ბიბლიოთეკარი მკითხველის ესთეტიკურ აღზრდაზეც უნდა ზრუნავდეს, მით უმეტეს, თუ ეს მკითხველი ბავშვია.

ესთეტიკა მოძღვრებაა მშვენიერებასა და



ამაღლებულზე. იგი გვასწავლის, რა არის მშვენიერი ან ამაღლებული. მშვენიერი ესთეტიკურად გვატკბობს, ამაღლებული კი შთაგვაგონებს და გვანცვიფრებს.

ანუის თქმით, მშვენიერება უიშვიათესი სასწაულია, რომელიც აქარწყლებს ჩვენს დაეჭვებას ღმერთის არსებობაში.

მკითხველებთან მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ მათი ბიბლიოთეკაში მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კონკურსები და გამოფენები.

თბილისის 42-ე ბიბლიოთეკა ხშირად მასპინძლობს ნიჭიერ მკითხველებს და აწყობს მათი ნამუშევრების გამოფენას. იცნობდა რა ჩვენი ბიბლიოთეკის ტრადიციას, ინტერესებს, მის სივრცესა და შესაძლებლობებს, მხატვარმა ლელა თეთრაძემ ისურვა საკუთარი ნამუშევრების გამოფენა.

ლელა თეთრაძე ჩვენი მკითხველია. მისმა



ბავშვობამ ჩვენს თვალწინ გაიარა. დაიბადა თბილისში, ცხოვრობს ლოტკინზე. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკული დიზაინისა და ვიზუალური კომუნიკაციის ფაკულტეტი. ამჟამად მუშაობს 129-ე საჯარო სკოლაში ხელოვნების პედაგოგად. იგი სინამდვილეს ასახავს მსგავსებისა და განცდის გზით. პირველ შემთხვევაში ასახვის ობიექტია კონკრეტულ-საგნობრივი სამყარო, მეორეში კი – სულიერი მდგომარეობა.

ლელას შემოქმედება მოიცავს პორტრეტს, ნატურმორტს, პეიზაჟს, ნიღბებს, გრაფიკას.

გამოფენა გაიხსნა ამა წლის 7 ნოემბერს. დამთვალეირებელი, ძირითადად, ჩვენი მკითხველი და ადგილობრივი მოსახლეობაა. 15 ნოემბერს გამოფენას ესტუმრნენ 190-ე საჯარო სკოლის II კლასის მოსწავლეები პედაგოგ მზია აფციაურის ხელმძღვანელობით. ნანახით კმაყოფილმა ბავშვებმა თავადაც ისურვეს ხატვა. იქვე გავმართეთ კონკურსი ხატვაში მათი მონაწილეობით. მთელი მონდომებით ირ-



ჯებოდნენ... მათ ჯერ არ იციან, რომ „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად“; არც ის იციან, რომ „მძიმეა მხატვრის ტვირთი“...

გულმოდგინება და ხატვის სიყვარული დავუფასეთ და მათი მოკრძალებული ნახატები გამოვფინეთ ლელა თეთრადის ნამუშევრებთან ერთად. ხატვის კონკურსში წარმატებული მონაწილეობისთვის ეს ბავშვები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

მშენიერებით ტკობა და ამაღლებული განცდაა არ მოშლოდეს ჩვენს პატარებს!




## კონფერენცია საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების საკითხებზე

ბიბლიოთეკებში თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვნად ამაღლებს საბიბლიოთეკო ფონდების ხელმისაწვდომობას, აუმჯობესებს მკითხველთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურების ხარისხს. საქართველოს მუნიციპალიტეტების ცენტრალურ და დაქვემდებარებულ ბიბლიოთეკაში წელი ტემპით იწერება კომპიუტერული ტექნოლოგიები. ზოგიერთ სამხარეო ბიბლიოთეკებში დგება ელექტრონული

კატალოგები; მკითხველები სარგებლობენ ინტერნეტით (ქუთაისი, ზუგდიდი, ბათუმი, გორი, ხაშური, რუსთავი, სენაკი, წყალტუბო და სხვ.). საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ამუშავებს სპეციალურ გრძელვადიან პროგრამას, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკებში ეროვნული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების გადატანას და მათი ხელმისაწვდომობა. ამ საკითხს მიეძღვნა ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული კონფე-



რენცია თემაზე: „თანამედროვე ტექნოლოგიები საქართველოს ბიბლიოთეკაში“. კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკები. კონფერენცია გაიმართა 24–25 სექტემბერს. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სამხარეო დანაყოფების მთავარი ბიბლიოთეკების დირექტორები, ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალისტები, დიდი სამეცნიერო და სპეციალური ბიბლიოთეკების ხელმძღვანელები. კონფერენცია გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ. ორი დღის განმავლობაში კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს ათზე მეტი მოხსენება საქართველოს მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებში, პარლამენტის ეროვნულ და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისა და განვითარების საკითხებზე.



საინტერესო იყო ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დიგიტალიზაციის მენეჯერის, კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორის გიორგი აფრიდონიძის მოხსენება. კონფერენციაზე მან წარმოადგინა საქართველოს ბიბლიოთეკებში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების პროგრამის პროექტი. კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის

დირექტორმა, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა. საქართველოს მთავარ ბიბლიოთეკებსა და მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციები წარმოადგინეს: მაყვალა წიკლაურმა – კახეთის მხარე, მანანა გვარამიამ – სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, დალი თაბაგარმა – ქვემო ქართლის მხარე, ნინო თათარაშვილმა – მცხეთა-მთიანეთის მხარე, თინათინ კაპანაძემ – სამცხე-ჯავახეთის მხარე, გულიკო თომაძემ – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე, ნანა აბრამიძემ – შიდა ქართლის მხარე, გენადი მახარაძემ – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. სოსელიამ – ქ. თბილისის მთავარი საქალაქო ბიბლიოთეკა;

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ორგანიზებული მონაცემთა ბაზებისა და მათი ხელმისაწვდომობის შესახებ მოხსენებები გააკეთეს განყოფილებათა უფროსებმა: რუსუდან დანელიამ, ჟანა ქვათაძემ, სათუნა კენჭოშვილმა, გურამ თაყნიაშვილმა, რუსუდან ასათიანმა, მაია მიქაბერიძემ. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვის სახელმწიფო პროგრამის პროექტის შემუშავების შესახებ. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორმა ემზარ ჯგერენაიამ.



## მანანა საბანელიძე

№42 ბიბლიოთეკის გამგე

## აქტუალური და სასარგებლო კონსულტაცია



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა „საქართველოს საბიბლიოთეკო კანონის“ მიხედვით წარმოადგენს მეთოდურ ცენტრს ყველა სახისა და უწყების ბიბლიოთეკისათვის. ჩვენ ბიბლიოთეკებს წლების განმავლობაში საქმიანი და პროფესიული ურთიერთობა გვაკავშირებს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის და სტანდარტების განყოფილებასთან რომლის ხელმძღვანელი ბატონი გურამ თაყნიაშვილი მისთვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით წლების განმავლობაში კონსულტაციებს და მეთოდურ სემინარებს გვიტარებს საბიბლიოთეკო დარგის აქტუალურ საკითხებზე. ეს თანამშრომლობა სასარგებლო და ნაყოფიერ შედეგებს იძლევა საბიბლიოთეკო დარგის ცალკეული პრობლემების დაძლევაში. გარდა ამისა, ეს განყოფილება გვამარაგებს მათ მიერ გამოცემული მეთოდური ლიტერატურით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსულტაცია საბიბ-

ლიოთეკო სტანდარტების დანერგვის კატეგორიების, ფონდების, ლიტერატურის ჩამონერის და საბიბლიოთეკო მეურნეობის მოწესრიგების საკითხებზე ჩატარდა საბიბლიოთეკო გაერთიანების №42 ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის „საბავშვო განყოფილებაში“ თანამშრომლებთან: მარინა სამადაშვილთან, ეკა ლაპიაშვილთან, ელენე გოგოლაძესთან და შორენა ბერიშვილთან ერთად ბატონმა გურამ თაყნიაშვილმა განიხილა საკითხები. კითხვის სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარების თაობაზე, დაისახა ღონისძიებები სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებისა და მათი შემდგომი ანალიზისათვის. აღნიშნული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგების ანალიზი გაკეთდება მომავალში და ამ საკითხს უფრო დანერგვით და ფაროდ გავაშუქებთ.

აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონსულტაციის დროს ბიბლიოთეკის ძველმა და ახალმა თანამშრომლებმა ქალბატონებმა: შურა მეტრეველმა, მანანა კარიჭაშვილმა, ქეთევან აფაქიძემ, ნუნუ ჭყელიძემ, მანანა ლომსაძემ, ლამარა ქსოვრელმა და სხვებმა, რომლებიც დაინტერესდნენ ლიტერატურის აღწერილობის, ფონდების განლაგების და სხვა საბიბლიოთეკო ოპერაციების კომპიუტერული პროგრამების ათვისებით.

ბატონი გურამ თაყნიაშვილი კმაყოფილი დარჩა ჩვენი ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, თანამშრომლების აქტიურობით, მათი პროფესიონალიზმით. ჩვენს ბიბლიოთეკას წინ აქვს მეტად რთული მისია: ყოფილი №31 ბიბლიოთეკის ფონდის შერწყმა არსებული ბიბლიოთეკის ფონდთან, რომელსაც, ჩემი აზრით, ბიბლიოთეკის თანამშრომლები წარმატებით გაართმევენ თავს.

## ინტერვიუ

## თამარ შოშიაშვილი

## საინტერესო შეხვედრები

## სოფლის ბიბლიოთეკარი - ინეზა გულბანი

„ჟურნალ“ საქართველოს ბიბლიოთეკაში“ არაერთ სტატიას გავეცანით სოფლის ბიბლიოთეკების თაობაზე — მათი არსის, დანიშნულების, ისტორიის, პრობლემების შესახებ; ვი-

ხილეთ მრავალი ბიბლიოთეკარის პორტრეტი და აღნიშნულმა კიდევ ერთხელ ჩაგვაფიქრა სოფლის ბიბლიოთეკარის რაობასა და ფუნქციაზე. ბიბლიოთეკარი ქალბატონები..

ისინი სოფლის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები ბრმანდებიან. გამორჩეულნი წიგნიერებით, რაფინირებულობით, უზადო მეტეველებით, ტაქტით, ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებული ნიჭით, პატრიოტიზმით, საკუთარი საქმისადმი სიეფარულით და ერთგულებით. თავად უმშვენიერესი ოჯახის დედები, სხვის შვილებს აზიარებენ წიგნის სამყაროს, უკვალავენ გზას მომავლისაკენ. ვესაუბრებით მარტყოფის საბავშვო და შემდგომ — სასოფლო ბიბლიოთეკის ყოფილ გამგეს ქალბატონ ინეზა გულბანს მის მრავალწლიან ნაყოფიერ მუშაობაზე სხვადასხვა დროს მიღებული უამრავი სიგელი და დიპლომი მეტეველებს, მაგრამ ჯილდოებზე არანაკლებ მრავლისმთქმელია ახალგაზრდა მკითხველთა სიყვარული და მოწინება; საჯარო სკოლების პედაგოგთა გულწრფელი აღტაცება მისი პროფესიონალიზმით და მადლიერება განსაკუთრებული გულისხმიერებისათვის, რომელიც მან გამოიჩინა პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მზადებისას.

**— ქალბატონო ინეზა, რა ისტორია აქვს მარტყოფში საბიბლიოთეკო საქმეს?**

— 1905 წელს მარტყოფის მამასახლისმა ბერიშვილმა მიმართა თბილისის მაზრის უფროსს და სთხოვა სოფელში ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის ნებართვა. წლის ბოლოს გაიხსნა სამკითხველო და გამგედ დაინიშნა ბაბო ბერიშვილი. იგი შემდეგ სხვაგან გადავიდა სამუშაოდ (კერძოდ, თბილისში პედაგოგად) და ბიბლიოთეკამაც შეწყვიტა მუშაობა.

1909 წელს მარტყოფის ინტელიგენციამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე ბიბლიოთეკის ხელახლა დაარსების საკითხი აღძრა. თხოვნას ხელს აწერდა 37 კაცი, მათ შორის სახელმძღვანელო მეცნიერი ივანე ბერიტაშვილი, რომლის დედაც მარტყოფელი ქალბატონი იყო. 1910 წლის 1 მაისს ბიბლიოთეკა გაიხსნა. მისი პირველი გამგე იყო ეპიტაშვილი (სახელი ვერ ზუსტდება დოკუმენტებში); შემდეგ წლებში — ა. ბერიშვილი და გ. კანდელაკი. ბიბლიოთეკის ფონდი 615 ცალ წიგნს შეადგენდა.

საბჭოთა წყობილების დროს მარტყოფში სულ 4 სასოფლო და ერთი საბავშვო ბიბლიოთეკა იყო; ამასთანავე, მარტყოფის სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში — სააკაძესა და ვაზიანშიც ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკები.

ჩვენს სოფელში არსებული ეს ხუთი ბიბლიოთეკა ოპტიმიზაციისას გააერთიანეს ერთ

ბიბლიოთეკად, 17 ათასი წიგნადი ფონდით. ჩატარდა რეინვენტარიზაცია; გავხსენით ახალი საინვენტარო და ჯამობრივი წიგნები; გავანყვეთ ლიტერატურა ათწლიანი კლასიფიკაციის მიხედვით. ბიბლიოთეკაში იყო ანბანური და სისტემატური კატალოგი, კარტოთეკები.

რაც შეეხება მატერიალურ ბაზას, ჩვენ, როგორც კულტურის სამინისტროს უწყება, განთავსებული ვიყავით მარტყოფის კულტურის სახლის მეორე სართულზე.

2010 წელს უნდა აღგვენიშნა მარტყოფის ბიბლიოთეკის დაარსების 100 წლისთავი, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა.

**— როგორ განხორციელდა რეორგანიზაციის ოპტიმიზაციის პროცესი თქვენს სოფელში? როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში არაერთი ბიბლიოთეკის ფონდი განადგურდა; თქვენ რამდენად შეძელით წიგნადი ფონდის შენარჩუნება?**

— საქართველოში ბიბლიოთეკების რეორგანიზაცია-ოპტიმიზაციის დაწყებისთანავე ვიზრუნეთ, სრულყოფილად შეგვენარჩუნებინა წიგნადი ფონდი სოფლისათვის. ძალიან დაგვეხმარა და მხარში ამოგვიდგა გარდაბნის რაიონის გამგებელი ზვიად ეპიტაშვილი და მარტყოფის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი ქეთევან ჩინაშვილი. მარტყოფის სასოფლო ბიბლიოთეკის ფონდი გავაერთიანეთ მარტყოფის პირველი საჯარო სკოლის წიგნად ფონდთან. სკოლის დირექტორის მიერ გამოყოფილი სამი ოთახიდან ორში მოვათავსეთ 22 ათასი წიგნი, ერთი ოთახი კი სამკითხველო დარბაზად გამოვიყენეთ. ასე რომ, სოფელს არ დაუკარგავს არცერთი წიგნი; ფონდი გადარჩა.

**— რა ვითარებაა ამჟამად მარტყოფის ბიბლიოთეკაში?**

— ახლა ჩვენი ბიბლიოთეკა ემსახურება როგორც მარტყოფის პირველი და მეორე საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებს, ასევე სოფლის მოსახლეობას და სტუდენტებს. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის პრობლემის გამო, მე აღარ ვმუშაობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბიბლიოთეკარები — ეთერ შოშიაშვილი და იზა ელგენდარაშვილი ღირსეულად უძღვებიან ჩვენს მიერ ერთობლივი ძალებით ახალ სისტემაში მოყვანილ წიგნსაცავს და მკითხველთა მომსახურების საქმეს.

**— რა კულტურული ღონისძიებები ტარდებოდა თქვენი თაოსნობით? როგორ უძღვებოდით საბიბლიოთეკო კვირეულს?**

– პირველ რიგში, მე ვიყავი მკითხველის მეგობარი მეცნიერების ყველა დარგში და ვაკმაყოფილებდი მათ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. აქ კი, თუ პროფესიონალი არ ხარ და არ გაქვს ბიბლიოთეკის ფონდი გახსნილი, თავს ვერ გაართმევ საქმეს და მკითხველის წინაშე გაშიშვლებული წარსდგები. უდიდესია ბიბლიოთეკარის პროფესიული პასუხისმგებლობა.

ჩვენ ენთუზიაზმით შევხვდით ამ მართლაც შესანიშნავ ინიციატივას — საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეულის დაარსებას. ყოველწლიურად აქტიურად ვაწყობდით ღონისძიებებს კვირეულის ფარგლებში. გვექონდა წიგნის გამოფენები სხვადასხვა თემაზე და შემდეგ ვაწარმოებდით სტატისტიკას, — რამდენი წიგნი გაიცა ჩატარებული ღონისძიების დროს. ვატარებდით შემეცნებით-გასართობ კონკურსებს სკოლებსა და კლასებს შორის... გვექონდა გამოფენები: მარტყოფის სახელოვანი შვილები, — სპორტსმენები...

...თავად გახლდით მომსწრე — მუდმივმოქმედი გამოფენა იყო ღვანლმოსილი მეცნიერების, სოფლის მეკვლევარების — ისტორიკოსის — პროფესორ აკაკი მათიაშვილისა და ენათმეცნიერის, მთარგმნელის, მწერლის — უშანგი სახლთხუციშვილის წიგნების და ფოტოების გამოფენისა. მარტყოფის მდიდარი სპორტული ტრადიციები აქვს. სპორტსმენთა ღვანლის წარმოჩენით ახალ თაობას უღვივდება გამარჯვების წყურვილს.

...ყოველთვის ვცდილობდი, მსუბუქით შემეცნებებინა რთული, შემეცნებითი — სახალისოთი... ვაწყობდით ექსკურსიებს ხუროთმოძღვრული ძეგლების მოსანახულებლად, დავდიოდით მუზეუმებში.

ამის დამადასტურებელი უამრავი ფოტო იშლება ჩვენს წინაშე...

...უკანასკნელ წლებში საკუთარ თავს ხშირად ვუსვამდი ასეთ შეკითხვას: შევძლებ კი დღევანდელ პირობებში, არსებული საშუალებებით მკითხველთა მოზიდვას და მათი ინტერესების დაკმაყოფილებას?! მრავალი წელი ბიბლიოთეკა არ შევსებულა ახალი ლიტერატურით; არ შემოდოდა პრესა. ახალი წიგნების გარეშე კი ბიბლიოთეკა ფრთებმოკვეცილია. როდესაც ბიბლიოთეკებს ადგილობრივი გამგეობა აფინანსებდა, მაშინდელმა სოფლის გამგებელმა, ამირან ტოტიკაშვილმა გამოგვიყო 1000 ლარი და შევიძინეთ სტუდენტებისათვის საჭირო ლიტერატურა.

...ჩვენი რაიონი მრავალეროვანია; ბიბლი-

ოთეკაში გვექონდა გამოფენა „მეგობრები ყველგან გვყავს“, რომელზედაც გამოფენილი გვექონდა აზერბაიჯანელი, სომეხი, უკრაინელი და სხვა ქვეყნის მწერალთა ნაწარმოებები. ყურადღებას ვამახვილებდით ლეგენდარულ საქმეებზე, ძველსა და თანამედროვე მშენებლობათა ჰეროიკაზე. გვექონდა გამოფენა: „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“, რომლის მშენებლობაზე მრავალი ადამიანი მონაწილეობდა. საბჭოთა ეპოქის მოთხოვნით ბიბლიოთეკაში ბევრს ვაკეთებდით სამხედრო-პატრიოტული ალბრდის მიზნით; გვექონდა ღონისძიება „არის! ჩავდგეთ მწყობრში!“. ინტერნაციონალური ალბრდის საქმეში ფართოდ ვიყენებდით იაკობ გოგებაშვილის მოთხრობას. „იანანამ რა ჰქმნა?!“ უამრავ საღამოს ვუძღვნიდით რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც ხალხთა მეგობრობის უდიდესი აპოლოგიაა. დავით გურამიშვილის, ლესია უკრაინკას, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, აგრეთვე გრიშაშვილის და ნონეშვილის ბიოგრაფიები და შემოქმედება ხომ დაუშრეტელი წყაროა ამ თემის გაშლისათვის.

მოვანყეფთ დისპუტი თემაზე: „მართალი იყო თუ არა მამების პოზიცია შვილების მიმართ“. განვიხილეთ სამი ნაწარმოები: ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, გოგოლის „ტარას ბუღბა“ და მერიმეს „მატეო ფალკონე“. ვიმსჯელებთ მამების შესახებ, რომელთაც თავიანთი შვილები დახოცეს იმიტომ, რომ მათში პატრიოტული გრძნობა პირადულზე ძლიერი არ აღმოჩნდა.

ყოველივეს ჩამოთვლა, რაც ჩემი მუშაობის 40 წლის მანძილზე გამიკეთებია, შორს წავიყვანს.

**– თქვენს მიერ განვლილ გზას ამ გადასახედიდან თვალს რომ ავლებთ, რა განცდა გეუფლებათ?**

– ჩემი მუშაობის 40 წლის მანძილზე განვლილ გზას მე ვერ შევაფასებ. 1967 წელს დავამთავრე ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი და მომენიჭა ბიბლიოთეკარისა და ბიბლიოგრაფის უმაღლესი კვალიფიკაცია. ჩემი აზრით, ამ საქმეს მთელი ენთუზიაზმით ვემსახურებოდი.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი საქმიანობა დაიწყო ახმეტაში, სადაც მეუღლის საქმიანობის გამო ვიმყოფებოდით ოჯახით. 1971 წელს ჩემს ხელში გაიხსნა ახმეტის საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკა. ორი წლის მანძილზე იქ მუშაობისას ბევრი რამ გავაკეთე როგორც ბიბლიოთეკის აწყობისთვის, ისე ბავშვებისთვის. ახმეტაში მრავალეროვანი ახალგაზრდობა

იყო — ქართველები, ოსები, ქისტები (რაოდენ აქტუალური და მტკივნეულია ეს თემა დღეს!). ყველა ბავშვი შეხმატკბილებულად იღებდა მონაწილეობას ბიბლიოთეკის საქმიანობაში.

უხერხულია საკუთარ წარმატებებზე საუბარი, მაგრამ მიხარია და მემამაყება, რომ მიღებული მაქვს მრავალი დიპლომი და სიგელი კარგი მუშაობისათვის; 2003 წელს კი პირადად კულტურის მინისტრის, სესილი გოგიბერიძის მადლობა, ვამაყობ იმით, რომ ბიბლიოთეკის ყველა წიგნი შემოვუნახე მომავალ თაობას.

**— როგორ შეაფასებდით ბიბლიოთეკარის პროფესიას? როგორ გესახებათ წიგნის და ბიბლიოთეკის „ბედი“ თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევათა ეპოქაში?**

— ბიბლიოთეკარი მკითხველისათვის ერთგული, გულისხმიერი თანაშემწეა; იგი ეხმარება მასწავლებელს ბავშვის აღზრდაში; ცდილობს ჩანვდეს ყმანვილის სულიერ სამყაროს. ბავშვი, მოზარდი მკითხველი საბავშვო ბიბლიოთეკაში ახლად ფეხადგმულივით შემოდის და ჩვენთან ხელჩაკიდებული მიემართება ცოდნის სამყაროში.

ბიბლიოთეკარი უღვივებს მოსწავლე-ახალგაზრდობას სამშობლოსადმი, სილამაზისადმი, ბუნებისადმი, ყოველივე მშვენიერისადმი სიყვარულს; უნერგავს პატიოსნებას, სამართლიანობას, მამაცობას, სიკეთისადმი მისწრაფებას, — ყველა იმ თვისებას, რაც ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს.

ბიბლიოთეკარის მოწოდებაა, ჩაუნერგოს მკითხველს ცოდნის შეძენის, შრომისადმი სიყვარული; შთააგონოს მას, რომ „შრომის გარეშე არ არსებობს პატიოსანი და ხალისიანი ცხოვრება“ (ჩეხოვი).

...თვალს ვადევნებ ტექნიკურ მიღწევებს;

ვიმედოვნებ, სოფლის ბიბლიოთეკებშიც დაინერგება სიახლეები, მაგრამ ჩემი სათქმელი დღესაც ესაა: „წიგნი და წიგნი!“ მას ვერაფერი შეცვლის, მიუხედავად ახალი ტექნოლოგიების მოძალებისა.

ვახტანგ მეექვსე ბრძანებდა:

„წიგნის კითხვა, შეგონება დაუდევიათ დიად სარგად, ზღაპარი და ყბედი სიტყვა - სანახავად, დასაკარგად“.

„წიგნი არის მთელი ცოდნის მსოფლიო სკივრი“, — ამბობდა ჰუმანისტი პაოლო გერჯერი. „ის, რაც წიგნებით გადმოიცემა, სამარადუამოდ რჩება. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მთელი ეს მონაპოვარი, წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული, გადავცეთ შთამომავლობას. ამის საშუალებას იძლევა ბიბლიოთეკები“.

...წიგნის მარადიულობის დასტურად დიდი ბებუის კალთაში განაბული შვილთაშვილი ისეთივე ხალისით იმეორებს ნაცნობ სტრიქონებს, როგორც მისი მამა, მისი ბებია: „ხელში წიგნები ეჭირა, ხუთიანებზე (ათიანებზე!) სწავლობდა!“ დიდება საგანგებოდ ამეცადინებს: როგორ ჩაიკრას წიგნი რაც შეიძლება მხურვალედ გულში.

...ამა თუ იმ დარგის ხანდაზმულ პროფესიონალთა ცოდნა-გამოცდილება ხომ სიმდიდრეა სოფლისათვის, ახალგაზრდა კოლეგების ზრდისა და განვითარების საიმედო გარანტი.

დღევანდელობას, მხნეობას, ჯანის სიმართლეს ვუსურვებთ ჩვენი სოფლის ამაგდარ ქალბატონს, მის მემკვიდრეებს, საქმის გამგრძელებლებს კი — მისებრ სამაგალითო ცხოვრებას.

## ინფორმაცია

### საყოველთაო წიგნი

მელიტონ კენენჯერიძე XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. სასულიერო პიროვნება, საეკლესიო ისტორიოგრაფი, მეცნიერ-მკვლევარი, ფოლკლორისტი, მრავალკულტურულ-საგანმანათლებლო საქმის ორგანიზატორი, პედაგოგი — გამოირჩეოდა თავისი პატრიოტული სულისკვეთებით, გაბედული, მართალი სიტყვითა და უანგარობით.

დაიბადა 1864 წელს სოფელ ტაბაკინში (ზეს-

ტაფონის რაიონი) გარდაიცვალა 1942 წელს თბილისში. კიევის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ (1894) მასწავლებლობდა ქუთაისსა და ფოთში, ამავე დროს აგროვებდა და გამოსცემდა ფოლკლორულ ნიმუშებს, ადგენდა სახელმძღვანელოებს; არაერთი მათგანი გამოსცა კიდევ: „ქართული ენის გრამატიკა“, „სიტყვიერების თეორია“, „ქართული ქრესტომათია“. 1896–1903 წლებში მოღვაწეობდა ჯერ საკათედრო ტაძრის მღვდლად, შემდეგ — დეკა-

ნოზად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი შემოქმედებითი ღვაწლი ქართული ეკლესიის ისტორიაში. მას ეკუთვნის გამოცემები: „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“ (1913), „საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“ (1918), „სიმაღლესი ქართული ეკლესიის ავტოკეფალზე“ (1906) – რუსულ ენაზე.

თანამედროვე სიტუაციაში განსაკუთრებით საყურადღებოა „ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“.. ნიგნის პირველი გამოცემა განხორციელდა ქუთაისში. ამჟამად გამოქვეყნდა მისი მეორე გამოცემა – (კელენჯერიძე მელიტონ. ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია. / შემდგ. დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის მიერ. – თბ.: გამომც. „ცის ნამი“, 2012. – 133 გვ. [ედღენება მელიტონ კელენჯერიძის გარდაცვალებიდან 70 წლისთავს]. ნიგნის რედაქტორებია პროფ. გურამ ბედოშვილი და მზია ერისთავი, გამოცემის ხელმძღვანელი – ცისანა ქოჩჩიაშვილი.

დაბეჭდილია მანგლისისა და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) ლოცვა-კურთხევით.


ნიგნი შედგება სამი თავისა და პარაგრაფებისაგან. წინ უძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კომენტარი მისი ფაქსიმელური ხელმოწერით, აგრეთვე რედაქტორის – პროფ. გ. ბედოშვილის ე. წ. „წინასიტყვაობის მაგიერ – ჭეშმარიტი ერისკაცი“.

ავტორი თავის ნაშრომს იწყებს წინასიტყვეობით, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს ქართული ეკლესიის ძველთაგანვე წარმოშობისა და განვითარების შესწავლის მნიშვნელობას. ტექსტი იწყება ქართული წარმართობის მოკლე მიმოხილვით. გაშუქებულია საქართველოში ქრისტიანობის დაარსებისა და დამკვიდრების ისტორია. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ბევრ ისტორიულ-ლიტერატურულ და ხურთომოდვრებით საკითხებს იხილავს. იხსენებს მოციქულებსა და წმინდანებს, ეხება უმნიშვნელოვანეს ტაძრების წარმოშობასა და მოღვაწეობას, მრავალ ღირსშესანიშნავ სასულიერო მოღვაწეს.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ნიგნში ლაპარაკია ეკლესიის იერარქიულ წყობილებაზე, რასაც ნაკლებად იცნობს თანამედროვე მრევლი, რომლისთვისაც საინტერესო იქნება ამ საკითხის გაცნობა.

ნაშრომი მთავრდება მელიტონ კელენჯერიძის მოკლე ბოლო სიტყვაობით, რის შემდეგაც მოცემულია ზოგი ცნობა აღნიშნული გამოცემის შესახებ, რომლის ავტორია მელიტონ კელენჯერიძის შვილიშვილი – თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის უფროსი სპეციალისტი ცისანა ქოჩჩიაშვილი. ბოლო გვერდზე მოთავსებულია მ. კელენჯერიძის მოკლე ბიოგრაფია პორტრეტით.

ღრმად ვართ დარწმუნებული, აღნიშნული ნიგნი უეჭველად დიდ ინტერესს გამოიწვევს ჩვენს მკითხველებს შორის.



მელიტონ კელენჯერიძე

### ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია


## სიყვარულის მოძღვრება

თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში გაიმართა გურამ ჭავჭავანიძის ლექსების კრებულის პრეზენტაცია (ჭავჭავანიძე გურამ, სიყვარულის მომღერალი/რედაქტორი მანანა გორგიშვილი. – თბ.: „მერანი“, 2012 – 232 გვ.) ნიგნს წინ უძღვის ავტორის წინასიტყვაობა. ლექსების უდიდესი ნაწილი ავტორის მიერ ბოლო წლებშია შექმნილი, რაც დამახასიათებელი მოვლენაა გურამ ჭავჭავანიძისათვის. როგორც თვითონ აღიარებს, სწორედ ბოლო წლებში შეექმნა პირობები ინტენსიური მუშაობისათვის.

გურამ ჭავჭავანიძე ცხოვრებისაგან ნაცადი და გამობრძმედილი კაცია, კარგად იცნობს ადამიანურ სამყაროს, გამოირჩევა გულახდილობით, პოეტური განცდით, ერუდიციით. ეს თვისებები აშკარად ვლინდება მის შემოქმედებაში. ნიშანდობლივია ნიგნის სათაური – „სიყვარულის მომღერალი“, რამდენადაც დიდი უმრავლესობა პოეტური ქმნილებებისა მიძღვნილია სწორედ სიყვარულის განცდისადმი. არსად პოეტი არ ღალატობს ამ გრძნობისადმი რაინდულ, კდემამოსილ დამოკიდებულებას. აქ ვერ

ნახავთ შიშველ ეროტიკას, ურთიერთგრძნობების უხემ დაპირისპირებას, მსუბუქ დამოკიდებულებას. თავდადების დიდი გრძნობითაა შექმნილი მისი ლექსები სამშობლოზე, მშობლიურ კუთხეზე, მეგობრობაზე. სამშობლოს სიყვარულის განცდა სულაც არ აბრკოლებს მას კრიტიკული თვალით შეაფასოს ჩვენი სინამდვილე, ჩენი ვითარება, მავნე მხარეები. ამ დროს ის არ იშურებს ირონიას, მწვავე გამოთქმებს ხელისუფლებისა თუ ცრუ პატრიოტების მიმართ. მისი ლექსი როგორც მახვილი ისე ჭრის ამ დროს.

ფრიად ორიგინალურ მომენტს წარმოადგენს ის, რომ კრებულში რამდენიმე ფრიად მშვენიერი ლექსია რუსულ ენაზე შექმნილი, ასევე იშვი-ათობას წარმოადგენს ის, რომ წიგნს ბოლოში



ერთვის მუსიკალური ნოტებში რამდენიმე სიმღერისა.

გურამ ქავჭავანიძე ათეული წლებია თბილისის ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველია. ის სხვა ბიბლიოთეკებსაც ხშირად სტუმრობს, ესწრება მათ ღონისძიებებს, მონაწილეობს მკითხველი საზოგადოების საქმიანობაში, ამიტომაც დიდი სიხარულით შეეგებენ აქ მისი წიგნის პრეზენტაციას. ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა და გამომზეფურდა მისი საუკეთესო ლექსები.

ეს მშვენიერი წიგნი გარეგნობითაც იტაცებს თვალს. დაბეჭდილია მაღალ პროლიგრაფიულ დონეზე და თვალს იტაცებს როგორც შინაარსით, ისე გარეგნო-


ბით. დარწმუნებული ვართ, ის უდავოდ დიდ საიმოვნებას მოგვრის ჩვენს მკითხველებს.

## სულუი ჩაკირული ენა მშვენიერი

ქართული ერის ცხოვრებაში ქართული ენის მნიშვნელობის შესახებ იწერებოდა ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდიდან, იოანე ზოსიმეს შემდეგ ბევრმა სასულიერო თუ საერო პირმა ხოტბა შეასხა მშობლიურ ენას, იმ ენას, რომელზედაც იქნებოდა ერის სულიერი სიმდიდრე, იწერებოდა სასულიერო თუ საერო ძეგლები. ქართული ენის სადიდებელ მხატვრული ნაწარმოებების რიგებს ამ დღებში შეემატა კიდევ ერთი ორიგინალური ხელნაწერი წიგნი „სადიდებელი ენისა ქართული-სა“. მისი ავტორი გახლავთ ბიბლიოგრაფი, პედაგოგი, პოეტი, მხატვარ-კალიგრაფი, საზედაო ასოების ავტორი ცირა ბულაშვილი. წიგნის შესავალში ავტორი შესთხოვოს უფალს მისცეს ნება შევიდეს საკუთარი სულის ტაძარში, აანთოს წმიდა სანთელი, რათა მოკრძალებით წარმოთქვას საოცარი ფერებით გასხივოსნებული ღვთიური ენის ქება და დიდება. ხელნაწერი წიგნის მთლიანი ტექსტი საოცარი პოეტური თუ პროზაული ფორმით გადმოგ-

ვცემს ქართული ენის სადიდებელს. ავტორის აზრით, სწორედ ამ ენაზე გაცხადების ჭეშმარიტებანი ქვეყნისა“. პოეტი ქრონოლოგიური რი-

გით მისდევს ქართული ენის განვითარების საფეხურებს. ამ ენაზე იქნებოდა ღვთაებრივი ნიალიდან მარგალიტებად ამოკრებილი ჰიმნები და საგალობლები. სწორედ ქართული ენის სიმდიდრემ შთააგონა შოთა რუსთაველის თავის უკვდავ პოემაში აფორიზმებად ჩაენერა მაღლი მამისა, ძისა და სული წმიდისა. ქართული ენა, როგორც ქართველთა გონების კარიბჭე და როგორც ყრმათა გულელები ცოდნის ლამპარი, როგორც წმინდა ილიას სიტყვებით ამბობებული სული ჭეშმარიტებისა, უხილავი ხელით ქსოვდა ქართველი ერის სულიერ სხეულს. წიგნში შემოსულია ავტორის „ანბანთ ქება“ და მეორე ლექ-



სი „მე შენ გეკუთვნი“. ავტორი მთელი სულით, გონებით, მთელი არსებით ღალადებს, რომ იგი ეკუთვნის ქართველ ცას და მიწას, როგორც გარდასულ დღეთა მოწმეთ. წიგნში ჩართულია



ავტორის მიერ შესრულებული ქართული ანბანი, მრგვლოვანი, ნუსხა ხუცური – საოცარი მხატვრულ შემოქმედებით მოჩუქურთმებული. ნაშრომს ამშვენებს უძველესი ქართული დამწერლობის კერების ფერადი ფოტოსურათები. თავისთავად, ხელნაწერი წიგნი იშვიათია თანამედროვე ქართულ პოლიგრაფიაში. იგი დაიბეჭდა სვეტიცხოველის საკათედრო ტაძრის დეკანოზის მამა თეიმურაზ შიოლაშვილის ლოცვა-კურთხევით. წიგნს წამძღვარებული აქვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართველი ადამიანი შეინახავს თავის სარწმუნოებას და განკითხვა მოხდება ქართული ენით. სამივე სახის ქართული დამწერლობა: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და

მხედრული როგორც სიმბოლო ქართული სასულიერო ცხოვრებისა, მარადუამს შენარჩუნებული და სრულყოფილი უნდა იქნეს.

წიგნის რედაქტორ-გამომცემელია ნუგზარ ჭიაბერაშვილი, კონსულტანტები: რამაზ პატარიძე და ელენე მაჭავარიანი.

წიგნის ავტორს ჩვენი მკითხველი იცნობს მისი პირველი პოეტური კრებულის რეცენზიით (№2; 2011). პირველი კრებული „მე მოვალ შენთან“ გამოქვეყნდა 2010 წელს.

რუსთავის მკვიდრი, ბიბლიოგრაფი და პოეტი ცირა ბულაშვილი, ვფიქრობთ კვლავაც თავისებური ძალისხმევით უგალობებს ქართულ ენას – ბიბლიურ სიტყვათა საიდუმლოების ამომხსნელ საუნჯეს.

## საბიბლიოთეკო საქმის სპეციფიკისათვის

საბიბლიოთეკო ასოციაცია საერთაშორისო ფედერაციამ (IFLA) იუნესკოსთან თანამშრომლობით 2001 წელს გამოაქვეყნა დამხმარე სახელმძღვანელო ბიბლიოთეკარებისათვის, რომელშიც გაშუქებულია საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურების განვითარების თანამედროვე საკითხები. ამჟამად ეს წიგნი ითარგმნა ქართულად და საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ სრულად გამოსცა (IFLA/UNESCO-ს სახელმძღვანელო მითითებანი საჯარო ბიბლიოთეკებში მომსახურების განვითარების შესახებ – თარგმნა მზია ხოსიტაშვილმა. – თბ., 2012. – 141 გვ.) წიგნს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა და შესავალი; შედგება 6 თავისა და 4 დანართისაგან. ყოველი თავი დაყოფილია პარაგრაფებით. ისინი მოიცავენ მეტად აქტუალურ საკითხებს: 1. საჯარო ბიბლიოთეკის როლი და მიზანი; 2. იურიდიული და ფინანსური ასპექტები; 3. მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება; 4. ფონდების დაკომპლექტება; 5. ადამიანური რესურსები; 6. საჯარო ბიბლი-


ოთეკის მენეჯმენტი და მარკეტინგი. ყოველ თავს წინ უძღვის ამ თემის შესავალი, რითაც ყოველი თემა უფრო ორიენტირებული და მკვეთრად შემოხაზულია დანიშნულებისა და მიზნის თვალსაზრისით. წიგნის ბოლოს

მოცემულია შესაბამისი ლიტერატურა, ძირითადად ინგლისურ ენაზე, დაახლოებით 7 ათეულზე მეტი.

წიგნი საყურადღებოა, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ძალიან ბევრ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს ეხება, როგორც ცნებებისა და არსის გარკვევის, ისე სახელმწიფო ორგანოებთან კავშირის, კანონმდებლობის, დაფინანსების, ადმინისტრირების, მომხმარებლებთან ურთიერთობის, ფონდების მართვის, რეკლამირების, ადამიანური რესურსების, კვალიფიკაციისა და სხვა საკითხებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ნორმატივების გაცნობა,

რომელიც ამ საერთაშორისო ორგანოების მიერაა დადგენილი, ეხება ეს ფართობს, კვალიფიკაციურ მოთხოვნილებებს, შტატებს თუ სხვა მოცულობებს.

დანართებში ავტორები გვაცნობენ საჯარო








ბიბლიოთეკის მანიფესტს, ფინეთის კანონს საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, ბუკინგემის საგრაფო ბიბლიოთეკას, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნიმუშები თანამედროვე ბიბლიოთეკების საქმის ორგანიზაციისათვის.

აღნიშნული წიგნი ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს და ის საშუალებებს გვაძლევს, ჩვენმა ბიბლიოთეკარებმა აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაციის დონე.

## გულის გამამხნეველი ლეგენდა

ქვეყნის მძიმე ვითარებაში ყოფნის დროს, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰეროიკას; ჩვენი ისტორია უამრავ ნიმუშს იძლევა ქართველი ხალხის მხნეობისა და გაუტყეველობისა. მათი გამოცოცხლება, გახსენება, შექმნილი თუ ნამდვილი ამბები, ლეგენდები თუ მითები სულიერ ძალას შთაბერავენ ხალხს. ამიტომაც ასეთ ნაწარმოებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო შოთა მალაზონიას დრამა „ბაკური“, რომელიც გამომცემლობა „მნიგნობარმა“ დაბეჭდა თბილისში 2012 წელს. მოცულობით დრამა სავსებით შეესატყვისება ამჟანრს (45 გვ.). აქ მოცემულია შუა საუკუნეების ეპოქალური მოვლენები. სიუჟეტი

სავსებით შეესატყვისება ავტორის სულიკვეთებას, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს არ დავენებდეთ მტერს, ათასგვარ ხერხს მიემართოთ თავის გადასარჩენად, გამოვიყენოთ დიპლომატიური საშუალებები, თ ვით მტერი მოვაქციოთ მტრის მოსასპობად. სწორედ ამას მიმართავს საყოველთაო გმირი ბაკური, რომელიც მაქსიმალურად ნაკლები სისხლისღვრით მოუტანს თავის ხალხს თავისუფლებას.



დრამატიული ნაწარმოების სცენიური განსახიერება, საერთოდ, საკმაოდ რთულია და, ჩვენი აზრით, ურთულესი კოლიზიების გამო, ძნელი საფიქრებელია ამ დრამის დადგმა, მაგრამ მისი წაკითხვა უდავოდ ბევრ ფიქრს აღუძრავს ადამიანს.

## მოთხრობების პატარა კრებული

გამომცემლობა „ემ-პი-ჯიმ“ გამოაქვეყნა ალექსანდრე ლორიას მოთხრობების კრებული საერთო სათაურით „რაც ხდება“. (ალ. ლორია, რაც ხდება: მოთხრობები. – თბ., 2012. – 60 გვ.). კრებულში შესულია ავტორის ჯერ დაუბეჭდავი 4 მოთხრობა: გიკოლი, პატარა გენიოსი, გურმანი, ქელეხობანა. რედაქტორია დავით კოტორაშვილი. როგორც ანოტაცია გვამცნობს, „კრებულში თავმოყრილ მოთხრობებში ასახულია თანამედროვე, თუ ახლო წარსულის ცხოვრები-



სეული ამბები. უმეტესად ყურადღება დათმობილი აქვს პიროვნულ თავისებურებებს, პირადულ პრობლემებსა და პირობებს, რაც ორგანულადაა დაკავშირებული სოციალურ გარემოსთან. ზოგი სევდიანია, ზოგი – იუმორისტული, თუმცა სარკაზმი და კომიზმის ელემენტები ყველა მოთხრობაში აშკარად ვლინდება. გვსურს შევთავაზოთ ჩვენს მკითხველებს ეს პატარა წიგნი იმ იმედით, რომ ისინი უდავოდ ინტერესით გაეცნობიან წარმოდგენილ მოთხრობებს.

## საიუბილეო და ღირსშესანიშნავი მოვლენები

## 2013 წელი

## იანვარი

1 – 190 წლის წინათ (1823) დაიბადა შანდორ პეტეფი – უნგრელი პოეტი. (გარდაიც. 1849)

3 – 150 წლის წინათ (1863) დაიბადა ექვთიმე თაყაიშვილი – დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი. (გარდაიც. 1953).

4 – 80 წლის წინათ (1933) დაიბადა ილია II (ერისკაცობაში ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი) – საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

7 – შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

8 – დავით აღმაშენებლის ხსენება.

– ქართული უნივერსიტეტის დაარსების დღე (1918).

9 – 110 წლის წინათ (1903) დაიბადა სიმონ ჩიქოვანი – პოეტი. (გარდ. 1966).

16 – 75 წლის წინათ (1938 ) დაიბადა მუშნი ლასურია – აფხაზი პოეტი. აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი. შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

20 – 165 წლის წინათ (1848) სტეფანწმინდაში დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი – დიდი ქართველი მწერალი. (გარდაიც. 1893)

22 – 225 წლის წინათ (1788) დაიბადა ჯორჯ გორდონ ბაირონი – დიდი ინგლისელი პოეტი. (გარდაიც. 1824 )

23 – 230 წლის წინათ (1783) დაიბადა სტენდალი (ნამდვილი სახელი და გვარი ანრი მარი ბეილი) – ფრანგი მწერალი. (გარდაიც. 1842)

24 – 80 წლის წინათ (1933) დაიბადა გივი გეგეჭკორი – პოეტი, მთარგმნელი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი. (გარდაიც. 1999)

27 – ნინოობა. ხსენების დღე წმიდისა დედისა ჩვენისა ნინო ქართველთა განმანათლე-

ბელისა.

## თებერვალი

8 – 940 წლის წინათ (1073 წ.) დაიბადა დავით აღმაშენებელი – საქართველოს მეფე, პოეტი და მწიგნობარი. (გარდაიც. 1125 )

– დავითობა. ხსენება წმ. დავით მეფისა აღმაშენებლისა.

– 185 წლის წინათ (1828 წ.) დაიბადა ჟიულ ვერნი – ფრანგი მწერალი. (გარდაიც. 1905 წ.)

11 – 110 წლის წინათ ფოთში (1903) დაიბადა ვიქტორ გაბესკირია – ქართველი პოეტი და დრამატურგი. (გარდაიც. 1964)

15 – 145 წლის წინათ (1868 წ) დაიბადა ანასტასია ერისთავ-ხოშტარია – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. (გარდაიც. 1951)

19 – 160 წლის წინათ (1853) დაიბადა ზაქარია ჭიჭინაძე – ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. (გარდაიც. 1922 )

– ხსენება ღირსისა მამისა ჩვენისა არსენ იყალთოელისა

– ხსენება წმ. დემეტრე თავდადებულისა.

## მარტი

6 – 70 წლის წინათ (1943) მესტიაში დაიბადა მირონ ხერგიანი – ქართველი მწერალი.

7 – 120 წლის წინათ (1893) დაიბადა პოლიკარპე კაკაბაძე – ქართველი მწერალი და დრამატურგი. (გარდაიც. 1972 )

10 – 140 წლის წინათ (1873) დაიბადა იაკობ ვასერმანი – გერმანელი მწერალი (გარდაიც. 1934)

12 – დემეტრე თავდადებულის ხსენების

დღე

14 – 100 წლის წინათ (1913) დაიბადა გიორგი გულია – რუსი მწერალი, (წარმოშობით აფხაზი).

20 – 80 წლის წინათ (1933 წ.) დაიბადა ოთარ ჭილაძე – ქართველი პოეტი, რომანისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საქართველოს სახელმწიფო და შოთა რუსთაველისა და ალ. ყაზბეგის სახელობის პრემიების ლაურეატი. (გარდაიც. 2009).

– 145 წლის წინათ (1868 ) დაიბადა მაქსიმ გორკი (ნამდვილი სახელი და გვარი – ალექსი მაქსიმეს ძე პეშკოვი) – რუსი მწერალი. სოციალისტური რეალიზმისა და საბჭ. ლიტერატურის ფუძემდებელი. (გარდაიც. 1936)

## აკრილი

2 – 80 წლის წინათ (1933) დაიბადა ზაურ ბოლქვაძე – ქართველი პოეტი. (გარდაიც. 1998)

3 – 130 წლის წინათ (1883) დაიბადა მარიამ გარიყული (ნამდვილი გვარი თათეშვილი-რატკიანისა) – ქართველი მწერალი. (გარდაიც. 1960)

– ხსენება წმ. მეფე გიორგი ბრწყინვალისა

6 – 95 წლის წინათ (1918) დაიბადა იოსებ ნონეშვილი – ქართველი პოეტი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი. (გარდაიც. 1980 წ.)

7 – 105 წლის წინათ (1908) ჭიათურაში დაიბადა მარიკა ბარათაშვილი – ქართველი პოეტი, დრამატურგი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

9 – მამულისთვის დაღუპულთა დღე.

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე

– 190 წლის წინათ (1823) დაიბადა ალექსანდრე ოსტროვსკი – რუსი დრამატურგი (გარდაიც. 1886)

14 – დედაენის დღე

15 – ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

22 – 80 წლის წინათ (1933) დაიბადა გურამ ფანჯიკიძე – ქართველი მწერალი – პროზა-

იკოსი, პუბლიცისტი. შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი. (გარდაიც. 1997 წ.)

24 – 110 წლის წინათ (1903 ) დაიბადა აკაკი ბელიაშვილი – ქართველი მწერალი. (გარდაიც. 1961)

– 80 წლის წინათ (1933) ქუთაისში დაიბადა რეზო ჭეიშვილი – ქართველი მწერალი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

## მაისი

1 – 85 წლის წინათ (1928) დაიბადა ოტია პაჭკორია – ქართველი მწერალი, კრიტიკოსი. (გარდაიც. 1984)

5 – 75 წლის წინათ (1938) დაიბადა ზურაბ გორგილაძე – ქართველი პოეტი. (გარდაიც. 2007)

6 – 125 წლის წინათ (1888 წ.) დაიბადა დავით თურდოსპირელი (ნამდვილი გვარი ჩხეიძე) – ქართველი მწერალი. (გარდაიც. 1948 წ.)

– 120 წლის წინათ (1893 წ.) დაიბადა ვიქტორ ბროსე – საბიბლიოთეკო და საარქივო საქმის ფუძემდებელი საქართველოში, ბიბლიოთეკარი, ბიბლიოგრაფი. (გარდაიც. 1937 წ.)

7 – 85 წლის წინათ (1928 წ.) დაიბადა ჯემალ ჯაყელი – ქართველი პოეტი, მეცნიერი.

11 – 110 წლის წინათ (1903) დაიბადა ალიო მირცხულავა (ფსევდონიმი მაშაშვილი) – ქართველი პოეტი. (გარდაიც. 1976)

– თამარობა. წმინდა თამარ მეფის ხსენების დღე

15 – 120 წლის წინათ (1893) დაიბადა კონსტანტინე გამსახურდია – ქართველი მწერალი, საქართველოს სსრ მეცნირებათა აკადემიის აკადემიკოსი. შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი. (გარდაიც. 1975)

13 – 100 წლის წინათ (1913) ზესტაფონში დაიბადა ლადო ავალიანი – ქართველი მწერალი

– 245 წლის წინათ (1768) დაიბადა იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) – ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელ-ენ-

ციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი. (გარდაიც. 1830)

18 – 75 წლის წინათ (1938) დაიბადა გურამ ბათიაშვილი – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე.

19 – 140 წლის წინათ (1873) დაიბადა იროდიონ ევდოშვილი (ნამდვილი გვარი ხოსიტაშვილი) – ქართველი მწერალი. (გარდაიც. 1916)

23 – 90 წლის წინათ (1923) დაიბადა რევაზ ჯაფარიძე – ქართველი მწერალი, რომანისტი, პუბლიცისტი. შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. (გარდაიც. 1999)

– 85 წლის წინათ (1928) დაიბადა გიორგი გიგაური – ქართველი პოეტი. გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

25 – 90 წლის წინათ (1923 წ.) დაიბადა თეიმურაზ ჯანგულაშვილი – ქართველი პოეტი და მწიგნობარი. (გარდაიც. 1996)

– საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე

26 – 155 წლის წინათ (1858) დაიბადა მიხეილ თამარაშვილი, თამარიდი მიქელ (ერისკაცობაში – ალექსანდრე) – ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. (გარდაიც. 1911 წ.)

31 – 195 წლის წინათ (1818) დაიბადა მიხეილ თუმანიშვილი – ქართველი პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, თეატრის კრიტიკოსი, ეთნოგრაფი. (გარდაიც. 1875)

## ივნისი

1 – ნინოზა. წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში.

– ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

5 – 155 წლის წინათ (1898) დაიბადა ფედერიკო ლორკა გარსია – ესპანელი პოეტი და დრამატურგი. (გარდაიც. 1936)

13 – 85 წლის წინათ (1928) დაიბადა შოთა ჩანტლაძე – ცნობილი ქართველი პოეტი. (გარდაიც. 1968)

22 – 115 წლის წინათ (1898) დაიბადა ერისმარია რემარკი – გერმანელი მწერალი. (გარდაიც. 1970)

## ივლისი

5 – 130 წლის წინათ (1883) დაიბადა ფრანც კავკა – ავსტრიელი მწერალი. (გარდაიც. 1924)

10 – გიორგი მთაწმინდელის ხსენება.

14 – 85 წლის წინათ (1928) დაიბადა ნოდარ დუმბაძე – ქართველი მწერალი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. (გარდაიც. 1984)

19 – 120 წლის წინათ (1893) დაიბადა ვლადიმერ მაიაკოვსკი – რუსი პოეტი. (გარდაიც. 1930).

– 75 წლის წინათ (1938) დაიბადა ესმა ონიანი – ქართველი მხატვარი, პოეტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. (გარდაიც. 1999)

24 – 125 წლის წინათ (1888) დაიბადა სანდრო შანშიაშვილი – ქართველი პოეტი, დრამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. (გარდაიც. 1979)

30 – 130 წლის წინათ (1883) დაიბადა ნოე ჩხიკვაძე – ქართველი პოეტი. (გარდაიც. 1920)

## აგვისტო

11 – 85 წლის წინათ (1928) დაიბადა გურამ ასათიანი – ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი. (გარდაიც. 1982)

23 – 80 წლის წინათ (1933) დაიბადა გივი შაჰნაზარი – სომეხი პოეტი, მთარგმნელი.

28 – მარიამობა. მიძინება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა

## სექტემბერი

5 – 110 წლის წინათ (1903) ვანის რაიონი, სოფ. დიხაშხოში დაიბადა ნიკოლოზ (ნიკა) აგიაშვილი – მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალ-

ლისტი. (გარდაიც. 1984)

9 – 185 წლის წინათ (1828) დაიბადა ლევ ტოლსტოი – რუსი მწერალი. (გარდაიც. 1910 წ.)

11 – 130 წლის წინათ (1883) ქუთაისში დაიბადა ანასტასია ვირსალამე (ქალიშვილობის გვარი აბდუშელიშვილი) – ქართველი პიანისტი და პედაგოგი. (გარდაიც. 1968)

12 – 80 წლის წინათ (1933) დაიბადა გურამ თიკანაძე – მთამსვლელი. ფოტოხელოვანი. (გარდაიც. 1965)

13 – 125 წლის წინათ (1888) დაიბადა პარმენ რურუა – ქართველი პოეტი. (გარდაიც. 1963 წ.)

17 – 120 წლის წინათ (1893) დაიბადა ვიქტორ ნოზაძე – ემიგრანტი. ქართველი მკვლევარი, ჟურნალისტი, მწერალი, რუსთველოლოგი. (გარდაიც. 1975 წ.)

21 – ღვთისმშობლის შობა.

22 – 105 წლის წინათ (1908) დაიბადა ბონდო კეშელავა – ქართველი პოეტი. (გარდაიც. 1983)

– 200 წლის წინათ (1813 წ.) დაიბადა გიორგი ერისთავი – ქართველი პოეტი, დრამატურგი, თეატრის მოღვაწე, ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი. (გარდაიც. 1864)

## ოქტომბერი

5 – 200 წლის წინათ (1815) დაიბადა ანტონო გუტიერესი გარსია – ესპანელი დრამატურგი, რომანტიკული დრამის ერთერთი ფუძემდებელი. (გარდაიც. 1884)

9 – 170 წლის წინათ (1845) დაიბადა ნიკო ნიკოლაძე – ქართველი პუბლიცისტი, კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე. (გარდაიც. 1928)

20 – 115 წლის წინათ (1898) დაიბადა ალექსანდრე ქუთათელი (ნამდვილი გვარი ქუთათელაძე) – ქართველი მწერალი. (გარდაიც. 1982)

23 – 85 წლის წინათ (1928 ) დაიბადა ვალერიან საღლიანი – ქართველი პოეტი. (გარდაიც. 2007)

## ნოემბერი

1 – 120 წლის წინათ (1893 ) დაიბადა პავლე ინგოროყვა – ქართველი მეცნიერი, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე. (გარდაიც. 1989)

3 – 355 წლის წინათ (1658) დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი – ქართველი მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე. (გარდაიც. 1725 )

4 – 140 წლის წინათ (1873 ) დაიბადა მემედ აბაშიძე – ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ქართველთა ერთიანობისთვის მებრძოლი. (გარდაიც. 1941)

9 – 195 წლი სწინათ (1818) დაიბადა ივანე ტურგენევი – რუსი მწერალი. (გარდაიც. 1883)

21 – 75 წლის წინათ (1938 ) დაიბადა იზა ორჯონიკიძე – პოეტი და საზოგადო მოღვაწე. 1999 წ. მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. (გარდაიც. 2010)

23 – 110 წლის წინათ (1903) დაიბადა ელიზბარ ზედგენიძე – ქართველი მწერალი (გარდაიც. 1983)

29 – 80 წლის წინათ (1933) დაიბადა ერლომ ახვლედიანი – ქართველი მწერალი. შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

## დეკემბერი

– 125 წლის წინათ (1888 ) დაიბადა მალვა ნუცუბიძე – ქართველი მეცნიერი და ფილოსოფოსი, აკადემიკოსი, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელი ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი. (გარდაიც. 1969)

## უთარილი

700 – წლის წინათ (1313) დაიბადა ჯოვანი ბოკაჩო – იტალიელი მწერალი. რენესანსის ერთერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების „დეკამერონის“ ავტორი. (გარდაიც. 1375 )

130 – წლის წინათ (1883) დაიბადა ლიდია მეგრელიძე – ქართველი საბავშვო პოეტი. (გარდაიც. 1968).

ქრონიკა

# საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები


- 8 ოქტომბერს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ჩატარდა სამდღიანი სემინარი თემაზე „თანამედროვე ხელოვნების პრობლემები და ინიციატივები. სემინარს ესწრებოდნენ: საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, სერბეთის, მაკედონიის, გერმანიისა და აშშ-ს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- 20-21 ოქტომბერს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია მიეძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბექდური გამოცემის 300 წლისთავს. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 30-ზე მეტი მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ კოლექციებისა და პირველი გამოცემების, აგრეთვე უცხოურ ენებზე პოემის თარგმანების შესახებ.
- 23 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა „რუსთაველის კლუბისა“ და ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი გამოცემის „ყვავილნარის“ წარდგენა.
- 30 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ონლაინ ბიბლიოთეკების საერთაშორისო ცენტრის წარდგენა.
- 14 ნოემბერს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მეცნიერთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ვებ. გვერდის წარდგენა. აქვე საზოგადოება „ცოდნის“ უმაღლესი აკადემიური დაწესებულების სტუდენტები გაეცნენ სამეცნიერო სიახლეებს.
- 15 ნოემბერს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბაზაზე შეიქმნა ფრანგული კლუბი, კლუბის შრომებისა და ამოცანების შესახებ ისაუბრა საქართველოში კულტურული და საგანმანათლებლო პროგრამების მენეჯერმა ფლორიან შონმა.
- 19 ნოემბრიდან ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში განახლდა საჯარო სკოლებისა

და უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკართა ორკვირიანი კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მუშაობა.

- 27 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ევროკავშირის კუთხე.



- 7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „კავკასია დინამიკურად ცვალებად დროში“. მოხსენებები წარმოდგენილ იყო შემდეგ სექციებში: ფოლკლორისა და ეთნოლოგიის, პოლიტიკა-ეკონომიკის, კულტუროლოგიის, სულ მოსმენილი იქნა ოცზე მეტი მოხსენება. ცალკე დაიბეჭდა კონფერენციის პროგრამა და თეზისები.



გილოცავთ  
ახალ წელს!



